# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | №166 (2866) | შაბათი, 4 ივლისი, 1998 წელი. | ფასი 40 თეთრი. თბილისს გარეთ – 45 თეთრი.


ხელისუფლება

## ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა

3 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

საბჭოს წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია გალის რაიონიდან ლტოლვილი მოსახლეობის განსახლებისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების თაობაზე. ეროვნული უშიშროების საბჭოზე სპეციალურ სახელმწიფო კომისიას მიეცა დავალება ლტოლვილთა დაბრუნების პრობლემის მოგვარებამდე პირველ რიგში, გაზაფხულის სამეგრელოს რეგიონის სკოლებში გაჩერებული ლტოლვილების განსახლება, მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების გათვალისწინებით. გაგრძელდება ლტოლვილთა პურით, საკვები პროდუქტებით, შეშით მომარაგება. გადაწყდა, რომ ლტოლვილი ბავშვები დასასვენებელ სახლებსა და ბანაკებში დაისვენებენ სექტემბრის ბოლომდე. ბანაკებში დამატებით გაიგზავნება 700-მდე ლტოლვილი ბავშვი.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის 1998 წლის სოციალური დახმარების გაწევის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

საბჭოს წევრები გაეცნენ ინფორმაციას სასაზღვრო საკითხებზე ქართულ-რუსული სამთავრობო სამუშაო ჯგუფის მეორე სხდომის შედეგების შესახებ.

სხდომაზე გადაწყდა, რომ 1998 წლის 24 ივლისს გაიმართება მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილული იქნება კანონიერების, მართლწესრიგის განმტკიცების, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით 1998 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შედეგები.

განიხილეს სხვა საკითხებიც.

სხდომა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

ვიზიტი

## ემილ კონსტანტინესკუ: „იმის რწმენით მივემგზავრებით, რომ ძალიან სასარგებლო საქმე გავაკეთეთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის"

თბილისიდან გამგზავრების წინ რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ გულითადი მადლობა მოახსენა ედუარდ შევარდნაძეს „განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც მთელი ვიზიტის განმავლობაში გაუწიეს".

მინდა, აგრეთვე, მადლობა მოვახსენო სახელმწიფო მინისტრს, მთავრობის წევრებს, პარლამენტის თავმჯდომარესა და ხელმძღვანელობას მინაარსიანი საუბრებისათვის, – განუცხადა ბატონმა კონსტანტინესკუმ ჟურნალისტებს, – არ მინდა უყურადღებოდ დავტოვო და სამადლობელი სიტყვები არ ვუთხრა იმათ, ვინც გუშინ გვმასპინძლობდა ფოთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. და, რა თქმა უნდა, ასევე მინდა მადლობა მოვახსენო ტელევიზიას, პრესას თქვენს ქვეყანაში ჩემი ვიზიტის სრული და მართალი გაშუქებისათვის. და, ბუნებრივია, მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს გულთბილი მასპინძლობისათვის.

– იმის რწმენით მივემგზავრებით, რომ ძალიან ბევრი სასარგებლო საქმე გავაკეთეთ ჩვენი სახელმწიფოებისა და ხალხებისათვის, – აღნიშნა რუმინეთის პრეზიდენტმა, – ვფიქრობ, რომ პრივილეგირებული პარტნიორობის ურთიერთობა, და, ამავე დროს, რუმინეთისა და საქართველოს მჭიდრო კავშირი ხელს შეუწყობს მშვიდობის შენარჩუნებას ჩვენს რეგიონში. რუმინეთისა და საქართველოს მონაწილეობა ტრანსკონტინენტურ და ევროპულ პროექტებში, მხედველობაში მაქვს „დიდი აბრეშუმის" გზა და „ტრასეკას" მაგისტრალი, მეტ ძალას მიანიჭებს ჩვენს ურთიერთობას.

– მოხარული ვარ, რომ შევხვდი გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს ედუარდ შევარდნაძეს, რომლისგანაც ბევრი რამ ვისწავლე, – ხაზგასმით აღნიშნა რუმინეთის ლიდერმა. – მისი სახელი ხშირად ისმის ევროპაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, მთელ მსოფლიოში. ვფიქრობ, შევძლებთ საჭირო ძალა მივანიჭოთ ორი სახელმწიფოს ურთიერთობას. შევთანხმდით, რომ პირადად გავადევნებ თვალს ყველა ჩვენი პროექტის შესრულების მიმდინარეობას.

ორივე მხარემ დანიშნა პრეზიდენტთა მრჩევლები, რომლებიც სპეციალურად იმუშავებენ და კონტროლს გაუწევენ ერთმანეთთან დადებული ყველა შეთანხმების შესრულების მიმდინარეობას. ჩვენ დავთქვით, რომ ჩვენს პოზიციებს შევათანხმებთ საერთაშორისო ორგანიზაციებში.

საქართველოში ჩვენი გულის ნაწილი გვრჩება და ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა ჩვენი ხალხებისათვის უზრუნველვყოთ უკეთესი ცხოვრება და კეთილდღეობა, – თქვა დასასრულ ემილ კონსტანტინესკუმ.

## ედუარდ შევარდნაძე: „შედარებით ხანმოკლე დროში შევძელით განგვეხილა არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივა, არამედ გლობალური პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებიც"

– საქართველოში დამთავრდა რუმინეთის პრეზიდენტის ემილ კონსტანტინესკუს ვიზიტი, და გამოთხოვების ჟამს მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. – საქართველო და რუმინეთი, ისევე, როგორც სხვა ქვეყნები, რომლებშიც ახლა დემოკრატიული გარდაქმნები მიმდინარეობს, ესწრაფვიან ევროპისა და მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რათა დაჩქარდეს მათი ქვეყნების ეკონომიკური და სულიერი აღორძინება. ემილ კონსტანტინესკუ ეწვია აზერბაიჯანს, საქართველოს, ახლა კი მიემგზავრება სომხეთში, და მისი ვიზიტი სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ისტორიულ მოვლენად მიმაჩნია.

შედარებით ხანმოკლე დროში შევძელით განგვეხილა არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის პერსპექტივა, არამედ გლობალური პროექტების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხებიც. გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ჩვენი სახელმწიფოები ძირითადი ქვეყნები არიან „დიდი აბრეშუმის გზის" აღორძინების პროექტის განხორციელების პროცესში. ჩვენმა ქვეყნებმა უნდა შეასრულონ კასპიის დიდი ნავთობის ტრანსპორტირების უაღრესად მნიშვნელოვანი მისია, რომელსაც აზერბაიჯანსა და ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში მოიპოვებენ. ეს პროექტები ნაწილობრივ უკვე რეალიზებულია და მოქმედებს. ბედნიერი ვარ, აღვნიშნო, რომ რუმინეთის პრეზიდენტთან მოლაპარაკების პროცესში მთლიანად დაემთხვა ჩვენი პოზიციები აღნიშნული პროექტების მიმართ.

– არ შემიძლია არ აღვნიშნო ის განსაკუთრებით გულითადი, მეგობრული ურთიერთობა, რომელიც ორ პრეზიდენტს შორის მყარდება, – ხაზი გაუსვა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა. – მთელი გულწრფელობით მინდა ვთქვა, რომ ემილ კონსტანტინესკუ არაორდინარული, ორიგინალური, დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეა. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი მეტად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალი, აყვავებული ევროპის ჩამოყალიბებაში. მან უკვე დაიმსახურა საქართველოს ხალხის სიყვარული და პატივისცემა.

**დასრულდა რუმინეთის პრეზიდენტის ემილ კონსტანტინესკუს სამდღიანი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.**

**3 ივლისს რუმინეთის ლიდერი, რომელიც აგრძელებს მოგზაურობას ამიერკავკასიის სახელმწიფოებში, ერევანს გაემგზავრა. თბილისის აეროპორტიდან ბატონი ემილ კონსტანტინესკუ გააცილა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.**

**საპატიო სტუმარი გააცილეს, აგრეთვე, სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა, სხვა ოფიციალურმა პირებმა.**

საქინფორმი.

პრეზიდენტი

## საბალეტო ზეიმი გრძელდება

3 ივლისს თბილისელი მაყურებელი მორიგი საბალეტო დღესასწაულის მოწმე გახდა. ამ დღეს ვახტანგ ჭაბუკიანის ხსოვნის კვირეულის ფარგლებში თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე პირველად შესრულდა ალექსანდრე რატმანსკის ერთმოქმედებიანი ბალეტი „სიზმრები იაპონიაზე", რომელშიც თავისი ხელოვნებით კიდევ ერთხელ მოხიბლა თაყვანისმცემლები ნინო ანანიაშვილმა. რუსეთის დიდი თეატრის ვარსკვლავებთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობდა ჰიუსტონის საბალეტო თეატრის სოლისტი, ჩვენი თანამემამულე დავით მახათელი.

„საბალეტო საღამოს" დაესწრნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი.

საქინფორმი.

შევეწიოთ!

## სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**წმიდა სამების საკათედრო ტაძრისათვის შემოწირულობათა ნუსხას დღითიდღე ემატება ახალი სახელები. მშენებლობის ფონდი, სრულიად საქართველო მადლობას უხდის ყველას, ვინც მშენებლობას თუნდაც ერთი თეთრით დაეხმარა, ხოლო ვისაც სურვილი და საშუალება აქვს, მონაწილეობა მიიღოს ამ საშვილიშვილო საქმეში, გაცნობებთ საბანკო რეკვიზიტებს:**

**საქართველოს ბანკი, ეროვნული ვალუტის ანგარიში № 003700076, საერთაშორისო ვალუტის ანგარიში № 50107635, მფო 521017.**

### ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:

ეკონომიკის სასწავლო ინსტიტუტი ———— 200 ლარი;
სააქციო საზოგადოება „ინდუსტრია-ინვესტი" ———— 8 ლარი;
თეიმურაზ მარგველაშვილი ———— 40 ლარი;
თეიმურაზ ჩაჩავა ———— 19 ლარი.

კანონმდებლები

## მიწების კლანური მაფია

საქართველოში 29, თბილისში – 6 პარკი და ტყეპარკი საქართველოს კულტურის ძეგლებს განეკუთვნება. მათ იცავს საქართველოს კონსტიტუცია და კულტურის ძეგლების დაცვასთან დაკავშირებით მიღებული საქართველოს პარლამენტის გასული წლის დადგენილება, აგრეთვე, ევროსაბჭოსა და ევროქარტიის შესაბამისი საერთაშორისო კონვენციები. მიუხედავად ამისა, თბილისის ტყეების, ბაღპარკებისა და სკვერების მწვანე საფარი, ფრიად გამწვანება, კუთვნილი მიწის ფართობი და მიმდებარე ტერიტორია, უმოწყალოდ ნადგურდება, ან გადადის კერძო ბიზნესმენთა ხელში. შედეგად, ქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე, უკანონოდ შენდება კერძო ობიექტები, რაც არსებულ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება.

სწორედ ამ საკითხებზე გამახვილდა ყურადღება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ურბანისტიკის ქვეკომიტეტის ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

ქვეკომიტეტის თავმჯდომარის გიორგი შაიშმელაშვილის თქმით, ცოცხალი ბუნების გამოძევება ურბანისტული ტიპის ქალაქების დამახასიათებელი ხენია. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ თბილისის გენერალური დაგეგმარების პროექტი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის შარშანდელი ბრძანებულებით უნდა მომზადებულიყო, ჯერ არ შემუშავებულა. ამიტომ, არსებული საკანონმდებლო ვაკუუმის ფონზე, ღია ურბანისტური სივრცეების ათვისება, დაინტერესებული პირებისათვის ადვილი გახდა.

იხ. მე – 2 გვ.

კორუფციის წინააღმდეგ

## რეფორმების დაჩქარება უებარი წამალია

### გვესაუბრება საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი ავთანდილ სილაგაძე

– დღეს ბევრი ფიქრობს, ბევრი ხმამაღლაც ლაპარაკობს, რომ საქართველოს, რომელმაც, როგორც იქნა, მონობას თავი დააღწია, ახლა კორუფცია ულრღნის გულმკერდს, ანადგურებს მის ეკონომიკას. ამის საბაბიც არსებობს – დაუზუსტებელი მონაცემებით ქვეყნის შემოსავლების 70-80 პროცენტი „ჩრდილოვან ეკონომიკაში" ილექება, ხალხი გაუსაძლის გასაჭირშია, საზოგადოების ნებიერი ერთეულები კი სასახლეებს იშენებენ, ოქრო-ვერცხლში ცურავენ და მილიარდებს ეთამაშებიან.

ამ ფონზე არც თუ უმანკო კრავად გამოიყურება სახელმწიფო ქონების მართვის სისტემა, სადაც ყოველთვის იქმნება სახელმწიფო მოხელეთა გადაცდომის საშიშროება. ამასთან დაკავშირებით რას იტყოდით?

იხ. მე – 2 გვ.

> რაც უფრო ნაკლებად იქნება მეწარმე დამოკიდებული ჩინოვნიკზე, მით უფრო ნაკლები იქნება კორუფციის მასშტაბები.

## ძეგლი — სწორუპოვარ ხელოვანს



გუშინ მთაწმინდაზე ხალხმრავლობა იყო, სადაც გაიხსნა გენიალური მოცეკვავის ვახტანგ ჭაბუკიანის საფლავის ძეგლი. თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო ცენტრის თაოსნობით გამართული ხსოვნის კვირეულის პროგრამაში (რომელიც 28 ივნისს დაიწყო) ერთ-ერთი ღირსსახსოვარი მოვლენა სწორედ ეს ამბავი გახლდათ.

შეკრებილ საზოგადოებრიობას სიტყვებით მიმართეს საქართველოს კულტურის მინისტრმა ვალერი ასათიანმა, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტმა, პროფესორმა ეთერ გუგუშვილმა, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ფელიქს ზემსკიმ, ვახტანგ ჭაბუკიანის ბრწყინვალე პარტნიორმა ვერა წიგნაძემ, ქართული საბალეტო სკოლის დიდმა მოამაგემ სიმა ვეკუამ, მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინამ ნინო ანანიაშვილმა. თავიანთ გამოსვლებში მათ ილაპარაკეს ვახტანგ ჭაბუკიანის განუმეორებელ ღვაწლსა და მნიშვნელობაზე ბალეტის სამყაროში.

საფლავის ძეგლის ავტორია მოქანდაკე ქეთევან ჯაფარიძე. თავის ნამუშევარში იგი შეეცადა გადმოეცა ზემთაგონება და ღვთაებრიობა, რომლითაც აღსავსე იყო ჭაბუკიანის საცეკვაო ხელოვნება.

მთაწმინდაზე სამუდამო სავანე ჭაბუკიანმა თავისი გამორჩეული მეგობრის, დიდი ვერიკო ანჯაფარიძის გვერდით ჰპოვა, ამიერიდან ისინი ძეგლებში ამეტყველებულნი მეხვდებიან თავიანთ მადლიერ თაყვანისმცემლებსა და მომავალ თაობებს, ვისთვისაც ლეგენდად დარჩებიან...

„მთელი ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების განმავლობაში ქედს ვიხრიდი ჭაბუკიანის თვალისმომჭრელი ნიჭის წინაშე, მაგრამ ახლა (გულისხმობს ბალეტ „ოტელოს" – გ. ლ.) ჩემთვის კიდევ უფრო გაიზარდა, ამაღლდა იგი. მე ბედნიერი ვარ იმიტომაც, რომ ეს შესანიშნავი თეატრალური მოვლენა დაიბადა ჩვენს მშობლიურ თბილისში" – წერდა თავის დროზე ვერიკო ანჯაფარიძე.

გუშინ კი მთელმა ერმა და ქვეყანამ მოიხარა ქედი სწორუპოვარი ხელოვანის წინაშე!...

გიორგი ლალიაშვილი.

უკანასკნელი საათს

ბუშინ, გამთენიისას, მოკლეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი ლევ როხლინი. მკვლელობა აღიარა მისმა მეუღლემ.

ბუშინ ვენიდან მოსკოვს დაბრუნებულ „გაზპრომის" თავმჯდომარესთან რემ ვიახირევთან პრეზიდენტ ელცინის მკაცრი საუბრის შემდეგ გადაწყდა, რომ ის სახელმწიფო ვალებს დაფარავს.

ბუშინ ჩეხეთის ვიცე-პრემიერმა მამილ ბახავემა გადადგომის შესახებ ოფიციალურად განაცხადა.

ინფორმაცია

### ასლან აბაშიძის სამართლიანი შენიშვნები

ბათუმის ახალი აეროპორტის მშენებლობის საკითხს განიხილავენ თურქეთში საქართველოს ავიაციის დეპარტამენტის უფროსის ჯემალ მარგველაძის და საქართველოს ტრანსპორტის მინისტრის მერაბ ადეიშვილის ვიზიტისას, რომელიც 15 ივლისს დაიწყება.

„ასლან აბაშიძის კრიტიკული შენიშვნა ჩვენი მისამართით უსაფუძვლო არ ყოფილა. წლების მანძილზე უცხოეთიდან ბათუმში მომავალ თვითმფრინავებს თავდაპირველად თბილისში ვიღებდით და, შემდეგ, გამყოლის მეშვეობით, ბათუმში ვუშვებდით", – უთხრა პრაიმ-ნიუსს მარგველაძემ, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეხვედრის შედეგების კომენტირებისას.

მისი თქმით, შეხვედრისას ბევრი საჭირბოროტო საკითხი გადაწყდა და ახლო მომავალში ყველა პრობლემა მოგვარდება.

### სანიმუშოდ იხდიან

ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მხრივ, აჭარაში სანიმუშო მდგომარეობაა, – უთხრა პრაიმ-ნიუსს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა თემურ გიორგაძემ.

მისი თქმით, ენგურჰესის მომსახურე პერსონალს სწორედ აჭარიდან ამოღებული თანხებით უხდიან ხელფასს.

### ტრაგედიის სტატისტიკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის ცნობით, 1998 წელს გალის რაიონში დაწყებული ქართული მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძიების ხელთ არსებული მონაცემებით, დაღუპულთა რაოდენობამ შეადგინა 61 კაცი. სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო 24-მა. სპეცკონტინგენტიდან დაიღუპა 16, უგზოუკვლოდ დაიკარგა 11 პირი. მძევლად აყვანილია 45. გადამწვარი და განადგურებულია 2106 საცხოვრებელი სახლი. საკუთარი მიწა-წყლიდან განდევნილია 41 ათას 676 მშვიდობიანი მცხოვრები.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრმა, „პრაიმ-ნიუსმა", „იბერიამ", „ბიამ".**

თანადგომა

## ოთხი აქვს დარდი სამურზაყანოელს... და ისიც - საქართველო

საქართველოს სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი ფონდის გენერალური დირექტორი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, ოთარ ხუფენია ბოლო მოვლენების პირველივე დღეებიდან, როგორც ხელისუფლების ერთ-ერთი წარმომადგენელი, გვერდში ედგა გალის რაიონიდან დევნილ მოსახლეობას.

ზუგდიდში მას რედაქციის თხოვნით შეხვდა მწერალი ბური ოტობაია (ფეტელავა).

– აფხაზეთის პრობლემებზე საუბარი ყველაზე მახლობელი თემატიკით მინდა დავიწყო, ორივესთვის საზიარო სოფლით – ოტობაიით. საქმე ის გახლავთ, რომ ქართულ პერიოდიკაში უკვე რამდენიმეგზის გამოქვეყნდა ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს ოტობაიელები, თუკი მთავრობა არ უზრუნველყოფს მათ სასიცოცხლო პირობებს, თეთრ ბაირაღებს აიღებენ, გადავლენ ენგურს გაღმა და არძინბას რეჟიმს აღიარებენ, ანუ ხაზს გადაუსვამენ ათასობით ნაწამები ადამიანის ხსოვნას, ჩვენს წმიდათა-წმიდა მოვალეობას, ვიდგეთ წარსულის, დღევანდელობისა და მომავლის მეციხოვნეებად.

გაგაცნობთ ციტატებს ქართული პრესიდან: „თუ სახელმწიფო არ მიხედავს, ოტობაიელები აფხაზებს ჩაბარდებიან...

(ბპ) თუ საქართველოს მთავრობა უახლოეს დღეებში არ გადაწყვეტს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიაში განთავსებულ ოტობაიელ დევნილთა საკუთარ სახლებში უსაფრთხო და მალე დაბრუნების პრობლემას, ისინი აპირებენ თეთრი დროშებით გადასვლას და სეპარატისტული რეჟიმის აღიარებას.

ორსანტიაში განთავსებულ დევნილთა უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ ამძაფრებს მათი უკიდურესად მწვავე საყოფაცხოვრებო პირობები. ასევე, საკვები პროდუქტის უკმარისობა. მთავრობისგან დაპირების გარდა, ქმედითი დახმარება ჯერჯერობით არ ჩანს". „დილის გაზეთი", № 133, 17.06.98.

ქართული პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ამასაც არ გვაკმარებს. ახლახან „კვირის პალიტრამ" შემოგვთავაზა ფრიად დამაფიქრებელი მოსაზრება:

„აფხაზეთის მთავრობა მოვიდეს და ჩემთან დაწვეს კარავში...

...ზამთრამდე აქ, ამ კარვებში ვიქნებით. ზამთრამდე ჩვენ უნდა მივხედოთ ჩვენს საქმეს და ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ჩვენს ადგილ-მამულს დავუბრუნდეთ. ჩვენი წინაპრების საფლავს არ მივატოვებთ, რაც არ უნდა მოხდეს, მაგრამ დავბრუნდებით არა ისე, როგორც საქართველოს ხელისუფლებას სურს, არამედ როგორც ხალხს უნდა. კერძოდ, ჩვენმა მთავრობამ აიძულა ხალხი, ასე მოიქცეს. ხალხი, ალბათ, ზურგს შეაქცევს დღევანდელ ხელისუფლებას და იქითა მხარეს გადავა... ჩავეწერებით მეგრელებად და არა აფხაზებად... იქ უკვე ჩვენ ვიცით, როგორ ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩვენი წასვლით ხელისუფლება 2 მილიონ ადამიანს კარგავს.... მერე შეიძლება მოღალატეებიც დაგვიძახონ, მაგრამ გაიხსენონ „ეროვნული" მოწმობები, რომელიც დაგვირიგეს ქართული და აფხაზური წარწერით, სადაც ეროვნება საერთოდ არ არის მითითებული. გვეთანხმებით, შეიძლება ჩვენი გადასვლის შემდეგ იგივე დატრიალდეს, ისევ დავიხოცოთ, მაგრამ 10 კაცი ხომ დარჩება, ისედაც იმ 10 კაცისთვის ვიბრძოდით. ხელისუფლებამ იცოდეს, რომ ტყუილს წერტილი დაესვა და ასე არ გაგრძელდება". „კვირის პალიტრა", № 25, 22-25.06. 98 წ.

იხ. მე – 3 გვ.

> ადვილია გაჭირვებული ხალხის გრძნობებზე თამაში, გაცილებით რთულია სასოწარკვეთილისთვის ნუგეშის ცემა. ძნელია იმიტომ, რომ მათსავით უნდა გტკიოდეს, მათსავით უნდა იტანჯებოდე...

დღეს

ამინდი

დასავლეთ საქართველოში ღამით +15+20; დღისით +23+28.
აღმოსავლეთ საქართველოში ღამით +16+21; დღისით +26+31.
თბილისში: ღამით +19+21; დღისით +29+31.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კანონმდებლები

# მიწების კლანური მაფია

(პირველი გვერდიდან)

ჟურნალისტებს გააცნეს დადგენილების პროექტი, რომელსაც საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესა და ქვეყნის პრეზიდენტს გადასცემენ. დადგენილებაში საუბარი იქნება იმ პირთა პირადი პასუხისმგებლობის საკითხზე, რომელთაც თბილისის ტყე-პარკების ტერიტორიები უკანონოდ აითვისეს.

პარლამენტარებს მიაჩნიათ, რომ „ჩვენში ყალიბდება კლანური მაფია, რომელიც ხელში იგდებს თბილისის მიწებს".

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს ვაკის, ვერის, ალექსანდრეს, საბურთალოს „წითელი პარკის", არტოს, მუშტაიდისა და სხვა პარკების საგანგაშო მდგომარეობის მესახებ. ითქვა, რომ ეს ტერიტორიები, ქალაქის კულტურისა და ხელოვნების ისტორიულ ძეგლებს მიეკუთვნება. მათ ფართობსა და მიმდებარე ტერიტორიაზე აშენებული, ან მშენებარე ნაგებობანი კი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" კანონის მიხედვით, არაკანონიერად ითვლება. ყოველ ადამიანს აქვს ჯანსაღ ბუნებრივ გარემოში არსებობის უფლება. აქედან გამომდინარე, ადამიანის, როგორც მოქალაქის უფლებები, ირღვევა.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს ტყეპარკების კონკრეტულ პრობლემებზე. ითქვა, რომ დედაქალაქის მერია თბილისის მწვანე საფარის ტერიტორიების თვითნებურად ათვისებას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ხელს უწყობს კიდეც, თუმცა, ამ რამდენიმე დღის წინ, მერიამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, ასეთ ტერიტორიებზე ახალი მშენებლობები აიკრძალა, ხოლო უკვე არსებული ნაგებობების ბედი, დეპუტატ გიორგი გაჩეჩილაძის აზრით, დადგენილებაში გარკვეულად არ არის გამოკვეთილი. დეპუტატებმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს თბილისის მწვანე ფილტვების დასაცავად მხარში ამოდგომა სთხოვეს.

## დევნილები იძულებული შეიქმნენ

თბილისში იძულებით გადაადგილებულ პირთა განთავსების პრობლემების შესახებ იმსჯელეს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი კომისიის სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ფრაქცია „აფხაზეთის" წევრი ვახტანგ ყოლბაია უძღვებოდა.

სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების წარმომადგენლები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზურაბ ერქვანია.

მსჯელობაზე განსაკუთრებული ყურადღება დევნილთა მიერ შენობების უნებართვოდ დაკავების ფაქტებზე გამახვილდა, რაც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძის განცხადებით, 1996 წლიდან დაიწყო, 1997-1998 წლებში კი, უკვე მასობრივი ხასიათი მიიღო, ოფიციალური მონაცემებით, გასული და მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში, აღრიცხულია დევნილთა უნებართვოდ შეჭრის 27 შემთხვევა, რომელთაგან 10 ფაქტზე სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება დევნილთა გასახლების შესახებ.

ბატონ ვახტანგ ყოლბაიას ინფორმაციით, დღეისათვის თბილისში რეგისტრირებულია 84515 დევნილი, მათგან კომპაქტურად განსახლებულია 28762, მისი თქმით, 1997-1998 წლებში დროებითი განთავსების თაობაზე შესაბამის სტრუქტურებს მიმართა 3400-მდე დევნილმა, მათგან დაკმაყოფილდა მხოლოდ 400 დევნილის განცხადება. პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის განცხადებით, სწორედ მძიმე საცხოვრებელი პირობების გამო გახდა იძულებული დევნილთა ერთი ნაწილი უნებართვოდ შეჭრილიყო შენობებში.

პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებაში ამ საკითხებზე მსჯელობა კვლავაც გაგრძელდება.

პარლამენტის პრესსამსახური.

## კორუფციის წინააღმდეგ

# რეფორმების დაჩქარება უებარი წამალია

(პირველი გვერდიდან)

– კორუფცია მთლიანად დღემდე არც ერთ განვითარებულ ქვეყანას არ აღმოუფხვრია და ამის იმედი, ალბათ, არც ჩვენ უნდა გვქონდეს. ლაპარაკია მის მასშტაბებზე, რომელმაც საქართველოში, მართლაც, არნახული გასაქანი ჰპოვა. ამიტომ, თუ არ შევებრძოლეთ, თანაც შეუპოვრად და პრინციპულად, გარდუვალად დავიღუპებით.

მაგრამ რით და როგორ უნდა შევებრძოლოთ? ჩემი აზრით, კორუფციას, უპირველესად, რადიკალური რეფორმების დაჩქარებით უნდა შევუტიოთ. თუ პრივატიზებას სწრაფად და ბოლომდე განვახორციელებთ, იგი ნოყიერ ნიადაგს გამოაცლის კორუფციის არსებობას, საკმაოდ შეასუსტებს მის პოზიციებს (კერძო მეპატრონე არავის მისცემს უფლებას მისი ქონება გაანიავოს). რა თქმა უნდა, კორუფციასთან საბრძოლველად უნდა გამოვიყენოთ ადმინისტრაციული მეთოდებიც, მაგრამ მხოლოდ ამით ან მხოლოდ პრივატიზებით ფონს ვერ გავალთ, თუ გვინდა, რომ კორუფცია დავამარცხოთ, მას ორივე ეს მეთოდი უნდა დავუპირისპიროთ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის ლეგალიზებაში დიდად დაგვეხმარება საგადასახადო კოდექსის კორექტირება იმ კუთხით, რომ ის საქართველოს რეალურ ცხოვრებას მიესადაგოს. რადგან ეს ასე არ არის, დღეს მეწარმე ხშირად კანონის დარღვევით, მალულად საქმიანობს, რაც ბიუჯეტსა და ქვეყნის ეკონომიკას დიდად აზარალებს. რაც უფრო ნაკლებად იქნება მეწარმე დამოკიდებული სახელმწიფო ჩინოვნიკზე, მით უფრო ნაკლები იქნება კორუფციის მასშტაბები.

აქვე არ შემიძლია არაფერი ვთქვა საბანკო სისტემის რეფორმა-განმტკიცების თაობაზე. უეჭველად უნდა აღსდგეს ბანკებისადმი ხალხის ნდობა, რათა ფულმა მათი გვერდის ავლით არ იგრიალოს. დღეს კი, რა დასამალია, ასეულ მილიონობით ლარი ჯიბის (და არა ბანკის) მეშვეობით მოძრაობს, რაც საბიუჯეტო შემოსავლებს გვარიანად ამცირებს, ჩრდილოვან ეკონომიკას კი მაძღრისად კვებავს.

აი, როცა ფარული ეკონომიკის მაქსიმალური ლეგალიზაცია ხდება, ცხოვრებასაც დაეტყობა: გაიზრდება ხელფასები, პენსიები, სოციალური დაცვის ხარჯები. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, გაიზრდება მუშაკთა პასუხისმგებლობაც, უფრო მეტი მოეთხოვება სახელმწიფო მოხელეს, რომელსაც ხელფასით შეეძლება ოჯახის რჩენა. ბუნებრივია, ყოველივე ეს ერთი ხელის დაკვრით არ გაკეთდება, აქ პრობლემათა ურთიერთგადახლართული ჯაჭვია დასაძლევი.

ეს ზოგადად, მაგრამ არც პრობლემის კონკრეტიკას გავექცევი. თქვენ სწორად შენიშნეთ, ჩვენი სამინისტრო ისეთი სტრუქტურაა, სადაც ყოველთვის, იქნება სახელმწიფო მოხელეთა გადაცდომის საშიშროება. სხვათაშორის არც ერთი ქვეყანა, სადაც პრივატიზება მოხდა, არ ყოფილა დაზღვეული კორუფციისაგან და, ბუნებრივია, ვერც ჩვენ ვიქნებით გამონაკლისი. ამას წინათ ერთი ასეთი ფაქტი გამოვლინდა თბილისის ქონების მართვის სამმართველოში. საქმე ძიებაშია და ჯერჯერობით კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ თვით ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ სიფხიზლე და ბრძოლა ამ დაავადების წინააღმდეგ უნდა გაძლიერდეს. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ხდება სახელმწიფო ქონების უზარმაზარი მასის გადასვლა კერძო მესაკუთრეთა ხელში, რაც, თავისთავად, კორუფციის დიდ შესაძლებლობებს ქმნის.

*– ბატონო ავთანდილ, ალბათ, დამეთანხმებით, თვითონ პრივატიზაციის პროცესი, კორუფციის თვალსაზრისით, უაღრესად საშიში და მაცდურია. რა ღონისძიებებს ახორციელებთ ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად?*



– არ გამოვრიცხავ, რომ პრივატიზაციის პროცესში, ამ მართლაც მაცდუნებელ პროცესში, ცალკეული დარღვევები და დანაშაულობები ხდება, მაგრამ ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს. ამით ის მინდა ვთქვა, რომ ჩვენს სტრუქტურაში კორუფციის სისტემა არ არსებობს. საკუთარ თავზეც ვიტყვი: ნაკლოვანებები და ხარვეზები შეიძლება მეც მქონია მუშაობაში, მაგრამ ისინი შეგნებულად არასდროს დამიშვია. სამინისტროში შექმნილია და მოქმედებს სპეციალური ჯგუფი, რომელიც მაქსიმალურად ცდილობს კანონიერებიდან გადახვევის შემთხვევები გამორიცხოს. ესეც არ იყოს, ქვეყანაში არ დარჩენილა არც ერთი მაკონტროლებელი ორგანო, რომელსაც მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის სისწორე არ შეემოწმებინოს, არ დარჩენილა თაროზე არც ერთი საქმე, რომელსაც მაკონტროლებლის ხელი არ შეხებოდეს.

*– და მაინც დარღვევათა დიდ შესაძლებლობას მოიცავს თავის თავში ტენდერები, რომლებიც ბოლო პერიოდში არც თუ იშვიათად ეწყობა. რა მექანიზმია შექმნილი იმისათვის, ამ პროცესში შეცდომები გამოირიცხოს?*

– ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილია კომისია (ჩემი თავმჯდომარეობით), რომლის წევრებიც არიან ფინანსთა, ეკონომიკის, იუსტიციის, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრები, პარლამენტის ცალკეული კომიტეტების თავმჯდომარეები, რეგიონული სამსახურების ხელმძღვანელი, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, რომლებიც შეისწავლიან და წყვეტენ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების საკითხებს. კომისიამ განიხილა, მაგალითად, ფოთის გემთმშენებელი ქარხნის პრივატიზაციის საკითხი და დადებითად გადაწყვიტა. იგი, ასევე განიხილავს და გადაწყვეტს „თბილგაზის", „თელასის", ავიაკომპანიის და სხვათა პრივატიზაციების პრობლემებს. მუშაობის ასეთი მექანიზმი, როცა პასუხისმგებლობას იზიარებს არა ერთი, არამედ რამდენიმე უწყება, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად გამორიცხავს ტენდერის მსვლელობაში, მთელ ამ პროცესში სუბიექტურ მომენტებს.

*– თქვენ ლაპარაკობთ რეფორმების დაჩქარების აუცილებლობაზე, როგორც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის უებარ საშუალებაზე. როგორია პრივატიზაციის სურათი ამჟამად ქვეყანაში?*

– სურათი საკმაოდ მრავლისმეტყველია. უკვე პრივატიზებულია ქვეყნის მცირე საწარმოთა 95 პროცენტი (11 ათასი ობიექტი), მსხვილ საწარმოთა დაახლოებით 75 პროცენტი (850 ობიექტი), მთავრდება რეფორმა ჯანდაცვის სფეროში. პრივატიზაცია ასევე შეეხო ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებს, როგორიცაა სათბობ-ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის სისტემები, ავიაკომპანიები და სხვა. ამ დღეებში „თელასზე" გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი (საწყისი ფასი 10 მილიონი ლარი, ვალი 100 მილიონი ლარი), პარალელურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები „თბილგაზის", ჰიდროელექტროსადგურების გასაპრივატიზებლად, რაც წარმატებით დასრულების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტს სოლიდურ თანხებს შესძენს. წლეულს მან პრივატიზებიდან უკვე 17 მილიონი ლარი მიიღო.

*– თქვენ ამას ამბობთ, მავანნი კი ჭირქილებენ – ჰესები გაყიდეს და ქვეყანა დააქციესო.*

– ამ შემთხვევაში, ალბათ, უნდა დავეყრდნოთ (და არა მარტო ამ შემთხვევაში) ფაქტებს და არა მონაჭორებს. ფაქტები კი ასეთია. დღეისათვის ენერგეტიკაში პრივატიზებულია სიმძლავრეთა მხოლოდ 1,9 პროცენტი (მცირე ჰესები). საქართველოში სულ 19 მცირე ჰესია, აქედან პრივატიზებულია 12 ჰესი, რომელთაგან უკვე მუშაობს 10. პრივატიზების შემდეგ აღნიშნულ ჰესებში ელექტროენერგიის გამომუშავება გაიზარდა 49 პროცენტით, დასაქმება – 77 პროცენტით, ხელფასი – 5-6-ჯერ.

ამ ციფრებიდან დასკვნები თვით მკითხველმა გამოიტანოს. მე კი კვლავ გავიმეორებ, რომ რაც უფრო სწრაფად დავასრულებთ რეფორმებს, რაც უფრო მეტი მესაკუთრე გაუჩნდება სახელმწიფო ქონებას, მით უფრო მეტად შევავიწროვებთ კორუფციის მასშტაბებს, მოვალონიერებთ ეკონომიკას, გავზრდით ხალხის კეთილდღეობას.

ესაუბრა
ოთარ ხუციშვილი.

## ოკუმენტი

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1998 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

## ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის კონცეფციის შესახებ

**საქართველოში ერთიანი მეთანხმებული სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების მიზნით:**

**1. მოწონებულ იქნეს ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიის მიერ შემუშავებული ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის თანდართული კონცეფცია.**

**2. სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის კონცეფცია საფუძვლად დაედოს ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის ერთიანი პროგრამის შექმნას, აგრეთვე ამ საქმიანობის ყოველწლიური გეგმების შედგენას, ამ სფეროში სათანადო ნორმატიული აქტების მომზადებას და ამ მიმართულებით ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურებისა და სხვა დაინტერესებული უწყებების საქმიანობის კოორდინაციას.**

**3. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ინდიკატური გეგმის შემუშავების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, საინვესტიციო პროექტებისა და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის თაობაზე სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებათა მომზადების დროს გათვალისწინებულ იქნეს ამ კონცეფციის შესაბამისად ქვეყნის სათანადო სამინისტროთა და უწყებათა მიერ ეროვნული უშიშროების საბჭოს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივი საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით წარმოდგენილი წინადადებები.**

**4. ქვეყნის ძალოვანმა სტრუქტურებმა და შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის კონცეფციის შესაბამისად უზრუნველყონ სამხედრო ძალების სახეობათა მიხედვით შეიარაღების, აგრეთვე, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციისა და რემონტის, თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზების განვითარებისა და ქვეყნის მრეწველობის სამობილიზაციო მზადყოფნის პროგრამების შემუშავება.**

ე. შევარდნაძე.

## ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის კონცეფცია

### I ზოგადი დებულებები

ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) კონცეფცია ასახავს მოსაზრებებს პროგრამის მიზნებზე, ამოცანებზე, პრინციპებზე, ძირითად მიმართულებებზე, მის სტრუქტურასა და მინაარსზე.

პროგრამის შემუშავების ობიექტური საფუძველია ქვეყანაში ერთიანი შეთანხმებული სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება.

### II ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის მიზნები. ამოცანები. ძირითადი მიმართულებები

სამხედრო-ტექნიკური საქმიანობა განიხილება როგორც ქვეყნის სამინისტროების, უწყებების, ორგანიზაციების ურთიერთმისაღები და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შექმნის, წარმოების, შესყიდვის, მიწოდების, ექსპლოატაციის, მოდერნიზაციის, რემონტის, უტილიზაციის, ლიკვიდაციისა და ქვეყნის სამხედრო ძალების სამეცნიერო-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებში.

**სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის ძირითადი მიზნებია:**

– ეროვნული უშიშროების უზრუნველსაყოფად სამხედრო ძალების აღჭურვა ეფექტიანი შეიარაღებით და სამხედრო ტექნიკით;

– ქვეყნის თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო დარგების აღდგენა, შექმნა და მათი კოოპერაციის გაღრმავება;

– მაღალკვალიფიციური სამხედრო-ტექნიკური, სამეცნიერო კადრების და სპეციალისტების მომზადება;

**სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის ძირითადი ამოცანებია:**

– ქვეყნის სამხედრო დოქტრინიდან და სამხედრო აღმშენებლობის გეგმებიდან გამომდინარე, შეიარაღების, სამხედრო და სპეციალური ტექნიკის აღჭურვილობის ისეთი ოპტიმალური სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვითი პოტენციალის სათანადო დონეს;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შეკვეთების სისტემის ოპტიმიზაცია;

– ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო გამოკვლევების, პერსპექტიული სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური სამუშაოების მაღალი დონის უზრუნველყოფა, საწარმოების (ორგანიზაციების) სამეცნიერო-ექსპერიმენტული, საგამოცდო და საწარმოო ბაზების განვითარება;

– თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო დარგების აღდგენის, შექმნის, მათი კოოპერაციის განვითარების ერთობლივი პროგრამებისა და გეგმების შემუშავება შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკის შექმნის, წარმოების, მიწოდების, ექსპლოატაციის, მოდერნიზაციის, რემონტის, უტილიზაციის და ლიკვიდაციის სფეროში და ამ საკითხებში ნორმატიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების შექმნა;

– შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის დაგეგმვის, შესყიდვის, შექმნის, წარმოების, რემონტის, შეკვეთების მიღების სისტემისა და მართვის (კოორდინაციის) სტრუქტურის შექმნა და დახვეწა;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის, სამხედრო დანიშნულების ტექნოლოგიების, თავდაცვითი მრეწველობის დარგების სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო და ტექნოლოგიური ბაზების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის გამოსაშვებად საჭირო საწარმოო და სამობილიზაციო სიმძლავრეების შენარჩუნებისა და განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა;

– სამხედრო წარმოების რაციონალური კონვერსიის განხორციელება.

**სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**

– სამხედრო ძალების სახეობების მიხედვით შეიარაღების მრავალწლიანი პროგრამების შემუშავება;

– სამხედრო დანიშნულების სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის კოორდინაცია;

– სათანადო მოთხოვნების შემუშავება ქვეყნის სამხედრო ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში;

– ქვეყნის სამხედრო ძალებისათვის სამხედრო-ტექნიკური კადრებისა და სპეციალისტების მომზადება;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის, აღჭურვილობის უნიფიკაცია და სტანდარტიზაცია;

– სამხედრო-ტექნიკური დანიშნულების ეროვნული ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ბაზის შექმნა და სამხედრო-ტექნიკური სტანდარტების შემუშავება;

– შეიარაღების, სამხედრო-ტექნიკის და აღჭურვილობის მოდერნიზაცია;

– ქვეყნის სპეციალური საინფორმაციო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და მისი დაცვა;

– ქვეყნის მრეწველობის სამობილიზაციო მზადყოფნისა და სამობილიზაციო რეზერვების შექმნის უზრუნველსაყოფად კომპლექსურ ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია;

– შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნის, წარმოებისა და ექსპლოატაციის დარგში უცხოეთის ქვეყნებთან ორმხრივი ან მრავალმხრივი ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა;

– შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, სამხედრო დანიშნულების ტექნოლოგიებისა და სამუშაოების (მომსახურების) ექსპორტ-იმპორტი.

### III პროგრამის ძირითადი დებულებები და სტრუქტურა

პროგრამა არის ხანგრძლივი პერიოდის დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის ამოცანების რეალიზაციას და წარმოადგენს ამ საქმიანობის ყოველწლიური გეგმების შედგენის საფუძველს.

პროგრამა ითვალისწინებს ნორმატიული სამართლებრივი, ფინანსური, საინფორმაციო-ანალიზური და სხვა დოკუმენტების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მის რეალიზაციას.

**პროგრამა უნდა შეიცავდეს:**

– სამხედრო ძალების სახეობათა მიხედვით შეიარაღების პროგრამების დასასაბუთებლად საჭირო სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა ნუსხას;

– იმ შეღავათების ნუსხას, რომლებიც ექნებათ სამხედრო-ტექნიკური პროგრამებისა და გეგმების რეალიზაციის მონაწილე საწარმოებს და ორგანიზაციებს;

– იმ ღონისძიებათა ნუსხას, რომლებიც შექმნიან ურთიერთსასარგებლო პირობებს შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შექმნის, წარმოების, მიწოდების, რემონტის, მომსახურებისა და ექსპორტ-იმპორტის სფეროში;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის (სამხედრო დანიშნულების ტექნოლოგიების) სავარაუდო გაყიდვის პროგნოზულ შეფასებებს;

– იმ საბრძოლო ტექნიკის ნიმუშებს (მათ შორის საექსპორტო) დასახელებას, რომელიც იწარმოება ქვეყანაში;

**პროგრამა შეიცავს შემდეგ ძირითად თავებს:**

– შეიარაღების პროგრამა;

– შეიარაღებისა და სამხედრო-ტექნიკის მოდერნიზაციისა და რემონტის პროგრამა;

– თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო, სამეცნიერო-საკვლევი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზების განვითარების პროგრამა;

– ქვეყნის მრეწველობის სამობილიზაციო მზადყოფნის პროგრამა.

**შეიარაღების პროგრამა არის გეგმური ხანგრძლივი პერიოდის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის შექმნის, წარმოების, შეძენის ურთიერთდაკავშირებულ ღონისძიებათა კომპლექსს.**

**შეიარაღების პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ თავებს:**

– შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ახალი სისტემებისა და ნიმუშების შესაქმნელად მიმდინარე სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩამონათვალი სამუშაოთა მონაწილეების, პროდუქციის შემკვეთის, ძირითადი შემსრულებლის, სამუშაოების ვადების, საორიენტაციო მოცულობების, პროდუქციის თითოეული მომხმარებლის დაფინანსების წილის ჩვენებით;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის პერსპექტიული ნიმუშების ნომენკლატურა სამხედრო ძალების სახეობათა მიხედვით, მათი ტაქტიკურ-ტექნიკური და ეკონომიკური მახასიათებლები;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესყიდვის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის ოპერატიულ-სტრატეგიული და სამხედრო-ეკონომიკური დასაბუთება;

– შესაძენი შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ღირებულებითი და რაოდენობრივი მაჩვენებლები;

**შეიარაღების პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ღონისძიებებს შემდეგ საკითხებში:**

– თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის შეკვეთების შესრულებასთან დაკავშირებული მიდგომების დახვეწა, აღნიშნული პროდუქციის შეკვეთების, განთავსების, შემუშავების, წარმოებისა და მოდერნიზაციის სისტემაში საკონკურსო საფუძვლების დანერგვა;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შეწონასწორებული განვითარება, ამ მიზნით გამოყოფილი ფინანსური სახსრების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების პირობებიდან გამომდინარე;

– სამეცნიერო, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური უზრუნველყოფა;

– თავდაცვითი დანიშნულების პროდუქციის შესაქმნელად და საწარმოებლად სამუშაოთა რაციონალური დანაწილების უზრუნველყოფა და კოოპერაციის განვითარება;

– ქვეყნის სამხედრო დოქტრინის გათვალისწინებით სამეცნიერო გამოკვლევებისა და წარმოების ორგანიზაცია, შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების პროგნოზების შემუშავება;

– შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის წარმოების განვითარების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება და რეალიზაცია;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შექმნის, წარმოებისა და მიწოდების ხარისხის კონტროლის ორგანიზაცია;

შეიარაღების პროგრამის რეალიზაციისათვის საჭიროა ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნა, რომლებმაც, პირველ რიგში, უნდა უზრუნველყონ შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად და საწარმოებლად გარანტირებული დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

**შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციისა და რემონტის პროგრამა უნდა შეიცავდეს შემდეგ თავებს:**

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციისა და რემონტის შესახებ წინადადებებისა და ღონისძიებების ჩამონათვალი;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მოდერნიზაციის სამეცნიერო-საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა ჩამონათვალი და წინადადებები მათი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის თაობაზე;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ყველა სახის რემონტის და ტექნიკური მომსახურების მოწყობისა და ორგანიზაციის წესი;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მარაგნაწილებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობებით უზრუნველყოფის წესი;

– შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის სამოდერნიზაციო და სარემონტო სამუშაოების წარმოების ხარისხის კონტროლის ორგანიზაციის წესი.

**თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზების განვითარების პროგრამა უნდა შეიცავდეს:**

– ძირითად მიმართულებებსა და კოოპერაციული კავშირურთიერთობის განვითარების ღონისძიებებს;

– საწარმოთა სამრეწველო სიმძლავრეების ინვენტარიზაციის ღონისძიებებს მათი მზაობის გამოსავლენად შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის შესაქმნელად და გამოსაშვებად;

– ქვეყნის თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო, სამეცნიერო-კვლევითი, საცდელ-საკონსტრუქტორო და საწარმოო ბაზების აღდგენისა და განვითარების სამუშაოების ჩამონათვალს და მათი დაფინანსების წესს.

აღნიშნული პროგრამა არის ქვეყნის თავდაცვითი დანიშნულების სამრეწველო საწარმოების ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავების საფუძველი.

**ქვეყნის მრეწველობის სამობილიზაციო მზადყოფნის პროგრამა უნდა შეიცავდეს ღონისძიებებს შემდეგ საკითხებზე:**

– ქვეყნის მრეწველობის სამობილიზაციო სიმძლავრეების ოპტიმიზაცია;

– მატერიალურ ფასეულობათა რეზერვების შექმნა;

– საწარმოთა სამობილიზაციო მზადყოფნის შემოწმების ორგანიზაცია;

– ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნის საკითხებში საწვრთნელი სწავლების მოწყობის ორგანიზაცია;

– ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნის ერთიანი საკოორდინაციო სისტემის შექმნა;

* * *

ქვეყანაში სამხედრო-ტექნიკური საქმიანობის გრძელვადიანი პროგრამის შემუშავებამ და ერთიანი სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს თავდაცვისუნარიანობისა და სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების საქმეს.

პროგრამის დებულებები და მინაარსი შეიძლება გაფართოვდეს და დაკონკრეტდეს ქვეყნის სამხედრო ძალების სრულყოფის, მოდერნიზაციის სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისად.

### არ დაუშვებენ ძალადობას

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული რფ სამშვიდობო ძალების სარდალმა, გენერალმა კორობკომ ჭუბურხინჯში გამართულ ოთხმხრივ შეხვედრაზე განაცხადა, რომ რფ სამშვიდობო ძალებმა შექმნეს მობილური ჯგუფები, რომლებიც ამჟამად აკონტროლებენ გალის რაიონის სოფლებსა და გზებს და არ დაუშვებენ ძალადობას მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ.

შეხვედრისას ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა მოილაპარაკეს, შექმნან ერთობლივი ჯგუფები, რათა აღნუსხონ გადამწვარი სახლები გალის რაიონში.

### გალში დასაბრუნებლად

საქართველოს მწერალთა კავშირის ინიციატივით, დღეს, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიას, სადაც განთავსებულნი არიან გალის რაიონის სოფელ ოტობაიადან დევნილები, ეწვევიან მწერლები თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი, რევაზ მიშველაძე, ჯუნო კალანდია, ზაურ კალანდია, აგრეთვე, თბილისის გლდანის გამგებელი სოსო ვაშაკიძე, ბატონები დემურ მიქაძე და ლენდერ ცაავა, გალის გამგებელი მურმან ჭედია. ადგილზე მათ შეუერთდნენ ოთარ ფაცაცია, საქართველოს მწერალთა კავშირის სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო განყოფილების ხელმძღვანელი ზურა ჯიქია.

მათ ჩაუტანეს დევნილებს მწერლებისა და გლდანის გამგეობის მიერ შეგროვილი დახმარება – საბნები, ლეიბები და სხვა საგნები, აგრეთვე, საკვები პროდუქტები.

სტუმრები გაეცნენ არსებულ მდგომარეობას, დევნილთა პრობლემებს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლება, სახელმწიფო საგანგებო კომისია მაქსიმუმს აკეთებს, რომ დევნილებს შეუქმნას ცხოვრების ელემენტარული პირობები, მდგომარეობა მაინც მძიმეა.

საუბარი შეეხო აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების პოლიტიკური პროცესის დღევანდელ ვითარებას. დევნილებს მიეცათ სათანადო ახსნა-განმარტება: რა პრობლემებია ამასთან დაკავშირებით და რა ძალისხმევას მიმართავს საქართველოს ხელისუფლება, როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ასევე, რუსეთთან ურთიერთობაში, ორმხრივი დიალოგის ფარგლებში.

შეხვედრის დროს გამოითქვა სულისკვეთება და სურვილი, რომ უახლოეს მომავალში გადაწყდეს დევნილების გალში დაბრუნების საკითხი.

### აფეთქებები ბიჭვინთაში

როგორც სანდო წყარო იტყობინება, 28 ივნისს, დილით ადრე, კურორტ ბიჭვინთაში მოხდა ორი მძლავრი აფეთქება, რამაც მნიშვნელოვნად დააზიანა პანსიონატი „ოქროს ვერძი". ამ აფეთქებას სეპარატისტები ნამდვილად ვერ დააბრალებენ ქართველ პარტიზანებს, რომლებიც სარწმუნო წყაროს ცნობით იქ არ იმყოფებიან.

კვლავ ირღვევა დსთ ქვეყნების მეთაურთა გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდინარე ფსოუს მონაკვეთზე მიმოსვლის რეჟიმის გამკაცრების შესახებ.

მიმდინარე წლის 26, 27, 28 ივნისს აღნიშნული საზღვარი შეუფერხებლად გადაკვეთა 26-მა მძიმეწონიანმა სატვირთო ავტომანქანამ რუსეთის ფედერაციის ოცზე მეტი რეგიონიდან.

### არძინბამ წერილები დაგზავნა

აფხაზეთის ე. წ. რესპუბლიკის მთავრობამ წერილი გაუგზავნა ყველა იმ ქვეყნის, მათ შორის, თურქეთის ხელმძღვანელობას, საიდანაც აფხაზეთის ნავსადგურებში სურსათით დატვირთული გემები შედის. წერილში აღნიშნულია, რომ მიუხედავად ქართული მხარის განცხადებისა, საზღვაო აკვატორიიდან რუსი მესაზღვრეების გასვლის და საზღვრის დამოუკიდებლად დაცვის შესახებ, სასაზღვრო რეჟიმი აფხაზეთის მიმდებარე წყლებში განისაზღვრება აფხაზეთის ხელისუფლების მიერ, რომელიც არ დაუშვებს საზღვაო ბლოკადის განხორციელებას საქართველოს მხრიდან.

ინფორმაციები მოგვაწოდეს აფხაზეთის საინფორმაციო ცენტრმა, „პრაიმ-ნიუსმა", „იბერიამ", „ბეამ".

საქართველოს რესპუბლიკა
№166. შაბათი, 4 ივლისი, 1998 წელი.



3 ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# სოციალური შეჭირვება და გამგეობის ავტორიტეტი

## მოგვეცით კუთვნილი თანხა!

ბოლო წლებში ცხოვრებამ მძიმე გამოცდა მოგვიწყო. ერთ-ერთი ხიმინჯი, რომელზედაც ამ გამოცდის სიმძიმემ გადაიარა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც იყო. თერჯოლამ ამ გამოცდას ღირსეულად გაუძლო. შრომით, ოფლით, თავაუღებლად გაისარჯა, რომ ქვეყნის მშენებლობაში თავისი მოკრძალებული წვლილი შეეტანა.

რაიონის გამგეობა ხელისუფლების ის რგოლია, რომელიც ადგილზე უშუალოდ წყვეტს ხალხის ცხოვრებისეულ პრობლემებს, თანმიმდევრულად ახორციელებს პრეზიდენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკას, ბუნებრივია ცენტრალური ხელისუფლებაც ყოველმხრივ უნდა ზრუნავდეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, გამგებლების ავტორიტეტზე. არადა, ჩვენს სინამდვილეში რეალურად იყო და არის გამგეობის ავტორიტეტის შელახვის პრეცენდენტი.

მაინც, რა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს ხალხის თვალში გამგეობის ავტორიტეტის შელახვა? — უპირველესად, სოციალურმა პრობლემებმა, რომლებსაც ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ ვწყვეტთ.

თერჯოლის რაიონის გამგეობისთვის, ბუნებრივია, ხალხის სოციალური ინტერესების დაცვა უმთავრესი საკითხია. დღესდღეობით კი, გამგეობა სოციალური პოლიტიკის წარმართვაში უძლურია. შეიძლება მალე დაგვიპირისპირდეს შეჭირვებულ პედაგოგთა 800 კაციანი არმია — ბირთვი რაიონის ინტელიგენციისა, რადგანაც განათლების სისტემაზე ექვსი თვის გასაცემი ხელფასებისთვის გათვალისწინებული 205 ათასი ლარიდან მიღებული გვაქვს მხოლოდ 135 ათასი ლარი. 70 ათასი ლარის მიღების ბედი კი, გაურკვეველია. ამის გარდა, უკვე გამოყოფილი ტრანსფერების რაოდენობაში, გამგეობასთან შეუთანხმებლად, სერიოზული ცვლილებები შეაქვეთ! პედაგოგები კი თავიანთ ხელფასებს რომ ვერ მიიღებენ, უპირველესად, რაიონის გამგეობას ადანაშაულებენ.

თუმცა, ტრანსფერი კი არა, დღემდე ვერ მოვახერხეთ კანონით კუთვნილი ფული მიგვეღო მაშანური ღვინოების ქარხნის სახელმწიფო წილის (39,6 პროცენტი) გაყიდვის შემდეგ. ეს არის 150 ათასი ლარი, რომელიც თერჯოლის ბიუჯეტს ეკუთვნის. ამ თანხით კი ჩვენ პედაგოგთა ხელფასების პრობლემას უმტკივნეულოდ გადავწყვეტდით. დღემდე კანონი, ჩვენი რაიონის საბიუჯეტო უფლებამოსილება უგულებელყოფილია, თუმცაღა, ეს საკითხი მრავალჯერ დაისვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინაშე.

ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების მიუხედავად, ვერ მოვახერხეთ აგრეთვე, საოჯახო დახმარებებისათვის განკუთვნილ ასიგნებათა მიღება. ნახევარი წელიწადი ჩავთვალა და ამ ღონისძიების დასაფინანსებლად თერჯოლისთვის გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 10 პროცენტი გვაქვს მიღებული. არ შესრულდა საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 3 ივლისის ბრძანებაც თერჯოლის რაიონზე სტიქიის შედეგად დაზიანებული წყალსადენის აღდგენისთვის 20 ათასი ლარის გამოყოფის შესახებ. მიიღეთ მხოლოდ 5 ათასი ლარი! არ სრულდება, აგრეთვე, პრეზიდენტის 1998 წლის 11 მაისის განკარგულება ამას წინათ ქარიშხლით დანგრეული ობიექტების და სახლების აღსადგენად 12.600 ლარის გამოყოფის თაობაზე. აღარაფერს ვამბობ საპენსიო თანხებზე, — თებერვლის პენსიებს ახლა ვარიგებთ!

კუთვნილი პენსია, ხელფასი, დახმარება თუ შემწეობა რომ ვერ მიიღო, შეჭირვებული ხალხი, უპირველესად, გამგებელს იხსენიებს აუგად. გამგეობის, მხარის რწმუნებულის, სამინისტროების ავტორიტეტიც, ბუნებრივია, იმ კრიტერიუმით ფასდება, თუ რამდენად შეძლებენ ისინი ხალხის სოციალური ინტერესების დაკმაყოფილებას. არის საშიშროება, რომ თერჯოლის რაიონში პედაგოგთა გაფიცვა მასობრივად იქცეს. მაშინ უკვე გამგეობის ან სამხარეო ადმინისტრაციის მიერ სოციალური პოლიტიკის განხორციელებაზე საუბარიც ზედმეტი იქნება.

პრეზიდენტს არწმუნებენ, რომ ტრანსფერები ყველგან გაცემულია. ტრანსფერები კია გაცემული, მაგრამ არა იმდოზით, რაც წლის დასაწყისში დაკანონდა, რაც პედაგოგთა სამეურნეობო ხელფასებს ესაჭიროებოდა.

აი, სად არის პრობლემის თავიდათავი.

ბუნებრივია, ჩვენ არ გვინდა თერჯოლელი პედაგოგები ქუჩაში გამოვიდნენ და ისედაც დაძაბულ ვითარებას, კიდევ ერთი დაძაბულობის კერა მიემატოს. არადა, თუ კუთვნილი თანხა გაიცა, ამ პრობლემის მოგვარება ნამდვილად შეიძლება.

მაშინ გამგეობის ავტორიტეტსაც გადავარჩენთ.

**გიორგი ამირანაშვილი,**
თერჯოლის რაიონის გამგებელი.

**P. S. ამ დღეებში გაირკვა, რომ თერჯოლის რაიონის ადგილობრივი ბიუჯეტის კუთვნილი 150 ათასი ლარის საკითხი შეთანხმებულია სახელმწიფო ქონების მართვისა და ფინანსთა მინისტრებთან და მალე გადაწყდება, ოღონდაც!**

მასალები ამ რუბრიკისთვის მოამზადა სპარტაკ ძოწულიამ.




# საგადასახადო კანონმდებლობა იურისტსაც კი აბნევს

პროკურატურის ფუნქციების ახლებურად განსაზღვრის გამო გაუქმდა საერთო ზედამხედველობა. ამ კუთხით შემოწმებები აღარ ტარდება და საპროკურორო ზედამხედველობა ხორციელდება მხოლოდ მოკვლევის ორგანოების, მათ შორის, საგადასახადო ინსპექციის ოპერატიული სამმართველოს იმერეთის რეგიონული განყოფილების საქმიანობაზე, რომელიც 6 ოპერატიული მუშაკისაგან შედგება.

1997 წელს ჩატარებულ შემოწმებათა საფუძველზე გამოვლინდა 11 დანაშაული, რომლებზეც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ამავე წელს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ამოღებულია 1 მილიონ 200 ათასი ლარი, მიმდინარე წლის ხუთ თვეში შემოწმდა 12 ობიექტი, რომელთაგან, ფინანსური სანქციების სახით, ამოღებულია 589.655 ლარი, ათ ობიექტში გამოვლინდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ორში კი — სისხლის სამართლის დანაშაული. კერძოდ, 1998 წლის 30 იანვარს განყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ქ. ქუთაისის შპს „ცისფერი ყანწების" დირექტორის გ. ხუნდაძის მიმართ, საწარმოს კუთვნილ ბენზოგასამართ სადგურზე სვეტების მრიცხველების ჩამოყრის გზით დიდი ოდენობით შემოსავლის დამალვის ფაქტზე, რომელსაც სამხარეო საგამოძიებო სამსახური იძიებს.

1998 წლის 30 მარტს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იმერეთის რეგიონულ სამმართველოს გადაეცა მოკვლეული მასალები ქ. ჭიათურის სახაზინო საწარმო „ჭიათურა-96"-ის დირექტორის გ. ბურულის მიმართ სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გაფლანგვის და კონტრაბანდის ფაქტზე. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ამასთან, მიგვაჩნია, რომ ოპერატიულმა განყოფილებამ იმერეთის მხარეში საბიუჯეტო შემოსავლების თეორიული ანალიზიდან ყურადღება დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლების დამალვის და თვით საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა შორის კორუფციის ფაქტების გამოვლენაზე უნდა გადაიტანოს, რაც მათი უშუალო და პირდაპირი სამსახურებრივი მოვალეობაა.

ოლქის პროკურატურა იზიარებს პოზიციას იმის შესახებ, რომ სერიოზული შემოსავლები იმალება ბაზრებსა და ბაზრობებზე, ნავთობპროდუქტების ბიზნესში, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში. ამ სამართალდარღვევათა შესახებ შემოწმების მასალები უნდა ეგზავნებოდეს პროკურატურისა და გამოძიების ორგანოებს, რაც იშვიათ შემთხვევებში ხდება. ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ საგადასახადო ინსპექტორი ხუთი თითით უნდა იცნობდეს თავის სამოქმედო უბანს. თუ იგი თავის ადგილზე დგას, არაკეთილსინდისიერი მეწარმე შემოსავლის დამალვას ვერ გაბედავს.

სამწუხაროდ, ზოგჯერ საგადასახადო ინსპექციის არამც თუ რიგითი, ხელმძღვანელი მუშაკებიც კი თავად სჩადიან დანაშაულს. ასე მოხდა, მაგალითად, ვანის რაიონში, სადაც სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსის თ. ხუბულავას მიმართ. გაოცებას იწვევს ის ფაქტიც, რომ ხუბულავას გათავისუფლების შემდეგ მის ადგილზე დანიშნეს ამავე ინსპექციის ინსპექტორი ბ. წაქაძე, რომელიც სხვა თანამდებობის პირებთან ერთად ადრე იმხილებოდა მეწარმისათვის ჩამორთმეული საქონლის უკანონო გამოყენებაში. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ, გაუქმებულია საოლქო პროკურატურის მიერ და მიმდინარეობს მასალების დამატებითი შემოწმება. ასეთ ფონზე გასაკვირი არ არის, რომ ვანის რაიონში პერმანენტულად ვერ სრულდებოდა სახელმწიფო ბიუჯეტი, — იქ სადაც საგადასახადო ინსპექციის მუშაკები გარეული არიან კორუფციაში, სახელმწიფო და მისი ბიუჯეტის ინტერესები ყოველთვის დაუცველი რჩება.

საგადასახადო ინსპექციის რეგიონულმა ოპერატიულმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს შემოსავლების დანაშაულებრივად დამალვის ფაქტები, თანამდებობრივი გადაცდომები საგადასახადო ინსპექციის მოხელეთა მხრიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში თანმიმდევრულად გავამკაცრებთ საპროკურორო რეაგირებას სამსახურებრივი ინერტულობის გამო.

ვსარგებლობთ შემთხვევით და „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გვინდა დავაყენოთ რამდენიმე საკითხი, რასაც, ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა აქვს სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკული საქმიანობისათვის:

დამალული (შემცირებული) თანხის ზღვრული ოდენობა, რაც იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, უნდა აღემატებოდეს 25.000 ლარს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობა — 50 000 ლარს. ეს თანხა ერთნაირია როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის და პრაქტიკულად აზრს უკარგავს ოპერატიული სამსახურის ძალისხმევას საგადასახადო სფეროში დანაშაულთა გამოსავლენად. სწორედ აღნიშნულის გამოა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით მსჯავრდების შემთხვევები ჩვენს ქვეყანაში იშვიათობაა. ამდენად, იქმნება აბსურდული სიტუაცია, როცა 50 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხის ან ქონების გატაცებისათვის პირი შეიძლება საბრალდებო სკამზე აღმოჩნდეს, ხოლო თუკი სახელმწიფო ბიუჯეტს 20 000 ან 25 000 ლარს დაუმალავს ამისთვის სისხლის სამართლის წესით არ დაისჯება!

ვფიქრობთ, ეს მდგომარეობა დროულად უნდა გამოსწორდეს.

ასევე, ძნელდება ახსნა იმისა, თუ რატომ არის დღემდე აუმოქმედებელი საგადასახადო კოდექსის 245-ე და 247-ე მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ ქონებაზე ყადაღის დადებას და ყადაღადადებული ქონების რეალიზაციას. ელემენტარულად, ამავე კოდექსის 271-ე მუხლში მითითებულია, რომ ზემოხსენებული მუხლები ამოქმედდება კანონმდებლობაში სათანადო ცვლილებების შეტანისთანავე. თუ რომელ კანონმდებლობაში და რა სახის ცვლილებები უნდა შევიდეს, იურისტებისთვის გაუგებარია, ისე როგორც გაუგებარია, თუ სამართლებრივი მექანიზმი არ იარსებებს, როგორ შეიძლება სახელმწიფოს, მისი ბიუჯეტის ინტერესების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისაგან?

დასამალი არ არის, რომ დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ძალიან მოძველდა და ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს, დიდი დავაა გაჩაღებული პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომისიასა და ადმინისტრაციული სამართლებრივი რეფორმის სამთავრობო კომისიას შორის, თუ როგორი უნდა იყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ახალი კოდექსის თეორიული მოდელი, დარჩეს მასში სახდელის სახით კონფისკაცია თუ არა. ამასობაში კი, პრაქტიკა უმწვავეს საკითხებს აყენებს, რომელთა სამართლებრივი გადაწყვეტა ვერ ხერხდება სათანადო ბაზის უქონლობის გამო. მაგალითად, მხარეში ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს სამეწარმეო საქმიანობის წესის დარღვევით ბუნებრივი რესურსების მოპოვებას. ასეთი მოქმედება სხვა პირობების არსებობისას კვალიფიცირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 164-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს ჯარიმას და ამონაგების კონფისკაციას, მაგრამ თუ რა ბედი უნდა ეწიოს უკანონოდ მოპოვებულ ბუნებრივ რესურსებს, კანონი პასუხს ვერ იძლევა.

საერთოდ, მოქმედი საგადასახადო და ზოგიერთი სხვა კანონმდებლობის ცალკეული ნორმები არ ემსახურებიან ეროვნული ეკონომიკის აღორძინების ინტერესებს. პირიქით, ისინი უკონტროლოდ ახალისებენ იმპორტული და ფალსიფიცირებული პროდუქციის შემოტანას, ძირშივე კლავენ ადგილობრივ მეწარმეობას, რაც ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე დეპრესიული პროცესების ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა. მართალია, ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში, მაგრამ ისეთი არასტაბილურობა, რაც მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობას ახასიათებს, არამცთუ მეწარმეს, გამოცდილ იურისტსაც კი დააბნევს, კანონის ერთ-ერთი მთავარი ღირსება კი მისი ერთ-ერთი მთავარი ღირსება კი მისი სტაბილურობაა. ვფიქრობთ, ამის გათვალისწინება უთუოდ წაადგება ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებას.

**თამაზ ჭუმბურიძე,**
იმერეთის საოლქო პროკურორი.

თანადგომა

# ერთი აქვს დარდი სამურზაყანოელს... და ისიც - საქართველო

(პირველი გვერდიდან)

**ჩემი შეკითხვა, ოთარ, ობიექტური რეალობიდან ამოდის: რა ქნას სამურზაყანოს დევნილმა მოსახლეობამ? არძინბას რეჟიმი დაუნდობელი სიძულვილით უსწორდება განურჩევლად ასაკისა და სქესისა, ხოლო საქართველოს ხელისუფლება სათანადო საარსებო პირობებს ვერ უქმნის. როგორია თქვენი შეხედულებანი და კომენტარები, თანაც, თუ ღმერთი გწამთ, რაც შეიძლება მეტი კონკრეტულობით.**

— თქვენს ვრცელ შეკითხვაში არსებითად სამი ქვეკითხვაა. ვეცდები მოკლედ გავცე მათ პასუხი. პირველი: რატომ მაინცდამაინც ოგობაია? ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს „გეას" კორესპონდენტი იტყვის ამას, „კვირის პალიტრისა", თუ „თეასი", ჩემთვის მთავარია, რატომ აირჩიეს მაინცდამაინც ოგობაია? ჩემი ულრმესი რწმენით, ე. წ. 12-კილომეტრიან ზოლში ქართული ხერხემალი სწორედ რომ ოგობაიაა.

„გეას" კორესპონდენტმა ნებსით თუ უნებლიეთ მგრის წისქვილზე დაასხა წყალი. კერძოდ, თუ მოღალატეობას ოგობაიელებს დააბრალებდა, ამით ის, ფაქტობრივად, მთელი კუთხის მოღალატეობას, მთელი სამურზაყანოს განდგომას ადასტურებდა. ეს ერთი. მეორეც, ამ ზოლში ყველაზე მდიდარი და ძლიერი დიახაც ოგობაიაა და არა მარტო ეკონომიკურად, მე ასე მეჩვენება — მგრის მიზანიც ეს იყო. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ოგობაიელი ასე ფიქრობს, ადვილი დასაჯერებელია, რომ გაგიდელი, ფიჩორელი თუ ბარლელებიც ამგვარად იფიქრებდა. მეც მომისმენია „გეას" კორესპონდენტივით ასეთი საუბარი ერთი ქალბატონისაგან, პირველმთქმელისაგან, რომელიც ხატი, რჯული, ოგობაიელი არ არის, არამედ უკანასკნელ ხანს ოგობაიაში ჩამოსახლებული კაცის რძალია მხოლოდ და მხოლოდ. რაოდენ სამძიმოც უნდა იყოს ჩემგან, მე მაინც მგონია, რომ ეს ქალბატონი, ჩვენი მგრის დაწერილ ტექსტს კითხულობს მეგრულ ენაზე და მეტი არაფერი.

სულ სხვა, არანაკლებ საშიშ ტენდენციასთან გვაქვს საქმე „კვირის პალიტრის" პუბლიკაციაში. ჯერ ერთი, საქართველოსთვის სამურზაყანოელების „გამეგრელება" აფხაზურ სეპარატიზმზე ნაკლები სულაც არ არის, იქნებ მეტიც. თანაც, ჩემთვის გაუგებარია, რომელი წყაროებიდან მოაქვთ მეგრელების რაოდენობა — 2 მილიონი. ამას წინანდელი სტატისტიკით ძლივს 600 ათასი ვეყოფილეართ. ახლა მეგრული, კუთხური სეპარატიზმის აგორებაღა გვაკლია. ჩვენი ჟურნალისტების მაგრიოტობაში ეჭვის შეტანაც კი მკრეხელობაა, მაგრამ ისიც გვსმენია... „ზოგჯერ თქმითაც დამავდებისო".

ოგობაიელი საქართველოს მზეს ფიცულობდა, ფიცულობს და დაიფიცებს მომავალში. ოგობაიელს ერთი აქვს დარდი და ისიც — საქართველო, თუმცა, თურმე ძალიან ადვილი ყოფილა გაჭირვებული ადამიანის ფსიქოლოგიაზე იმუშაო, ისე, რომ მას შენთვის სასურველი აზრი წამოაცდენინო. თქვენ წარმოიდგინეთ, სახლკარმიტოვებული, ენგურს გამოღმა გადმოსული, ბეტონის იატაკზე მწოლიარე დედა ან ბებია, რომელთაც არ იციან, ხვალ როგორ გაუთენდებათ, მათთან მიდის საკმაოდ კარგად მომზადებული პროვოკატორი, არ მეშინია ამისი თქმისა, რომელიც მგრის ხატს მოუქებნის, ხატს არა ზოგადს, არამედ სახელდებულს, გვარ-სახელით მოხსენიებულს და მეტადრე ქვეყნის ხელმძღვანელს, ბუნებრივია, თითო-ოროლას, შეიძლება მეტსაც, თანხმობის თუ წყრომის ნიშნად თავის კანტურიც აუტყდეს, თავისი ლექსიკონიდან მწარე სიტყვებიც ამოქექოს, მაგრამ განა ცოტა ვიცით, მშობელი, რომელსაც შვილის ამა თუ იმ მოქმედებით უკმაყოფილოს წყევლა-კრულვა წამოცდენია? ცოტა დრო რომ გაივლის, ცოტათი რომ დაცხრება ვნებათა ღელვა, განა თავად მშობელს არ უნანია მემკვიდრის წყევლის გამო? ჰოდა, იმას ვამბობ, ადვილია გაჭირვებული ხალხის გრძნობებზე თამაში, გაცილებით რთულია სასოწარკვეთილისთვის ნუგეშის ცემა. ეს ძნელი იმიტომ არის, რომ მათსავით უნდა ეტკიოდეს, მათსავით უნდა იტანჯებოდე, მათსავით უნდა გაწვალებდეს კითხვა, როგორ იქნება ხვალ? მივუბრუნდებით თუ არა ჩვენს საძვალეებს, მივუვალთ თუ არა წინაპართა სასაფლაოებს, დაეიმარხებით თუ არა მათ გვერდით თუ... ჩვენივე ხელით მოეხნაეთ მათ არძინბას გულის ასაჩვილებლად თეთრ ბაირაღებს ადევნებულნი?

— ახლა ამბობთ ასე, თუ იქაც იგივეს იმეორებდით, ოგობაიელებთან, ხიდზე, ფერმასთან, ორსანტიას სკოლაში?

— რასაკვირველია, ეს რწმენა, კრედო, ჩემი ერთადერთი იარაღი იყო ამ ადამიანებთან საუბრისას. მეტსაც გეტყვით, მრავალი ჩემი თანასოფლელის თანდასწრებით, როდესაც ამისთანა ქალბატონს თუ ვაჟბატონს მივმართე: ჯერ თქვენ ბრძანეთ, მერე მეც ვიტყვი ჩემსას და ენახოთ, ვის დაუჯერებენ ოგობაიელები, მე, კ. ც., რომელიც 29 წელიწადია ოგობაიიდან წასულია, თუ თქვენ, ორი-სამი წელიწადია რომ ტრიალებთ მათთან-მეთქი, დამერწმუნებით, სოფელი ჩემს გვერდით დადგა-მეთქი, რომ განვაცხადო? საბუთად, ჩემთვის საყვარელი კერძით, ხოჭო კვერებით და ოგობაიას მიწაში სამი წლით ნამარხი ხილის არყით გამიმასპინძლდნენ. ესაა ჩემი პასუხი „გეას", „კვირის პალიტრის" კორესპონდენტების, თუ ზოგიერთი რესპონდენტისადმი.

ახლა ბოლო და ყველაზე მძიმე ნაწილი თქვენი კითხვისა. აკეთებს კი დღევანდელი ხელისუფლება ყველაფერს, რაც მას ევალება და შეუძლია?

აფხაზი სეპარატისტები, მოგეცა ლხენა, ჩინებულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას: კლავენ, წვავენ, ანადგურებენ აბორიგენ მოსახლეობას, თანაც, ვითომ ხალხის „თავისუფლებისათვის" იბრძვიან ფართო საზოგადოებრიობის თვალში, და, მეორე, საქართველოს პრეზიდენტი მთელი გუნდით ისევ სამშვიდობო გზებს ეძებს, ისევ ცივილური ურთიერთობების სჯერა, ისევ ქართველთა და აფხაზთა მიერ ერთად გადახდილი ქორწილებისა და ქელეხების, ადათ-წესის სჯერა, თანაცხოვრების გარდუვალობისა სწამს და თავისი მწირი ბიუჯეტიდან ლუკმა-პურს მიწოდებას ცდილობს თანამოძმეთათვის.

**— მე კონკრეტულს გეკითხებით, რატომ ვუშვებთ სასაკლაოზე სამურზაყანოელებს-მეთქი, თუკი მათი სიცოცხლის გარანტიები ყინულს აწერია, ან სანამ მშვიდობიანი მოლაპარაკებით (ფართომასშტაბიანი ომის გაჩაღებამდე), ვცდილობთ იძულებით ადგილნაცვალთა დაბრუნებას, რატომ ვერ ხერხდება ჩვენს მიწა-წყალზე მათი დაფუძნება?**

— ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არძინბა დღესვე თანახმაა დააბრუნოს გალის რაიონის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში მოსახლეობა, მაგრამ მისი მიზანი სავსებით ნათელია. ვინც იცის, ე. წ. 12-კილომეტრიანი ზოლი, მისი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი სწორედ ამ თვეებში უნდა მოიწიოს მოსახლეობამ, თხილი იქნება ეს, სიმინდის მარცვალი თუ ციტრუსი. მათ მეჭთა მუშახელი ესაჭიროებათ ამ ზონაში თავიანთი მაროდიორებისა და ზოგიერთი ვონებადაბინდული ვამპირი თანამზრახველის თუ თვისტომის მეპირებული გასამრჯელოს გასანაღდებლად.

**— სხვათა შორის, ამბობენ, მარტივი გაანგარიშებით, გალის რაიონიდან მეორე გამოძევების შემდეგ კაზაკებმა თუ სხვა ეროვნების „ბოევიკებმა" დაახლოებით 50 მილიონი დოლარის სიმდიდრე გაიტანეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის სახით.**

— მართალსაც ბრძანებენ. ენგურის ხიდზე, ჩემმა ერთ-ერთმა მასწავლებელმა, როცა მას ამის თაობაზე ველაპარაკებოდი, ამგვარად მითხრა: შვილო, ოთარ, ოგობაიელები არძინბას თხილის მკრეფავებად ვერ გამოვადგებითო. ამით ყველაფერი იყო ნათქვამი.

**— ესე იგი, გამოდის, რომ ჩვენი სამურზაყანოელი მოსახლეობა არძინბას რეჟიმის მომმარაგებლად გაგვიმეტებია წინა სამ წელიწადს.**

— ძალიან სერიოზული თემაა. საქართველოს ხელისუფლებას უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ მიუცია ჩემი ოგობაიელებისთვის თუ სხვათათვის, ვერც მისცემდა, მაგრამ ხალხი მაინც გადაიდა და ამაში მათ ვერ გაამტყუნებ. სამიოდე წელიწადში ისევ ააყვავეს გადაბუგული და გადამწვარი ოგობაია, ნაბაკევი, ფიჩორი, გაგიდა, სიდა, თაგილონი, ბარლები და ასე შემდეგ. დღეს იქ რაც მოხდა, ლოგიკური შედეგია ჩვენი არჩეული კურსისა, მოსალოდნელი და მაინც რაღაცნაირად გამართლებული. ვინც ენგურის მარცხენა ნაპირიდან უყურებდა, თუ როგორ იბუგებოდა ენგურის მარჯვენა სანაპირო, ელექტრონის ბოძებისა და ასწლოვანი ჭადრების კენწეროებით რომ მარჩიელობდნენ, ვისი, რომელი მშობლის სახლი იწვოდა და აქვე, რომ უთხრათ მათ, — ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკა ერთადერთი მართებულიაო, — არ გერწმუნებიან. ვფიქრობ, ამიტომაც ფრთხილობს საქართველოს ხელისუფლება, როცა არ ეთანხმება არძინბას და მისი უფროსი ძმების ცბიერ განცხადებას: მობრძანდით, ბატონებო, გალში, იცხოვრეთ მშვიდობიანად და იმუშავეთო. სხვათა შორის, არძინბა ძალიან „ზრუნავს" ზუგდიდის ბაზარზე და იცით რატომ? 21 მაისიდან დღემდე ზუგდიდის ბაზარზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია 40-50 პროცენტით გაძვირდა, ხოლო როგორც ამბობენ, სოხუმსა და გუდაუთაში, პირიქით, ორჯერ და მეტად გაიაფდა...

ოგობაია, ფორპოსტად თუ გამოადგება საქართველოს ხევსურეთზე შექმნილი ლექსებისამებრ: ოგობაიელს ერთი აქვს დარდი და ისიც საქართველო. მოკლედ, ყველა თავის ადგილას რომ იყოს, ყველამ თავისი საქმე პირნათლად რომ აკეთოს, როგორც მაგალითად, ბატონი ბაკურ გულუა, მაშინ ამ ხალხის ყოფაც უფრო გასაძლისი გახდებოდა და, სხვათა შორის, არა მარტო სამეგრელოში, არამედ — სრულიად საქართველოში.

**— თქვენი პასუხიდან გამომდინარე, არძინბას ხელისუფლებას სამურზაყანოელები მუშა ჭიანჭველებად ნდომებია, მაგრამ ნუთუ არ დადგა დრო, ამ მოსახლეობის ჩვენს იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე დაბინავებისა? რაა მთავარი, მიწა თუ ადამიანი?**

— გეთანხმებით. ეს დროც დადგა. უფრო მეტიც, ზოგიერთი კონკრეტული ნაბიჯიც ამისი დასტურია, როდესაც აფხაზეთიდან წამოსული მოსახლეობა მკვიდრდება საქართველოს სხვა ქალაქსა და რაიონში. მე რამდენიმე პროექტს ვიცნობ, რომელიც ახლა ხორციელდება და რომელიც ითვალისწინებს აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის დასაქმებას იმერეთში, კერძოდ, წყალტუბოშია ეს, ქართლში, კახეთსა თუ სამცხე-ჯავახეთში, მაგრამ გეთანხმებით იმაშიც, რომ ეს შეიძლება უფრო ადრეც და უფრო წარმატებითაც გაკეთებულიყო. მე ზოგი ჩინოსნისგან გამიგია, რომ თუ მიწა-წყალს გამოვუყოფთ აფხაზეთიდან დევნილთ, ისინი უკან არ დაბრუნდებიანო. ეს საშინელი შეცდომა იყო, და ეფუძნება იმას, რომ ამ ადამიანებმა, არ იციან სოხუმელთა, გაგრელთა, გულრიფშელთა, ოჩამჩირელთა, გალელთა ტკივილამდე მისული სიყვარული თავიანთი საძვალეებისა. მარტივ მაგალითს გეტყვით. აფხაზეთიდან წამოსული არაერთი ადამიანი ვიცი, ვინც ფეხი მოიკიდა, სხვათა შორის, ძალიანაც მტკიცედ, მყარად: თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, თელავსა თუ სხვაგან, მაგრამ ისინი სამურზაყანოს მიწაზე იმარხებიან დღემდე მოლურჯებული ავტომატის ლულის ქვეშ, ან, უკეთეს შემთხვევაში, ოდიშის მიწაზე, დროებით სასაფლაოზე, რწმენით იმისა, რომ ხვალ თუ ზეგ მაინც მამაპაპისეულ საფლავზე მიუჩინენ კუთვნილ ალაგს. ამიტომ მიმაჩნია, რომ საქართველომ ყოველი თეთრი უნდა მოიძიოს იმისთვის, რომ ენგურს გამოღმა გამორეკილმა მოსახლეობამ სხვისი, თუნდაც საკუთარი ხელისუფლების მოიმედეობით არ იცხოვროს, არამედ თავისი შრომითა და გარჯით მოიპოვოს სარჩო-საბადებელი. ბოლოს და ბოლოს, როცა ისინი უკან მიბრუნდებიან, მათი ხელით აყვავებული ბაღვენახები სრულიად საქართველოს საკუთრება არ იქნება?

**— რამდენადაც ვიცი, 19 მაისიდან სამეგრელოში იმყოფებით. თვენახევრის ამ ორმოციოდე დღის მანძილზე მხოლოდ ორად ორი დღე-ღამე დაჰყავით თბილისში. ჟურნალისტები მეყვსეულად გაეცნობიან ხოლმე სიტუაციას, ზოგი გამბედავი გარისკავს ხოლმე „მკვდარ სოფელში" მესვლას 3-4 საათით, და გულმიჩამწყდომ წერილსაც შემოგვთავაზებს, მაგრამ თქვენ, როგორც დღევანდელი სადადიანოს სოციალურ-პოლიტიკურ რეალობაში მოხარშულს, რას გვეტყვით არსებულ სიტუაციაზე, მის მომწესრიგებელ ადამიანებზე? მართვადია იგი თუ თვითდინებასაა მიშვებული? იქ პრემიერსაც ვხედავთ-ხოლმე, მინისტრებსაც, გუბერნატორი და გამგებელ-მერები ხომ არიან და არიან.**

— დავაზუსტოთ, მე სამეგრელოში ჩავედი 21 მაისს, დილით, გამთენიისას. ჩვენს მტერსა და მაწყევარს, რაც იქ მე დამიხვდა. ათასობით ადამიანი, გამოღწეული ენგურიდან, მოსული ზუგდიდს, როგორც ერთადერთ იმედთან.

პატარა ლირიკული გადახვევა: ჩემი მამის შვილმა ცოტა რამ არ ვიცი ისტორიიდან, მაგრამ ამ დღეების ზუგდიდს ანალოგი ვერ ვუპოვე. უმარტივესი არითმეტიკა: ერთ ზუგდიდელზე ერთი ლტოლვილი მოდიოდა და აფერუმ თქვენ, მართლა ზურგდიდელებო, მართლა ზურგით და ხელით რომ აგარეთ ათასობით მშიერი და მწყურვალი, გრძნობა და გონება დაკარგული. მე მომსწრე ვარ იმისა, თუ როგორ ეძებდნენ ზუგდიდელები დევნილთა თავშესაფარს, როცა საკუთარ ოჯახში ფართი არ ჰყოფნიდათ. მე ბევრი დი-



რექტორის სახე მახსოვს, ვინც მამაჩემივით თვალისჩინივით უვლის სკოლას და, როცა საჭიროებამ მოითხოვა, გულღიად გაუღეს კარები დევნილებს. დაახვედრეს კი ბევრი ვერაფერი. სამოწაფეო მერხები და დაფები. სხვათა შორის, ცარციც არ იყო საკმარისი, რომ იმ დაფებზე საკლასო ოთახებში მცხოვრებ დევნილთა გვარ-სახელები მიეწერა. სკოლები რომ ვერ ეყოთ, ზუგდიდელებმა ბაგა-ბაღების კარები გახსნეს. არც ამან იკმარა. ორმოციათას ადამიანს ეხუმრები? ბოლოს დარჩა ჩაის ფაბრიკები და მეცხოველეობის ფერმები... სამურზაყანოდან გამოსულთ მეცხოველეობის ფერმებშიც არ ეყოთ ადგილი და ასობით ადამიანი ოგობაია-ორსანტიას ჩანგრეულ ხიდქვეშ ათენებდა ღამეებს. იქ, იმ დღეებში, იმ განუმეორებელ წამებსა და წუთებში დაიბადა უმშვენიერესი ლეგენდა გალელების და ზუგდიდელების უძველესი სიყვარულის თაობაზე. მე მინახავს სახლიდან გამოტანილი ქვემაგებ-ლეიბი, უბრალო ჭიქა და თიხის დოქი, სამეგრელოს ჭის წყლით სავსე. ეს არის ულამაზესი ლეგენდა საქართველოს ერთიანობისა და მისი უკვდავებისა...

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა ზუგდიდელს. ტრადიციულად ოდიშელები და სამურზაყანოელები ხომ ყოველთვის პირველობისთვის იკლავდნენ თავს, ვერ გაეყოთ დიდი სადადიანო ენგურს გაღმა-გამოღმა, მაგრამ საერთო მტერთან ჭიდილმა გააერთიანა ისინი და ახლა საკამათო არაფერი აქვთ.

**— ბატონ ბაკურ გულუას მამულიშვილობა საქვეყნოდ ცნობილია, მაგრამ ამ გაგანია ზაფხულში საკუთარი ინიციატივით სოფლის მეურნეობის პრობლემების მიტოვება რამდენად გამართლებულია?**

— მე შევეცადე საერთო განწყობილება მეჩვენებინა. რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებებს, აქ უამრავი გვარ-სახელია, რომელთაც უჩვეულო პატივი ეგების, მაგრამ ყველაფერში არსებობს მეტნაკლებობა. ამ პრინციპით, გამორჩეულთა შორის გამორჩეული უცილობლად, ბატონი ბაკურ გულუაა, ერთი წუთითაც რომ არ მოსცილებია საერთო გასაჭირს. დააკლდა რამე უმისობით საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს?! რასაკვირველია, მაგრამ შეემატა, ბევრი შეემატა მისი ყოფნით საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე შეჭირვებულ კუთხეს და საბოლოოდ შესაკრებთა ადგილის შეცვლით ჯამი არ შეიცვლილა. აქვე, ალბათ, ვერასდროს გადაიხდიან სამურზაყანოელები ბატონების თენგიზ გაზდელიანის, ავთანდილ ჯორბენაძის, ვალერი ვაძაკიძის, ფრიდონ ინჯიას, ალეკო ქვანიასა და სხვათა ღვაწლსა და ამაგს. აქვე ფასდაუდებელია ბატონების ვაჟა ფიფიას, ორსანტიის გამგებლის მურმან ხაზალიას და სახელმწიფო ფონდის ზუგდიდის ხელმძღვანელის ავთანდილ ცქვიტაიას საქმიანობა.

**— სხვას რას გვეტყვით იმედისმომცემს?**

— არძინბამ მისი რეჟიმისთვის საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიმტერა სამურზაყანო. სწორედ ასე ვხედავ მე 24-25 მაისს ენგურს გაღმა აბოლებულ სახლებს. ეს არძინბას რეჟიმის დასასრულის დაჩქარებული დასაწყისია. სანამ აფხაზეთის ტერიტორიაზე სეპარატისტული რეჟიმი მძვინვარებს, პარტიზანულ მოძრაობას წინ ვერანაირი ძალა აღუდგება. აქ ახალი არაფერია. ისტორიაში ვერ იპოვით მაგალითს იმისას, რომ ომს თან არ ახლდეს პარტიზანული მოძრაობა.

**— ეს დღეები რეგიონის მწერალთა ორგანიზაციის მესვეურმა, მუკო ჯიქიამ და მე თითქმის ენგურისპირა ყველა სოფელი შემოვიარეთ. სამურზაყანოდან ხელმეორედ დევნილთა სავალალო მდგომარეობის თაობაზე ქართული პრესა წერს მეტნაკლებად და აქ ორიგინალობა უადგილოდ მიმაჩნია, მაგრამ ერთი ფაქტის გამოყოფა უთუოდ ღირს. სოფელ შამგონისკენ მიმავლებს ფირმა „ლაბირინთის" ხალხი შეგვხვდა საჯვაროსთან. მისი კომერციული დირექტორი თამაზ ბასილაია, მოადგილე გულა გაბელაია და სხვანი. დაბა ჯვარში გადმოსული ხალხისთვის ჩამოტანათ თითო ტონა პურის ფქვილი და შაქარი, 200 ლიტრი ზეთი, 120 კილოგრამი მაკარონი, კარაქი ყუთებით, ლაფასოებული ნამცხვარი, ტკბილეული, სხვადასხვა ზომის 50 წყვილი ბოტასები, ჯინსის შარვლები, პერანგები. თქვენ, როგორც მოვლენების უშუალო მონაწილეს, ალბათ, მეტი ინფორმაცია გაქვთ არასამთავრობო სტრუქტურების მონაწილეობაზე ლტოლვილი სამურზაყანოელების დახმარების თვალსაზრისით.**

— დიდი მადლობა ფირმა „ლაბირინთს" და მრავალ ასეთ ორგანიზაციას, რომლებმაც უანგარო დახმარების ხელი გამოუწოდა დევნილ თვისტომს. არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი ქალაქი და რაიონი, რომელიც რამდენჯერმე არ ჩამოსულიყო მეგობრ-ძმებს. სულის შემძვრელი გახლდათ ცნობილი ლტოლვილების გამოჩენა სადადიანოში, როდესაც მათ თავიანთი ბედქვეშ მყოფ ადამიანებს შესაძლო დახმარება გაუწიეს. ეს პროცესი დღემდე გრძელდება და მინდა ხაზგასმით ვთქვა, რომ მთავარი აქ მარტო მატერიალური დახმარება როდია, იქნებ უფრო მნიშვნელოვანი მორალურ-ფსიქოლოგიური თანადგომაა.

**— მაინც რა თანხაა საჭირო სამურზაყანოელებისთვის მინიმალური პირობების შესაქმნელად დღეისათვის?**

— საშუალოდ ორ-ორი ლარიც რომ ვიანგარიშოთ, დღე-ღამეში ასი ათასი ლარი მაინცაა აუცილებელი. ამას დაუმატეთ ელემენტარული საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად გაწეული თუ გასაწევი ხარჯები, რომლებიც ერთიორად აღემატება დასახელებულ ციფრს და მიხვდებით, სიტუაცია სერიოზულია, საქმე გვაქვს მილიონებთან. შეიძლება ვილაცამ თქვას, კი მაგრამ აფხაზეთიდან პირველი გამოდევნის პირობებში ჩვენ ხომ ფაქტობრივად მოსახლეობის მთელ მოცულობასთან გვქონდა საქმე, რომელსაც მერე და მერე გამოაკლდნენ სამურზაყანოელები, გალის რაიონში სიცოცხლის რისკის ფასად შესული 45 ათასი ადამიანი. როგორ ვახერხებდით მაშინ მათ შენახვას და რატომ გვიმძიმს დღეს იგივე საქმის მოგვარება?!

მე ის წლები კარგად მახსოვს, ამიტომაც პირდაპირ უნდა ვთქვა, მაშინ სახელმწიფო ამ ხალხს ამ დონეზე ნამდვილად არ დახმარებია. თუ თავი გაიტანა ამ ხალხმა, მხოლოდ იმით, რომ მათ გარკვეული დანაზოგი გააჩნდათ. დღეს კი სიტუაცია სხვანაირია, დღეს სამურზაყანოდან ლტოლვილ მოსახლეობას პრაქტიკულად არანაირი დანაზოგი არა აქვს. რაც მაშინ გადმოიტანეს, ისევ უკან მიაბრუნეს. ამიტომაც ამჯერად სახელმწიფო გაცილებით მეტად ეხმარება ამ ადამიანებს.

რაც შეეხება ჩემსა და თქვენს ოგობაიას, რომელსაც საუბრის დასაწყისში საქართველოს ფორპოსტი ვუწოდეთ, მაგანთა ჯიშზე **ერთი აქვს დარდი და ისიც საქართველო!**

29.06.98 წ.

სიტუაცია

# ფრაქცია „აღორძინება" უფლებამოსილია განაცხადოს

## ფრაქცია „აღორძინების" პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ ნათქვამია:

30 ივნისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ინფორმაცია სათაურით „ლეგიმილი თავისუფალი ეკონომიკური ზონების წინააღმდეგი არ არის", რომელშიც ვკითხულობთ: „ოფიციალურ თბილისსა და აჭარას შორის უთანხმოების მიზეზად რჩება აჭარის მოთხოვნა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ ისეთი კანონის მიღება, რომელიც მთელ ავტონომიურ რესპუბლიკაზე ვრცელდება". ამასთან დაკავშირებით ვესურს რამოდენიმე აუცილებელი განმარტება გავაკეთოთ, რათა შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი საქართველოს მოსახლეობა.

თავის დროზე, ფრაქცია „აღორძინებამ" საკანონმდებლო ინიციატივის წესით პარლამენტს განსახილველად წარუდგინა კანონპროექტი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების" შესახებ. საკითხი ეხებოდა არა აჭარაში, ან კონკრეტულად საქართველოს რომელიმე რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას, არამედ საქართველოს კანონის მიღებას, რომელიც განსაზღვრავდა შემდგომში ასეთი ზონების შექმნის წესსა და პირობებს.

ბუნებაში არ არსებობს დოკუმენტი, რომელიც აფიქსირებდეს აჭარის მოთხოვნას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ან მთლიანად ქალაქ ბათუმზე. ამრიგად, ინფორმაციის არც ბოლო აბზაცი, თითქოს აჭარის მოთხოვნა ამ ეტაპზე, თავისუფალი ეკონომიკური ზონების მხოლოდ ბათუმზე გავრცელებით შემოიფარგლება სინამდვილეს არ შეესაბამება. თვით კანონპროექტში ჩადებული მექანიზმი, აბსოლუტურად გამორიცხავდა რომელიმე რეგიონის მთლიანად თავისუფალ ეკონომიკურ ზონად გამოცხადებას.

**ცნობისათვის: ინფორმაცია, რომელიც უარყო ფრაქცია „აღორძინების" პრესსამსახურმა, გაავრცელა სააგენტო „პრაიმ-ნიუსმა".**

**სააგენტო კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და დამატებით გვაცნობა:**

**„როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პრეს-მდივანმა გიორგი თარგამაძემ, თბილისში არასწორად ესმით აჭარის მოთხოვნები. მისი თქმით, ადგილობრივ ხელისუფლებას სურს შექმნას თავისუფალი ვაჭრობის ზონები ბათუმის პორტის მე-5 და მე-6 განყოფილებებში".**

საქართველოს რესპუბლიკა
№166. შაბათი, 4 ივლისი, 1998 წელი



# ყველაზე საფრთხილო მანქანა

ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობის სიამაყით — „ტრაბანტით" სეირნობა საშიშიც არის და სამხიარულოც. 15 კმ/სთ სიჩქარეზე იგი იწყებს ვიბრირებას, 20 კილომეტრზე — უკვე მანქანა მართავს მძღოლს, ხოლო როდესაც სპიდომეტრის ისარი 25 კმ/სთ აჩვენებს, დგება კულმინაციური მომენტი: სულგანაბული ელოდებით, როდის ჩაგეშლება ფეხქვეშ აღმოსავლეთგერმანული ტექნიკის ეს შედევრი.

პროგრესულმა კაცობრიობამ გადაწყვიტა, ამ ავტომობილს ძეგლი დაუდგას სამშობლოში — ცვიკაუში, სადაც მიემგზავრება 2000 „ტრაბანტი" ევროპის ყველა კუთხიდან.

## მუცლის ტრიალი როგორც შემოსავლის წყარო

ეგვიპტეში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მუცლის როკვის შემსრულებელმა, დინამ, განაცხადა, რომ თავს ანებებს თავის ხელობას. ოპოზიციური გაზეთი „ალ აჰრარი" ამტკიცებს, რომ ამის მიზეზია კონფლიქტი რელიგიურ მოღვაწეებთან იმ კოსტუმის გამო, რომლითაც იგი გამოდიოდა. ტრადიციული ფორმის მიმდევრებმა დინას ბრალად დასდეს, რომ მან უარი თქვა ამ ცეკვისათვის კლასიკურ ბოლოკაბაზე, და ამჯობინა, გამოსულიყო გათანამედროვებული კოსტიუმით. თვით დინა თავისი წასვლის ასეთ განმარტებას უარყოფს. მოცეკვავის თქმით, მას მობეზრდა და შესძულდა მუცლის როკვა, შესაძლოა, გაშიშვლების აუცილებლობისა და იმ დაწესებულებათა ხასიათის გამო, სადაც უხდებოდა გამოსვლა. მაგრამ, იქამდე, სანამ მუცლის ტრიალი შესძულდებოდა, დინამ თავისი ხელოვნებით გვარიანი თანხა დააგროვა, და ახლა განზრახული აქვს თავისი ცხოვრება მიუძღვნას კინემატოგრაფს.

## ვინ მოკლა კომანდორი?

„ტრაგიკულად დაიღუპა დეპუტატი ლევ როხლინი", — გამოაცხადა სახელმწიფოს სათათბიროს პლენარული სხდომის დაწყების წინ სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ სურკოვმა. მან აგრეთვე თქვა, რომ ამ ფაქტის გამო უკვე მიმდინარეობს გამოძიება. რუსეთის ფედერაციის ფედერალური სახელმწიფო უშიშროების საზოგადოებრივი ურთიერთობის ცენტრის წარმომადგენელმა იტარ-ტასის კორესპონდენტს განუცხადა, რომ „პოლიტიკურ მოღვაწეზე თავდასხმასთან ან ლევ როხლინის მკვლელობის პოლიტიკურ მიზეზებთან დაკავშირებით ტერორისტული მოქმედების არავითარი ნიშანი არ არის". 51 წლის სათათბიროს თავდაცვის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე მოკლეს თავის აგარაკზე ნარო-ფომინსკის რაიონის სოფელ კოტოვოში. სამართალდამცავი ორგანოების წინასწარი მონაცემებით, ბოლო ხანს ლევ როხლინი, რომელიც აგარაკზე ცოლთან ერთად ცხოვრობდა, მეტისმეტად ეტანებოდა ალკოჰოლს, ამიტომ გამორიცხული არ არის ვერსია, რომ მკვლელობა შეიძლება საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარიყო. ამავე დროს არის ვარაუდიც, რომ მკვლელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს გენერლის კომერციულ საქმიანობასთანაც.



## პოპულარობის საიდუმლო

ჩეხმა მეცნიერებმა ამ ცოტა ხნის წინათ დაადგინეს, რომ ხმის მიცემა საჭიროა არა გულით თუ ხელით, არამედ სულ სხვა ორგანოთი. პრაღის მახლობლად მდებარე პრეზერვატივების ფაბრიკაში ხორცს ისხამს სენსაციური აღმოჩენა — ამომრჩევლებისათვის საყვარელი დეპუტატობის კანდიდატებს ჩეხები პირდაპირ „ანტისპიდზე" ხატავენ. „როდესაც მილოში ზემანი თან გვაქვს, ჩვენ მშვიდად გვძინავს", — ამტკიცებენ ბედნიერი ამომრჩევლები.

## პენიცილინი ოპიუმსაც თრგუნავს

ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ბიოლოგიური ომი გამოუცხადეს ხაშხაშს, წერს პირველ გვერდზე „სანდი ტაიმსი". უზბეკეთის სამხედრო ლაბორატორიებში დიდი ბრიტანეთის ფულით მუშავდება ობის სპეციალური სახეობა, რომელიც მუსრს ავლებს ნარკოტიკულ მცენარეებს. ცივი ომის დროს ეს ლაბორატორია ამუშავებდა სხვადასხვა მიკრობებს საბჭოთა კავშირის პოტენციური მოწინააღმდეგეების მოსავლის გასანადგურებლად. ახლა კი ყოფილი საბჭოთა მეცნიერების უნიკალური ცოდნა მშვიდობიანი მიზნით გამოიყენება. როგორც ხაშხაშსაწინააღმდეგო სოკოს გამომყვანნი აღნიშნავენ, მათი პირმშოს მეშვეობით მარტოოდენ ხაშხაშის ნათესის სრული მოსპობა როდი შეიძლება. მეორე დოზით ეს ობი ძლიერ აქვეითებს ნარკოტიკის შემცველობას მცენარეებში, რაც ხელს უწყობს ლამაზი აყვავილებული მინდვრების შენარჩუნებას და, ამავე დროს, ყოველგვარ აზრს უკარგავს ნარკოსაქმოსანთა შრომას.

**ბონი.** სრულიად ევროპის ფულის ერთეული ევრო მიმოქცევაში ოფიციალურად შემოღებამდე ექვსი თვით ადრე უკვე გახდა ამერიკული დოლარის ალტერნატივა და თანდათან მსოფლიოს მთავარ ვალუტად იქცევა, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა.

**დელი.** სულ ცოტა 26 კაცი დაიღუპა განვლილი ორი დღე-ღამის მანძილზე უტარ-პრადეშის ჩრდილოეთის მთაში წყალდიდობებისა და მეწყერების შედეგად, რომლებიც კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვიეს. კიდევ 25 ათასი კაცი მოსწყდა გარე სამყაროს, ყოველგვარი კავშირი მათთან დაკარგულია. ივნისის დამლევი და ივლისის დამდეგი ინდოელთა მასობრივი ლოცვის დროა წმინდა ადგილებში, რომლებიც მდებარეობენ უტარ-პრადეშის ჩრდილოეთით მთისწინეთში მდებარე თვალწარმტაც ყვავილთა ხეობაში. წლეულს ბუნება რატომღაც შემოსწყრა მრავალ მლოცველსა და ტურისტს.

**სიდნეი.** რუსეთი და ყოფილი სსრ კავშირის კიდევ 10 რესპუბლიკა იმ 46 სახელმწიფოს შორის აღმოჩნდნენ, რომელთა მოქალაქეებისათვის 1 ივლისიდან საჭირო იქნება სატრანზიტო ვიზის სავალდებულო მიღება ახალ ზელანდიაში გასამგზავრებლად, თუნდაც სულ ცოტა 24 საათით წყნარი ოკეანის გავლით და უკან სხვა ქვეყნებში მიემგზავრებოდეს. სატრანზიტო ვიზის ღირებულება 60 ახალზელანდიური დოლარია.

**დელი.** ინდოეთი აპირებს უახლოეს ხანს რუსეთისაგან შეისყიდოს საჰაერო დაცვის ექვსი მობილური კომპლექსი ს-300 და სუ-30 მკ 40 მრავალმიზნობრივი ავიაგამანადგურებელი. საჰაერო თავდაცვის რუსული დანადგარები გაძლიერდება უახლესი რადარებით, რომლებიც ინ-

## მსოფლიოს ინფორმაციული მოზაიკა

დოელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს „დედამიწა-ჰაერის" კლასის „აკაშ" რაკეტებით. სამხედრო ექსპერტთა აზრით, ასეთი სრულყოფილი სისტემა ინდოეთს მისცემს შესაძლებლობას, „საიმედოდ ჩარაზოს" ქვეყნის საჰაერო სივრცე შესაძლო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში.

**ნიუ-იორკი.** შეერთებული შტატებისა და კუბის შეთანხმებანი მიგრაციულ საკითხებში მუშაობს, მაგრამ იმის გამო, რომ ჰავანა აჭიანურებს შესასვლელი ვიზების გაცემის პროცესს, თან, მაღალია მათი ღირებულება, ბევრ კუბელს აიძულებს ეძებოს ქვეყნიდან წასვლის არალეგალური გზები. ამერიკა-კუბის მოლაპარაკების მორიგი რაუნდის შედეგების მიხედვით ასეთი დასკვნა გამოიტანა ნიუ-იორკში ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის მეთაურმა. მოლაპარაკება მიმდინარეობდა სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ჯონ ჰამილტონისა და კუბის პარლამენტის თავმჯდომარის რიკარდო ალარკონის დონეზე. ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის მონაცემებით, მარტო ივნისში ფლორიდის ნაპირებთან დააკავეს 102 კუბელი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება წინა თვეების მაჩვენებლებს.

## დაიჭირეთ, არა გაუშვათ!



პარიზელმა პოლიციელებმა უარი თქვეს „რენო" ავტომობილებზე და ერთსულოვნად დადგნენ გორგოლაჭებზე. ვიწრო მოსახვევებსა და ქუჩაბანდებში ინგლისელი ფანატების ჭერამ ცხადყო, რომ მოწინააღმდეგეს არავითარი შანსი არა აქვს, გაექცეს მალემსრბოლ წესრიგის დამცველებს, რომლებიც ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარკ ბელამ მოამზადა.

უცხოეთის სააგენტოების, გაზეთების და სააგენტო „მედიანას" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

## მსოფლიო ჩემპიონატზე

**იტალია - საფრანგეთი 3:4 (0:0)**
**ბრაზილია - დანია 3:2 (2:1)**

დღეს, 4 ივლისს, ერთმანეთს ხვდებიან:
პოლანდია - არგენტინა
მარსელი, 18:30
გერმანია - ხორვატია
ლიონი, 23:00

## „ფეხბურთის ქილერები" შინ ბრუნდებიან



**იტალია:** პალიუკა, ბერგომი, მალდინი, კანავარო, კოსტაკურტა, პესოტო (დი ლივიო), დელ პიერო (რობერტო ბაჯო), დინო ბაჯო (ალბერტინი), დი ბიაჯო, ვიერი.

**საფრანგეთი:** ბარტეზი, ლიზარაზუ, ბლანი, ჯორკაეფი, დეშამპი, დესაი, გივარში (ტრეზეგე), ზიდანი, ტურამი, პეტი, კარემბუ (ანრი).

**თერთმეტმეტრიანები:** 0:1 (ზიდანი), 1:1 (რ. ბაჯო), 1:1 (ლიზარაზუ), 1:1 (ალბერტინი), 1:2 (ტრეზეგე), 2:2 (კოსტაკურტა), 2:3 (ანრი), 3:3 (ვიერი), 3:4 (ბლანი), 3:4 (დი ბიაჯო).

მილიონობით ფეხბურთის გულშემატკივარი ელოდა ამ შეხვედრას. ბევრს ეგონა, რომ ინგლის-არგენტინის ფინალის დარი ორთაბრძოლის შემდეგ კვლავ იხილავდნენ ნამდვილ ფეხბურთს, რადგან ნახევარფინალში გასვლას ფავორიტები ეცილებოდნენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, ყველანი შევცდით: ეკრანზე ვიხილეთ ერთი ჩვეულებრივი რიგითი შეხვედრა, სადაც, დამატებითი დროის ბოლო 15 წუთს თუ არ ჩავთვლით, ერთი გუნდი უტევდა, მეორე კი ჯიუტად იცავდა თავს.



თუმცა, ამგვარი სურათი მოულოდნელი არ ყოფილა ფრანგული გაზეთის – „ეკიპის" კორესპონდენტისთვის. მატჩის წინ ის წერდა თურმე: „იტალიელები ფეხბურთის დაქირავებული მკვლელები, ქილერები არიან, ჩეზარე მალდინიმ კი ისინი ფეხბურთის მტრებად აქცია. ძნელია, შეეგუო იმ აზრს, რომ იტალია სილამაზის მკვლელია, მაგრამ ასეა. ამაში ხვალეც დავრწმუნდებით".

არავის ეეჭვებოდა, რომ მასპინძლები, საკუთარი კედლების მხარდაჭერით, პირველი წუთებიდანვე შეუტევდნენ. მაგრამ იმას ვერ ვიფიქრებდით, ჩეზარე მალდინის შეგირდები, რომლებმაც მატჩის დასაწყისშივე ვეაგრძნობინეს, დაცვით სისტემას ვირჩევთო, მეტოქის საჯარიმო მოედნის იშვიათი სტუმრები თუ იქნებოდნენ.

მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ეს გუნდები ბოლოს თორმეტი წლის წინათ შეხვდნენ ერთმანეთს მეხიკოში. პლატინისა და სტოპირას გოლებმა წარმატება სამფეროვნებს მოუტანა. წინანდელი ორი პაექრობა 1938 და 1978 წლებში „სკუადრა აძურამ" მოიგო, შესაბამისად, 3:1 და 2:1. ამდენად, გუშინდელ შეხვედრაში მასპინძლებს ნახევარფინალის საგზურის გარდა, რევანშიც სწყუროდათ, მაგრამ პირველ ტაიმში ორისამი სახიფათო მომენტის მეტი სხვა დასამახსოვრებელი ვერაფერი შექმნეს: მე-5 წუთზე პეტის უძლიერესი დარტყმის შემდეგ პალიუკამ ბურთი ძლივს მოიგერია კუთხურზე. ერთხელ ზიდანი აღმოჩნდა ხელსაყრელ პოზიციაში, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს. ტაიმის მიწურულს ჯორკაეფი გავიდა პირისპირ პალიუკასთან. მისი დარტყმა უზუსტო აღმოჩნდა. რაც შეეხებათ იტალიელებს, მათგან მხოლოდ ვიერის ჰქონდა საგოლე მომენტი და მანაც ბურთი კარს ააცილა.

შესვენების შემდეგ ფრანგებს შეტევები არ შეუნელებიათ, მაგრამ „სკუადრა აძურას" ყრუ დაცვა ვერ გადალახეს. არ გამოდგა იტალიელთა კაპიტანი პაოლო მალდინი მართალი, მატჩამდე რომ აცხადებდა, კარგი და თვალწარმტაცი შეხვედრა იქნებაო. რა მომხიბვლელობაა იმაში, მთელი 40 წუთი მოედნის ცენტრალურ ხაზს რომ ვერ გასცდები და მხოლოდ ბურთის მოგერიებაზე იფიქრებ. მეორე ტაიმში ხომ მარტო რობერტო ბაჯომ შექმნა ერთადერთი სახიფათო მომენტი მე-40 წუთზე ბარტეზის კართან და მაშინაც ვერ იმარჯვა.

გუშინდელ მატჩს საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაქიც ესწრებოდა. იგი სპეციალურად დაბრუნდა ამ ორთაბრძოლის საყურებლად სამხრეთ აფრიკის ქვეყნებიდან, სადაც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა. მანამდე კი, დეპეშით გაამხნევა თავისი ფეხბურთელები და წარმატება უსურვა მეოთხედფინალურ პაექრობაში: „თქვენ უნდა იყოთ ჟანა დარკის სახალხო მებრძოლებივით შეკრულები, ნაპოლეონის „ძველ გვარდიასავით" ძლიერები, წინააღმდეგობის მეომრებივით თავდადებულები, მაშინ შეძლებთ მაღალი მიზნის მიღწევას".

სამფეროვნებს გუშინ მართლაც არ დაუზოგავთ თავი, მაგრამ მათი 120-წუთიანი იერიშები უშედეგოდ დამთავრდა. ეტყობა, ფრე ჩეზარე მალდინის ხელს აძლევდა, რადგან 11-მეტრიანების დარტყმამდე „სკუადრა აძურას" დამრიგებლის გალიმებულმა სახემაც გაიელვა ეკრანზე. ხუთიოდ წუთში კი იგი იძულებული გახდა წარმატება მიელოცა ფრანგი კოლეგისთვის. პენალტების სერიაში განმეორდა ის, რაც მოხდა ინგლის-არგენტინის მატჩისას: როცა ანგარიში იყო 1:1, თერთმეტმეტრიანები მოიგერიეს პალიუკამ და ბარტეზმა. 4:3-ზე კი დი ბიაჯოს დარტყმული ბურთი ხარიხამ აისხლიტა. ფრანგები ნახევარფინალში გავიდნენ, ხოლო „ფეხბურთის ქილერები", როგორც „ეკიპმა" უწოდა იტალიელებს, ნაადრევად ტოვებენ მსოფლიო ჩემპიონატს.

თამაზ ცინცაძე.

## ანონსი

### ახალგაზრდები მოსკოვს მიდიან

**მოსკოვში, 13 ივლისს, საზეიმოდ გაიხსნება მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი თამაშები სპორტის 15 სახეობაში. რუსეთის დედაქალაქში იასპარეზებენ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებიც, რომლებმაც გუშინ მოსკოვში გამგზავრების წინ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ოლიმპიურ მუზეუმში ფიცი დადეს. შემდეგ სეოკის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა პრესისა და რადიო-ტელევიზიის წარმომადგენლებთან გამართა პრესკონფერენცია, რომელსაც ფედერაციების ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ.**

**კონფერენციის მასალებს ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.**

## ეს იცოდით?




მთამსვლელობის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ფრენსის ჯოზეფ კემპბელის გმირობა. 1890 წელს იგი ავიდა ალპების უმაღლეს მწვერვალ მონბლანზე.

### უსინათლო მთამსვლელი

ეს მწვერვალი დაუპყრია არაერთ მთამსვლელს, მაგრამ თუ მათი მრავალრიცხოვანი გუნდიდან განსაკუთრებულად გამოვყოფთ ფრენსის ჯოზეფ კემპბელს, ეს იმიტომ, რომ ინგლისელმა მთამსვლელმა (რომელმაც იცოცხლა 82 წელი და ვისაც ხანდაზმულობაშიც კი მთებისკენ მიუწევდა გული) ჯერ კიდევ ბავშვმა (ოთხი წლისამ) დაკარგა მხედველობა.

ასე რომ, მონბლანი დაიპყრო სრულიად უსინათლო ადამიანმა.

ედიშერ გიორგაძე.

## ჩემპიონატის ირგვლივ

### ბრაზილიის სიმბოლური ნაკრები

ბრაზილიაში, როგორც არც ერთ სხვა ქვეყანაში, ძალიან ხშირად ადგენენ თავისი ქვეყნის სიმბოლურ ნაკრებს, რაც ძალიან დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ამის მიუხედავად, ბრაზილიურმა ჟურნალმა „პლაკარმა" მოახერხა მოეწყო სპეციალური რეფერენდუმი, რომელშიც სხვადასხვა ასაკის ცნობილი 64 ფეხბურთელი და სპეციალისტი მონაწილეობდა. გამოკითხულთა შორის იყვნენ პოპულარული ფრანგი ფეხბურთელები — შვედეთის მსოფლიოს VI ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ჟიუსტ ფონტენი და საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტანი მიშელ პლატინი.



რეფერენდუმის შედეგად დადგინდა ბრაზილიის ყველა დროის სიმბოლური ნაკრები, რომელიც შემდეგნაირად გამოიყურება: ჟილმარი, ჯალმა სანტოსი, დომინგოს დე გუია, კარლოს ალბერტო, ნილტონ სანტოსი — დიდი, პელე, ჟერსონი, გარინჩა, ლეონიდასი, ზიზინიო. ამ გუნდის კაპიტნად რატომღაც „ფეხბურთის მეფე" პელე იქნა დასახელებული, თუმცა მანამდე მას არასოდეს უტარებია სამკლაური. თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ბრაზილიის ყველა დროის სიმბოლურ ნაკრებში დასახელებულნი არიან ის ფეხბურთელები, რომლებიც მექსიკის 1970 წლის მსოფლიოს IX ჩემპიონატის ჩათვლით ბრწყინავდნენ. არც ერთი სხვა დროის ვარსკვლავებისათვის, როგორიც ზიკო, სოკრატესი, რომარიო ან რონალდოა, სიმბოლურ ნაკრებში ადგილი არ მოიძებნა. რეფერენდუმის მომწყობნი მიიჩნევენ, რომ ისინი საგრძნობლად ჩამორჩებიან ზემოაღნიშნულ „დინოზავრებს".

მოამზადა
შალვა ბახტაძემ.

## ყოველი მხრიდან

### მსოფლიო რეკორდი — 50 ათას დოლარად

დიდი დრო როდი დარჩა კეთილი ნების თამაშებამდე: გადიგრიალებს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატი, ახალგაზრდობის ოლიმპიური თამაშებიც გამოემშვიდობება მოსკოვს და უკვე ნიუ-იორკის ჯერიც დადგება.

როგორც თამაშების ორგანიზატორები ფიქრობენ, მოცურავეთა შეჯიბრებანი ამ დიდი სპორტული ღონისძიების ერთ-ერთი ცენტრალური მოვლენა გახდება. ტურნირი ძირითადად გუნდური იქნება – მასზე, მასპინძლის გარდა, მოწვეულია გერმანიისა და რუსეთის კაცთა ნაკრებები, ქალებიდან კი – გერმანია და ჩინეთი. მათთან ერთად იპაექრებს მსოფლიო ნაკრები, რომელიც დანარჩენი ქვეყნების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება.

ქულების ათვლის ოლიმპიური სისტემისგან განსხვავებით, აქ ჩაითვლება ინდივიდუალურ სახეობებში მხოლოდ საპრიზო ადგილები (5-3-1) და ესტაფეტაში გამარჯვება (7 ქულა). მთავარი საგუნდო პრიზი 50 ათასი დოლარია, თითოეული პირადი გამარჯვებისათვის კი ათასი დოლარია დაწესებული (თითქოს ძალზე ცოტაა, მაგრამ ორგანიზატორები ითვალისწინებენ, რომ თითოეულ სპორტსმენს დღეში რამდენიმე შეჯიბრში შეეძლება მონაწილეობა და გამარჯვება). ორგანიზატორები მოელიან, რომ პაექრობის დღეებში აუცილებლად დამყარდება რამდენიმე მსოფლიო რეკორდი, თითოეული მათგანისათვის კი რეკორდსმენი დამატებით 50 ათას დოლარს მიიღებს.

### ვინ არის ყველაზე ძვირი?

ლონდონურმა ჟურნალმა Business age მსოფლიო ჩემპიონატის ამ დაძაბულ დღეებში გამოაქვეყნა იმ გამოკვლევის შედეგები, რომელსაც უნდა გამოევლინებინა სადღეისოდ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები. საინტერესოა, რომ „ძვირფას" ფეხბურთელ დიდოსტატთა ათეულში პირველი ოთხი ადგილი ბრაზილიელ სპორტსმენებს უკავიათ.

საერთოდ კი, აი, როგორ გამოიყურება ეს სია-რეიტინგი: 1. **რონალდო** (ბრაზილია, „ინტერი") – 205 მილიონი ფრანკი; 2. **დენილსონი** (ბრაზილია, „ბეტისი") – 187; 3. **რივალდო** (ბრაზილია, „ბარსელონა") – 177; 4. **რობერტო კარლოსი** (ბრაზილია, „რეალი") – 158; 5. **ალესანდრო დელ პიერო** (იტალია, „იუვენტუსი") – 152; 6. **დენის ბერგკამპი** (ჰოლანდია, „არსენალი") – 137; 7. **რობერტო ბაჯო** (იტალია, „ბოლონია") – 107; 8. **ჯორჯ ვეა** (ლიბერია, „მილანი") – 92; 9. **დევიდ ბეკჰემი** (ინგლისი, „მანჩესტერ იუნაიტედი") – 81; 10. **ალან შირერი** (ინგლისი, „ნიუკასლი") – 77.

ლიბერიელი ვეას გარდა, ყველა „მდიდარი" ფეხბურთელი მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში. „შეიძლება, ვიღაცამ ამ სიას „ავყიობის ბაზარი" უწოდოს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ფეხბურთელის ღირებულება შეესატყვისება რანგების მსოფლიო ტაბულაში მათ რეალურ მდგომარეობას" – წერს ჟურნალი ამ ცხრილის კომენტარებში.

### მოსკოვს სოფელი შეემატა

11 ივლისს, მოსკოვში სტარტს აიღებს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები. ოთხშაბათს კი საზეიმოდ გაიხსნა ოლიმპიური სოფელი, ოლიმპიური ჰიმნის ხმაზე აღმართეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის, რუსეთის, მოსკოვისა და ახალგაზრდული თამაშების ალმები. ახალი სოფლის დაბადება დალოცა მოსკოვის მერმა, თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ იური ლუჟკოვმა.

გუშინ ოლიმპიურმა სოფელმა პირველი სტუმრები მიიღო – უკვე ჩამოვიდა ბრაზილიის სპორტული დელეგაცია.

### რომარიო კონსპექტებს ჩაუჯდა

მსოფლიოს XV ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი რომარიო ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი გამოუცნობი ხასიათით. 32 წლის ვეტერანი რიო დე-ჟანეიროს უნივერსიტეტში სასწავლებლად ჩაეწერა. „ფლამენგოსა" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, რომელიც კარნავალებსა და დღესასწაულებს ეტრფის, კონსპექტებით არის შეიარაღებული და ფეხბურთიდან თავისუფალ დროს უნივერსიტეტში ატარებს. იგი აუდიტორიაში თავისზე 10-12 წლით უმცროსი სტუდენტების გვერდით ზის. რომარიომ მხოლოდ მოგვიანებით გადაწყვიტა უმაღლესი განათლების მიღება, რაც ასე იშვიათია ბრაზილიელ ვარსკვლავთა შორის.

უძღვება
ანზორ ბასილაია.

# თბილისის უნივერსიტეტი

№166, შაბათი, 4 ივლისი, 1998 წელი.

საქართველოს რესპუბლიკა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი | №6


ეროვნული ბიბლიოთეკა

სიახლე

## ახალმოსახლეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტისა







უნივერსიტეტის 80 წლისთავზე ივანე ჯავახიშვილის კაბინეტმა ახალმოსახლეობა იზეიმა. იგი ისეთივე უპრეტენზიოა, როგორც უნივერსიტეტის დამაარსებელი იყო. თანამედროვე დიზაინი ორგანულადაა შერწყმული გემოვნებით შერჩეულ ტრადიციულ საგამოფენო სტენდებთან.

მემორიალურ სასწავლო კაბინეტში გამოფენილი და დაცულია მეცნიერის უმთავრესი ნაშრომების ძველი და ახალი გამოცემები, საყურადღებო მასალები, ექსპონატთა შორისაა 1923 წელს ივანე ჯავახიშვილის მიერ შედგენილი ისტორიულ-პოლიტიკური რუკა.

აქვეა წარმოდგენილი უმდიდრესი ფოტოკოლექცია.

*სურათებზე: ივანე ჯავახიშვილის სახელობის კაბინეტში.*

თანადგომა

## ეხმარებიან ლტოლვილებს

19 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ჰუმანიტარული ტვირთი ჩაუტანეს გალის რაიონიდან ზუგდიდში ჩასულ ლტოლვილთა იმ 70 ოჯახს, რომელიც დაბინავებულია თბილისის უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის შენობაში.

საოჯახო ნივთები, პირველადი მოთხოვნილების საგნები, მედიკამენტები, ტანსაცმელი, ელექტროღუმელები – ყველაფერი ეს გატარ[ე]და ცენტრალურ საწყობში, საიდანაც ხდება მისი გადაგზავნა დანიშნულების ადგილას. ზუგდიდის ფილიალის დირექტორის, ბატონ ვახტანგ კვარაცხელიას და ბატონ ბაკურ გულუას დახმარებით, უნივერსიტეტის თანამშრომლებმა პირადად გადასცეს ლტოლვილებს ჰუმანიტარული დახმარება.

თბილისის უნივერსიტეტის საერთო განყოფილების გამგეს დავით შარაბიძეს ლტოლვილებმა უთხრეს, რომ მეტად საჭირო ნივთები მიიღეს. დიდი მადლობა გადაუხადეს რექტორს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და ქალთა საკრებულოს, უნივერსიტეტის მთელ კოლექტივს, რომლებმაც ძალისხმევა და ენერგია არ დაიშურეს, რომ ცოტათი მაინც გააუმჯობესონ ლტოლვილების ცხოვრების პირობები.

თბილისის უნივერსიტეტს გადაწყვეტილი აქვს დახმარება მომავალშიც გაუწიოს ზუგდიდის ფილიალში დაბინავებულებს – დამატებით ჩაუტანონ საწოლები, ლეიბები, ბავშვთა კვების პროდუქტები.

**ირმა სულიაშვილი.**

გამარჯვებულნი

„სტუდენტური დღეები – 98“-ის პროგრამით გამართულ დარგობრივ სამეცნიერო კონფერენციაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 45 სტუდენტმა გაიმარჯვა.

საქართველოს პრეზიდენტმა პირადად დააჯილდოვა ისინი და საგანგებოდ აღნიშნა, რომ „ქართულ მეცნიერებას ღირსეული ცვლა ეზრდება, რომელიც 21-ე საუკუნეში ღირსეულად წარმოადგენს საქართველოს მსოფლიოს წინაშე“.

45 გამარჯვებულიდან 13 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია.

**მათ შესახებ მოგითხრობთ დღევანდელი ნომრის მე-7, მე-8, მე-9 გვერდებზე.**

საზაფხულო პრაქტიკა

## მესამე ათასწლეულს – ეკოლოგიურად განსწავლული თაობა

### „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფონდის თანადგომით

ეთნოლოგია თავისი კვლევის სპეციფიკის გამო უშუალოდ დაკავშირებულია საველე მუშაობასთან. უკანასკნელ წლებში ქვეყნის წინაშე წამოჭრილმა ეკონომიკურ-ფინანსურმა სიძნელეებმა დაღი დაასვა მეცნიერების ამ დარგის განვითარებას, უპირველესად კადრების მომზადებას, რადგან საუნივერსიტეტო განათლების გვერდით არ არსებობდა საველე მუშაობის პრაქტიკული საშუალება.

უმაღლესი განათლების პროგრამის მხარდასაჭერად, რომლის მიზანი კონკრეტულ სპეციალობაში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაა, ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ წელს თბილისის უნივერსიტეტს ეთნოლოგიის კათედრის ეთნო-ეკოლოგიური ექსპედიციის საზაფხულო პრაქტიკის ჩასატარებლად დახმარება აღმოუჩინა.

სტუდენტთა საზაფხულო პრაქტიკის სამუშაო თემატიკა უშუალოდ უკავშირდება ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ტრადიციული და ინოვაციური ფორმების კვლევას, რაც გამოიხატება შრომითი შემოქმედების შედეგებში და ემყარება საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ ემპირიულ ეკოლოგიურ ცოდნას.

(დასასრული მე-10 გვ).

ღია კარის დღე

## უნივერსიტეტი მისაღები გამოცდებისათვის ემზადება







წლეულს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უფასო სწავლების განყოფილებაზე 18 ფაკულტეტის ქართული სექტორის 87 სპეციალობაზე და რუსული სექტორის 14 სპეციალობაზე 1600-ზე მეტ სტუდენტს მიიღებენ. ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე 600-მდე, საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ ფაკულტეტებზე 1000-ზე მეტი სტუდენტი ჩაირიცხება.

მიღება იქნება ფასიან განყოფილებაზეც.

მომავალი გამოცდების ნიუანსებზე იყო საუბარი 14 ივნისს უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გამართულ ღია კარის დღეზე. 3000-მდე აბიტურიენტმა მიიღო ამომწურავი პასუხი გამოცდებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რეგიონი



# სიღნაღი საუნივერსიტეტო ქალაქი გახდება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალების შექმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, დრომ და ახალმა პოლიტიკურმა ვითარებამ მოიტანა და მის წარმატებით ხორცშესხმას დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს.

ფილიალების გახსნით საფუძველი ეყრება ახალი, პატარა საუნივერსიტეტო ქალაქების მშენებლობას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ფილიალებს ყველა შესაძლებლობა აქვთ, რათა სამომავლოდ ძლიერ საუნივერსიტეტო ცენტრებად ჩამოყალიბდნენ.

რა თქმა უნდა, ამ გზაზე მრავალი სიძნელის გადალახვა მოგვიწევს. უპირველესი ფინანსური სიდუხჭირეა. რას იზამ! უჭირს ქვეყანას, დედაუნივერსიტეტს, უჭირს ახლადფეხადგმულ ფილიალებსაც. საფიქრალი და საზრუნავი არ აკლია სიღნაღის ფილიალსაც, რომელიც თავისი არსებობის ჯერ მხოლოდ მესამე სასწავლო წელს მიითვლის. თუმცა ყოველდღიურმა პრობლემებმა არ უნდა დაჩრდილოს მომავალზე მუდმივი ფიქრი და განსჯა. სიღნაღის უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს თავისი გამორჩეული სახე, მეცნიერების განვითარების თავისი პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც გამომდინარეობს კახეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-დემოგრაფიული მდგომარეობიდან. ერთი სიტყვით, მან თავისი ღირსეული ადგილი უნდა დაიმკვიდროს საქართველოს საუნივერსიტეტო სისტემაში, — ასე ფიქრობს ფილიალის ხელმძღვანელობა და რექტორატის ინიციატივით გადაწყდა დამუშავებულიყო პერსპექტიული პროგრამა. სწორედ ამ პროგრამის ზოგიერთი ასპექტი გამოგვაქვს მკითხველის სამსჯავროზე.

პირველი, რაც ძლიერ აწუხებს ფილიალის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებლებს, გახლავთ აბიტურიენტთა მომზადების დაბალი დონე, რაც შარშანდელ მისაღებ გამოცდებზეც ნათლად გამომჟღავნდა. ამიტომ რექტორატმა გადაწყვიტა მიემართა ჩვენში აპრობირებული მეთოდისათვის და სიღნაღშივე გაეხსნა ფილიალის მოსამზადებელი განყოფილება. მომავალ სასწავლო წელს მოსამზადებელი განყოფილებები გაიხსნება წნორსა და გურჯაანშიც, მაგრამ პრობლემის საბოლოო დაძლევის საუკეთესო საშუალებად არც ეს მიგვაჩნია საკმარისად. ვფიქრობთ, გამოვიყენოთ უცხოეთში დანერგილი ტრადიცია და შევქმნათ საუნივერსიტეტო გიმნაზიების, ლიცეუმების და კოლეჯების საკუთარი ქსელი სიღნაღსა და მის მეზობელ რაიონებში. ამ მიზნით ჩვენს ფილიალში შეიქმნა სპეციალური საკოორდინაციო საბჭო.

თანამედროვე უნივერსიტეტი წარმოუდგენელია კომპიუტერიზაციის, კომპიუტერული სწავლების და ინტერნეტის საინფორმაციო ბანკის გარეშე. მალე ფილიალში გაიხსნება კომპიუტერული ლაბორატორია, შესაბამისად გამოცხადდება მიღება გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნიკის სპეციალობაზე. იმედისმომცემია ისიც, რომ თბილისის უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი ჩვენთან აპირებს ფილიალის გახსნას. კომპიუტერული ლაბორატორიის შექმნა საშუალებას მოგვცემს დავაარსოთ ჩვენი გამომცემლობა, ჩავერთოთ ინტერნეტის სისტემაში, მოვაწყოთ თანამედროვე სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

უცხო ენათა ძლიერი ფაკულტეტი თანამედროვე აპარატურითა და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობით — ესეც მოწინავე უნივერსიტეტის აუცილებელი ატრიბუტია. ჩვენთან უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინგლისური, გერმანული და ბერძნული განყოფილების ჯგუფები. მომავალ სასწავლო წელს მათ დაემატება ფრანგული, თურქული და რუსულ-უკრაინული ენების სპეციალობები.

სიღნაღი საერთაშორისო ტურიზმის ცენტრად უნდა იქცეს. ამაში წვლილს შეიტანს ჩვენი ფილიალიც. ეკონომიკის ფაკულტეტზე ვხსნით ახალ სპეციალობას — სასტუმროების, რესტორნების კომპლექსების და საერთაშორისო ტურიზმის ეკონომიკას და ბიზნესს. გარდა ამისა, განზრახული გვაქვს გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტის გახსნა, ჯერჯერობით მეორადი სპეციალობის სახით. ამგვარი ფაკულტეტი აუცილებლად ჭირდება ნიკო ფიროსმანაშვილის მშობლიურ კუთხეს. ჯერ ერთი, ის აღორძინებს ამ მხარისათვის ნიშანდობლივი დეკორატიული ქსოვილების, სალხური მხატვრული რეწვის ტრადიციებს, მეორე მხრივ, ეს ფაკულტეტი თავის ნაწარმს პროდუქციის სახით შესთავაზებს უცხოელებს, რომელთაც თუ არ ჩავთვლით ჩვენს უნიკალურ მრავალსაუკუნოვან ხელოვნებას, სხვა ვერაფრით გააკვირებ. ბარემ აქვე ვიტყვით, უნივერსიტეტს განზრახული აქვს სიღნაღის რაიონისათვის დამახასიათებელი მუსიკალური და ხალხური სიმღერების ტრადიციების აღორძინება-განახლებაც. ამის საფუძველი გახდება მუსიკალურ-პედაგოგიური სპეციალობა, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან დაფუძნდება.

სიღნაღის უნიკალურობა და ისტორიულობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ეს ქალაქი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობის ერთ-ერთი აკვანია. ბოდბის მონასტერში განისვენებს ყოველთა ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო. ეს ადგილი უდიდესი სიწმინდეა არა მარტო კახეთისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ამიტომ სიღნაღის ფილიალი გვერდში დაუდგება ბოდბის ეპარქიას ამ მხარეში მოძალებული სექტანტობის აღმოფხვრისა და მართლმადიდებლობის განმტკიცებისათვის, რისი საწინდარიც იქნება უნივერსიტეტში გახსნილი ფილოსოფიისა და თეოლოგიის სპეციალობები.

ზემოხსენებულ ახალ სპეციალობათა ნუსხაში უნდა დავასახელოთ კიდევ ერთი — დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია, რომელიც ისტორიის ფაკულტეტზე შეიქმნა. სხვათა შორის, ფილიალის ხელმძღვანელობამ თბილისის უნივერსიტეტის 80 წლის საიუბილეო დღეებში ჭადაწყვიტა, გააერთიანოს ფილოლოგიის, ისტორიისა და ფილოსოფიის სპეციალობები ერთ ფაკულტეტად და უწოდოს მას სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. ეს იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი ფაკულტეტის უკვდავყოფაც და იმის სიმბოლური მინიშნებაც, რომ სიღნაღის ფილიალი ისეთივე ეროვნული სულის მატარებელი იქნება, რაც მის დედაუნივერსიტეტს შთაბერა დიდმა ივანე ჯავახიშვილმა.

ფილიალის სამეცნიერო საბჭომ განსაზღვრა მეცნიერების ის დარგები და მიმართულებები, რომელიც ჩვენთვის პრიორიტეტული იქნება. ესენია: 1. ქართველოლოგიური დისციპლინები 2. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიები და 3. ნავთობპროდუქტების ქიმია და ტექნოლოგიები. როგორც მკითხველისათვის ცნობილია, ჩვენთან უკვე ფუნქციონირებს მხარეთმცოდნეობითი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, ე.წ. „დეფო“, იგი შეისწავლის კახეთისა და საინგილოს რაიონებს ეთნოგრაფიულ-ლინგვისტური თვალსაზრისით. თავიდან დაიწერება კახეთის თითოეული სოფლის თუ ნასოფლარის, კულტურული ძეგლის ისტორია, მზადდება ბაზა სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური ლაბორატორიის შესაქმნელად. ჩვენი ფილიალი პიონერია ისეთი ახალი სპეციალობის დანერგვაში, როგორიცაა ნავთობი, ნავთობპროდუქტები: ქიმია-ტექნოლოგია და ბიზნესი. კახეთისა და ჩვენი ქვეყნისათვის ეს მეტად მნიშვნელოვანი სპეციალობა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობის გამო დაუსწრებელი ფორმით ჯერჯერობით გახსნილი გვაქვს დედაუნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე. ხსენებული ფაკულტეტის დახმარებით, იმედი გვაქვს, ეს სპეციალობა მალე დაიდებს ბინას ფილიალში. ვფიქრობთ, რომ ამ საქმეში მატერიალურ დახმარებას გაგვიწევენ კახეთის იმ რაიონების ხელმძღვანელები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნავთობის სპეციალისტების ჩვენს უნივერსიტეტში მომზადებით (მხედველობაში გვაქვს საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს რაიონები).

ფილიალის ხელმძღვანელობამ შეიმუშავა მშენებლობისა და განვითარების პერსპექტიული გეგმა. მასში იგულისხმება ფილიალის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადო მოწყობა, დამხმარე მეურნეობის განვითარება და კომერციული ცენტრის შექმნა. დამხმარე მეურნეობამ და კომერციულმა ცენტრმა არა მარტო უნდა დაასაქმოს ჩვენი სტუდენტები და კურსდამთავრებულები, არამედ სამომავლოდ უნივერსიტეტს უნდა შეუქმნას მყარი მატერიალური და ფინანსური საფუძვლები.

**გაიოზ ნადირაშვილი,**
**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალის დირექტორი, პროფესორი.**

## ახალი გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“




თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს თავისი პირველი წესდებით, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, „ქართული უნივერსიტეტი“ ეწოდა. აქედან მოდის ამ გაზეთის სათაურიც. გაზეთი სექტემბრიდან ყოველკვირეულად გამოვა და როგორც წინათქმაშია აღნიშნული, შეეცდება, აქტიური როლი ითამაშოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში და უნივერსიტეტის გადასახედიდან მოიცვას მთლიანად ახალგაზრდული და არა მარტო ახალგაზრდული პრობლემები, უნივერსიტეტის უდიდესი სამეცნიერო პოტენციიდან გამომდინარე, ფართო საზოგადოებას მესთავაზოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები.

ალიარებულ მწერალს, კრიტიკოსსა და მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს 26 მაისს რუსთაველის პრემია მიენიჭა.

რევაზ მიშველაძე პირველია უნივერსიტეტელთა შორის, რომელმაც ეს დიდი ეროვნული პრემია დაიმსახურა.

გულითადად მივესალმებით და ვულოცავთ!

## წიგნის სამყაროში




ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა გამოსცა „ქართული დიპლომატიური ლექსიკონის“ პირველი ტომი. იგი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის დიპლომატიის შესწავლას, მისი ისტორიული განვითარების მთელ მანძილზე.

„ლექსიკონში“ ტერმინებადაა წარმოდგენილი ქართული დიპლომატიური ისტორიისა და პრაქტიკის საკითხები, საქართველოს ტრადიციები. „ლექსიკონი“ ქართული მასალის გარდა, უხვად აშუქებს უნივერსალურ (საერთაშორისო) მოვლენებს, განმარტავს დიპლომატიურ ტერმინებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ და ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა გამოსცეს „ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების“ ორტომეული.

ორტომეულის მიზანია, გააშუქოს ქართული დიპლომატიის ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან უკანასკნელ პერიოდამდე. იგი განკუთვნილია, როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ლექსიკონისა და ორტომეულის მთავარი რედაქტორია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი როინ მეტრეველი.

# მეცნიერები ოცდამეერთე საუკუნის საქართველოდან



პროფესორი ვახტანგ ქარუმიძე და ზვიად აბაშიძე.



გია ავალიშვილი.



თამარ ალფენიძე და დოც. ირინე გოცირიძე.

## ზვიად აბაშიძე

ზვიად აბაშიძემ თბილისის 173-ე საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში ორჯერ მიიღო მონაწილეობა მოსწავლე-ისტორიკოსთა სამეცნიერო კონფერენციაში და I ხარისხის დიპლომები დაიმსახურა.

მისი თქმით, პატარობიდანვე იტაცებდა ისტორია, განსაკუთრებით კი პოლიტიკური აზრისა და პროცესებისა. სწორედ ამან განაპირობა მისი არჩევანი – ჩაებარებინა ისტორიის ფაკულტეტზე, პოლიტოლოგიის სპეციალობით.

უნივერსიტეტში მისი მეცნიერული წრთობისათვის ნაყოფიერი გამოდგა პროფესორ გურამ აბესაძის მიერ ჩამოყალიბებულ სტუდენტთა სამეცნიერო წრეში საქმიანობა.

შარშანწინ საუნივერსიტეტო კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება „იოანე პეტრიწის ერთმმართველობის პოლიტიკური იდეა“ (ხელმძღვანელი პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე).

მისი სადიპლომო ნაშრომია „ადგილობრივი და რეგიონული ორგანოები მართვის პოლიტიკურ სისტემაში“. სწორედ, ამ ნაშრომის რეზიუმე წარადგინა წლევანდელ სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე, უნივერსიტეტში გამარჯვების შემდეგ, პირველი პრემია მიენიჭა რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციაში ფილოსოფიისა და საზოგადოებათმცოდნეობის სექციაში, რომლის სხდომებიც ქუთაისში გაიმართა.

ზვიად აბაშიძეს IV-V კურსებზე სპეცკურსებს ვუკითხავდი. მანამდე ვიცნობდი როგორც ნიჭიერ და ბეჯით სტუდენტს. იგი ლექციებისა და სემინარული მეცადინეობებისადმი იჩენდა დიდ ინტერესს და ყურადღებას, გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას. ზვიადი მაძიებელი, გონებაგახსნილი, პოლიტიკური მეცნიერების პრობლემების შესწავლით ღრმად და ფართოდ დაინტერესებული სტუდენტია.

ჩემი სპეცკურსები ეხებოდა საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის პრობლემებს. ზვიადი საოცრად შრომისმოყვარე აღმოჩნდა. მან სპეცკურსების მიხედვით უზარმაზარი ლიტერატურა – საერთაშორისო კონვენციები, ხელშეკრულებები, სხვა დოკუმენტები ყოველმხრივ და მიზანმიმართულად შეისწავლა, გააანალიზა, დაუკავშირა საქართველოს ცხოვრებასა და დემოგრაფიულ აღმშენებლობას.

შარშან თებერვალ-მარტში დაინტერესდა ისეთი პრობლემით, როგორიცაა მმართველობის სისტემა, აღმასრულებელი ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმმართველობა. გაეცნო საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცემებს, საქართველოში არსებულ მასალებს. პარალელურად ეუფლებოდა უცხო ენებს – ამჟამად თავისუფლად იყენებს სპეციალურ ლიტერატურას რუსულ და ინგლისურ ენებზე. ზვიად აბაშიძემ V კურსის პირველ სემესტრშივე დაასრულა მუშაობა სადიპლომო და საკონფერენციო ნაშრომებზე. გამარჯვებებიც მოიპოვა. სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს მის სადიპლომო ნაშრომს (იგი რეცენზირებულია პარლამენტის ერთ-ერთ კომიტეტში, რეცენზენტი ბატონი ვანო ხუხუნაიშვილი). მის მოხსენებას პირველი ადგილი მიენიჭა სტუდენტთა წლევანდელ კონფერენციაზე.

ჩემთვის, როგორც მეცნიერი ხელმძღვანელისათვის, უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ზვიადის წარმატება. მიხარია, რომ მას გამარჯვების დიპლომი საქართველოს პრეზიდენტმა, მსოფლიოში გამოჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მრავალი ცივილიზებული ქვეყნის პოლიტიკური მეცნიერების საპატიო დოქტორმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გადასცა. ეს ზვიადისათვის უაღრესად საპატიოა, დაუვიწყარია.

ზვიად აბაშიძე ამაყობს იმით, რომ მან წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. მჯერა, რომ პოლიტიკური მეცნიერების კათედრის მომავალი ასპირანტი, მისთვის დამახასიათებელი თვისებების წყალობით თავის წვლილს შეიტანს XXI საუკუნის საქართველოს მშენებლობაში.

**ვახტანგ ქარუმიძე,**
პროფესორი.

## გია ავალიშვილი

20 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალში სტუდენტთა დარგობრივმა სამეცნიერო კონფერენციამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელს უმასპინძლა.

ნამუშევრები შეაფასა კომპეტენტურმა ჟიურიმ აკადემიკოს ევგენი ხარაძის თავმჯდომარეობით.

გამარჯვებულს, თბილისის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხეკურსელ გია ავალიშვილს, მედალი, პირველი ხარისხის დიპლომი და საქართველოს პრეზიდენტის პრემია გადაეცა.

მეორე ადგილი ხვდა ახალციხის ფილიალის IV კურსის სტუდენტს ბიძინა კაპანაძეს.

მესამეც თბილისის უნივერსიტეტელი – მეოთხეკურსელი დავით გაბელაია იყო.

კონფერენციის მონაწილეებმა ინახულეს საქვეყნოდ ცნობილი აბასთუმნის ასტრონომიული ობსერვატორია.

გამარჯვებულს, გია ავალიშვილს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დიდი ნუსხა აქვს. საშუალო სკოლაში სწავლის დროს მათემატიკისა და ფიზიკის რესპუბლიკურ და საერთაშორისო ოლიმპიადებში იმარჯვებდა, ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტობისას მრავალ სამეცნიერო ფორუმში აქვს წარმატება მოპოვებული. მათგან განსაკუთრებულია გამარჯვებები ფუნდამენტურ მეცნიერებებში, სტუდენტთა და ასპირანტთა საერთაშორისო კონფერენციაში – „ლომონოსოვი – 96“, რომელიც მოსკოვში გაიმართა, სოროსის ფონდის კონფერენციაში, შარშანდელ დარგობრივ სამეცნიერო რესპუბლიკურ ფორუმში.

გია ავალიშვილის მეცნიერ-ხელმძღვანელი, პროფესორი დავით გორდეზიანი თვლის, რომ მისი სადიპლომო ნაშრომი (ბაკალავრიატის კურსისა) უყოყმანოდ იმსახურებს მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, განსაკუთრებით მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ამ წოდებას რამდენიმე კურსდამთავრებული იმსახურებს. ალბათ, გამონაკლისის წესით, დასაშვებია რაღაც მეღავათი თუ მექანიზმი, რაც საშუალებას მისცემს ახალგაზრდებს უნაყოფოდ არ დაკარგონ 3-5 წელი და მიეზღათ ის, რასაც დღეს იმსახურებენ.

გარწმუნებთ, 5 წლის შემდეგ ნიჭიერთა ეს თაობა, სადოქტორო ნაშრომებით წარუდგება სამეცნიერო საბჭოებს.

**რევაზ ჭილაძე,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის კათედრის გამგე.

## თამარ ალფენიძე

თამარ ალფენიძე 1994 წელს ჩაირიცხა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე თურქული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის პირველ კურსზე. მან იმთავითვე მიიპყრო პედაგოგთა ყურადღება თავისი ასაკისათვის უჩვეულო სიდინჯით, ორგანიზებულობით და შრომისმოყვარეობით. ყველა საგანს ერთნაირად კარგად სწავლობდა, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მაინც თურქული მწერლობის მიმართ ამჟღავნებდა. პირადად მე არ ვასწავლიდი, მაგრამ მისი მასწავლებლებისაგან ხშირად მომისმენია თამარის ქება. დავინტერესდი. ერთხელ გავესაუბრე და თვალებში ჩავხედე. მის დიდ თვალებში ღრმად ჩაბუდებული სევდა დავინახე: თურმე სოხუმელი იყო და მისი ოჯახი იმ ავბედითი ომის დღეებში გასულია მშობლიურ ქალაქს. მივუხვდი, რა დარდიც აწუხებდა. იმ დღის შემდეგ ჩემთვის უფრო ახლობელი გახდა თამარი. ერთ დღეს თავდახრილი შემოვიდა ჩემს ოთახში და მთხოვა, თუ შეიძლება თქვენ მიხელმძღვანელეთ და სტუდენტთა სამეცნიერო წრეში მოხსენება წამაკითხეთო. მე, რა თქმა უნდა, დავთანხმდი და რამდენიმე თემა შევთავაზე. მან ცნობილი თურქი რომანისტის საბაჰათინ ალის ლექსების კრებული „მთები და ქარი“ აირჩია, რომელიც სპეციალური კვლევის საგანი მანამდე არ ყოფილა. თამარმა კარგად გაართვა თავი საქმეს და სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომაზე მოხსენება წაიკითხა. მოხსენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა და წარდგენილ იქნა ჯილდოზე. 1997 წლის სტუდენტური დღეების ბოლოს მისმა მოხსენებამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების და სტუდენტთა კავშირის საპატიო დიპლომი მიიღო. იმავე წელს თამარმა ჩემივე ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო თანამედროვე თურქი მწერლის, მსოფლიო სახელის მქონე კინოსცენარისტის ორჰან ფამუქის ერთ სცენარზე – „იდუმალი სახე“, რომელიც საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ფილმს. ფილმმა და მისმა სცენარმა მონრეალისა და ანკარის კინოფესტივალებზე I პრიზი დაიმსახურა.

1998 წლის მაისში სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე თამარ ალფენიძემ წაიკითხა მოხსენება ორჰან ფამუქის აღნიშნული სცენარის შესახებ და ჟიურის გადაწყვეტილებით წარდგენილ იქნა რესპუბლიკურ კონფერენციაზე, სადაც ნაშრომმა პირველი ადგილი დაიკავა. 1998 წლის 26 მაისს თამარ ალფენიძეს „სტუდენტური დღეები-98“-ის სამეცნიერო კონფერენციაში პირველი ადგილის დაკავებისათვის საქართველოს პრეზიდენტის დიპლომი გადაეცა.

თამარი სისხლსავსე სტუდენტური ცხოვრებით ცხოვრობს: იგი საქართველოს ალპინიზმისა და მეკლდეურობის ასოციაციის წევრია. 1997 წლის ივლისში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის შეკრებაში და ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტთან ერთად დალაშქრა ყაზბეგის რაიონის ჭაუხის მწვერვალები. არის ფაკულტეტის სტუდენტ გოგონათა კვარტეტის წევრი და წლევანდელ სტუდენტურ დღეებში გამართულ კონცერტზე მისი მეორე ხმაც საამოდ გაისმოდა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზის სცენიდან.

1998 წლის იანვარ-თებერვალში თამარ ალფენიძემ ანკარის უნივერსიტეტში გაიარა თურქული ენის შემსწავლელი კურსების ინტენსიური პროგრამა. იგი აქტიურად მონაწილეობს კონფლიქტოლოგიის და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრის მუშაობაში. არის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

ამჟამად, თამარი სახელმწიფო გამოცდებს აბარებს და ამთავრებს ბაკალავრიატის სრულ კურსს. იგი ყოველწლიურად წარჩინებით აბარებს ყველა გამოცდას და მაღალი რეიტინგით გამოირჩევა.

თამარი ღირსეულად ატარებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სახელს. ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ახალგაზრდები.

**ირინე გოცირიძე,**
აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

თბილისის უნივერსიტეტი
საქართველოს რესპუბლიკა
№166. შაბათი. 4 ივლისი. 1998 წელი.

# მეცნიერები ოცდამეერთე საუკუნის საქართველოდან



## ალექსანდრე ბასილია

ახალმა საზოგადოებრივმა ურთიერთობებმა აუცილებელი გახადა მეცნიერული კვლევის ახლებური ასპექტებით წარმართვა. თბილისის უნივერსიტეტში მოსწავლე ეკონომისტთა მოწინავე სტუდენტთა ბირთვი დარგობრივ სამეცნიერო წრეებში მოღვაწეობს. მათ შორისაა მიკროეკონომიკის და მენეჯმენტის ფაკულტეტის მესამეკურსელი ალექსანდრე ბასილია. მისმა ნაშრომმა – „საწარმოთა რესტრუქტურიზაცია" – რესპუბლიკურ კონფერენციაში გაიმარჯვა.

თემის დამუშავების და რეკომენდაციების წარმოდგენისას ავტორმა გამოწვლილვით შეისწავლა და გააანალიზა მსოფლიო ბანკის მასალები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში გატარებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციის თაობაზე და სტატისტიკური მონაცემები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. გამოიკვეთა ორი მეთოდი: მიკრორესტრუქტურიზაციისა და სისტემური რესტრუქტურიზააციის. პირველი მეთოდის შემთხვევაში, როდესაც საწარმოთა პრობლემები მათ დონეზე ცალ-ცალკე წყდება, ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სტრუქტურულ ინვესტორთა გამონახვას. სისტემური რესტრუქტურიზაციის მეთოდის მიხედვით კი საწარმოში არსებული პრობლემები განპირობებულია ცენტრალური დაგეგმარების, ანუ დირექტიული ეკონომიკური სისტემით. ეს მეთოდი გულისხმობს გამართული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას, საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ლიბერალიზაციას და დეცენტრალიზაციას.

პირველი მეთოდი გამართლებულია მსხვილი საწარმოების მიმართ, მეორე კი – საშუალო და წვრილი საწარმოებისათვისაა მიზანშეწონილი.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაცია: ჩვენს პირობებში უფრო მიზანშეწონილია ჩეხეთსა და სლოვაკეთში ჩატარებული რესტრუქტურიზაციის მსგავსი მოდელი (იქ უპირატესობა მეორე მეთოდს მიენიჭა).

ალექსანდრე ბასილიას ნაშრომი სერიოზულ მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს, – ასეთია აზრი პროფესორ დავით ძნელაძისა, რომელიც მისი მეცნიერ – ხელმძღვანელია.



## გვანცა გედენიძე

გვანცა გედენიძე მე-9 კლასიდან თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში გადავიდა და გაძლიერებით სწავლობდა საბუნებისმეტყველო საგნებს. თითქოს მომავალში მისი ასპარეზიც აქეთ უნდა ყოფილიყო, მაგრამ, მოულოდნელად, გვანცამ ფილოლოგობა არჩია და ისიც კლასიკური. ფილოლოგიის განყოფილებაზე წელს ბაკალავრიატს ამთავრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

პირველი კურსიდანვე აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო წრეში. მისი პირველი მოხსენების თემა იყო „დიდი დედის (ნაყოფიერების უძველესი ქალღმერთის) აღმოსავლური კორელატები", შემდეგ საფუძვლიანი გამოკვლევები უძღვნა ციცერონს და მის ეპოქას. მოხსენებები – „ორატორული ხელოვნების თეორია და პრაქტიკა ციცერონის პროზაში" „ისტორიული სინამდვილის მხატვრული ასახვა ციცერონის ორატორულ პროზაში" საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ კონფერენციებზე საპატიო სიგელებით დაჯილდოვდა. და აი ნაშრომი – „პოლიტიკოსის მორალური სახე ციცერონის ორატორულ პროზასა და პირად წერილებში" პირველი ხარისხის დიპლომით აღინიშნა წლევანდელ რესპუბლიკურ დარგობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე.

გვანცა გედენიძის მეცნიერულ კვლევა-ძიებას მზრუნველობით და ყურადღებით ეკიდება სამეცნიერო წრის ხელმძღვანელი, დოცენტი რუსუდან ცანავა.



## ეკა გორდეზიანი

**ეკა გორდეზიანის მონათხრობიდან:** „ვსწავლობდი თბილისის პირველ საშუალო სკოლაში. პარალელურად დავამთავრე მესამე სამუსიკო სასწავლებელი, ოთხი წელი ვისწავლე ხელოვნების სკოლაში.

ბავშვობიდანვე დაინტერესებული ვიყავი ხელოვნებით, მიზიდავდა გრაფიკა და ქანდაკება. მათემატიკა კი ბავშვობის წლებში ჩემთვის რაიმე განსაკუთრებულს არ წარმოადგენდა. 1991 წელს ჩავირიცხე ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში, სამი წლის შემდეგ უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა. აქვე საშუალება მაქვს ჩემს მისწრაფებას ხორცი შევასხა – ხელოვნების ფაკულტეტზე ქანდაკების სპეციალობაზეც ვარ.

საშუალო სკოლის ბოლო კლასებში ძალიან გამიტაცა სტერეომეტრიამ, უფრო ჩავუღრმავდი მათემატიკურ საგნებს და საბოლოოდ გადავწყვიტე გამეგრძელებინა ჩემი მოღვაწეობა ამ მიმართულებით."

ეკას ბიოგრაფიაში ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო ორ წელიწადში მიღწეული შედეგები. იგი პროფესორ თამაზ ვაშაყმაძის ხელმძღვანელობით მუშაობს არალოკალური ამოცანების გამოკვლევაზე, რომლებიც უფრო და უფრო ფართოდ გვხვდებიან ახალი მათემატიკური მოდელების აგებისას.

მარმანდელი თემა წმინდა თეორიული იყო. წლევანდელი ნაშრომი კი საკმაოდ აქტუალური და საინტერესოა ეკოლოგიის თვალსაზრისით, რადგან დასმული და გამოკვლეული ამოცანა წარმოადგენს მდინარის დაჭუჭყიანების სრულიად ახალი მოდელის განზოგადებას. სწორედ ამ ნაშრომმა გაიმარჯვა რესპუბლიკურ კონფერენციაზე. კვლევა კი გრძელდება, მკვლევარი მოდელს უფრო და უფრო ართულებს, რაც, რა თქმა უნდა, მას აახლოებს რეალურ-ბუნებრივ მოდელთან.



## სოფიო დოლიძე

სოფიო დოლიძე სახელმწიფო უნივერსიტეტში თბილისის მე-6 საავტორო საშუალო სკოლიდან მოვიდა. ფსიქოლოგია აინტერესებდა და შესაბამის ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.

შარშანწინ მონაწილეობდა თბილისისა და საარლანდის უნივერსიტეტების ურთიერთთანამშრომლობის პროგრამაში და ერთი სასწავლო წელი გერმანიაში გაატარა. ზამთრის სემესტრში სწავლობდა კიოლნის, ხოლო ზაფხულის სემესტრში საარლანდის უნივერსიტეტებში, სადაც განსაკუთრებით დაინტერესდა კლინიკური და სოციალური ფსიქოლოგიით.

ქართველი სტუდენტის განათლებაზე ზრუნავდნენ გერმანელი პროფესორები ი. შნაიდერი, პ. ბეკერი, ბ. მერტენი, კიოლნის უნივერსიტეტში ესწრებოდა ფ. ფიშერის, გ. შელეს სემინარებს.

სოფიო სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციის მუდმივი მონაწილეა. წელს რესპუბლიკურ კონფერენციაზეც გაიმარჯვა და მისმა ნაშრომმა – „მიდა და გარე სტანდარტებზე ორიენტაცია, მისი კავშირი თვითშეფასებასთან სხვადასხვა ასაკში" – პირველი პრიზი დაიმსახურა.

თბილისის უნივერსიტეტის წარჩინებით კურსდამთავრებული მზადაა მომავალი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის.



## გიგა ზედანია

„ფენომენოლოგიის პრობლემა (ე. ჰუსერლი, მ. ჰაიდეგერი)" – ასეთი თემით წარსდგა სტუდენტთა რესპუბლიკურ კონფერენციაზე ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი გიგა ზედანია. ნაშრომი წარმოადგენს XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმართულების ანალიზს. ეს თემა აკადემიკოს გურამ თევზაძის ხელმძღვანელობით დაიწერა.

გიგამ ამ ზაფხულს ბაკალავრიატი დაამთავრა და მაგისტრატურაში აპირებს სწავლის გაგრძელებას. ქართველი სტუდენტი ერთი წლით მივლინებული იყო ნიუ-იორკის შტატში, ბარდ-კოლეჯში. იქ საფუძვლიანად გაეცნო ფილოსოფიისა და სოციოლოგიის თანამედროვე მიმართულებებს და ამ სფეროში ახალ გამოკვლევებს.

– ნამდვილად გამიმართლა, – ამბობს გიგა, – ჯერჯერობით ამის შესახებ საქართველოში ლიტერატურა არ მოიპოვება და აქ მასზე ხელი არ მიმიწვდებოდა. კონკრეტულად ვსწავლობდი პოსტსტრუქტურალიზმს.

როცა ვადარებთ ამერიკელი და ქართველი სტუდენტების მომზადების დონეს, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ პირველ კურსებზე მოსწავლეთა განათლებისა და ცოდნის შედარებისას ჩვენი უპირატესობა აშკარაა, მაგრამ ბაკალავრიატის შემდეგ სულ სხვა სურათია, ამერიკელები მაგისტრატურაში ზედმიწევნით პროფესიონალიზაციის გზით მიდიან, მათთვის ყველაფერი უპრობლემოა, დარგების მიხედვით კონკრეტულ ცოდნას იძენენ და უმაღლეს სპეციალობას ეუფლებიან. ჩვენთან მაგისტრატურა სიახლეა და, ალბათ, გარკვეული დროის შემდეგ არა მხოლოდ ფორმით, შინაარსითაც გავუტოლდებით უცხოელ კოლეგებს.

გიგა განსაკუთრებული პატივისცემით იხსენებს მის ამერიკელ პედაგოგებს, დოქტორებს კლარკ როუდვალდს და ემილ ენსელს.



## ირმა კარანაძე

რედაქციაში სასაუბროდ მოწვეულმა ირმა კარანაძემ გადმოგვცა წერილი, რომლის გამოქვეყნება გადავწყვიტეთ.

„ჩემს მიერ სამეცნიერო კონფერენციისათვის შერჩეული თემით – „იაკობ გოგებაშვილი მეზობელ ერებთან და საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებთან ურთიერთობის შესახებ" – შემთხვევით არ დავინტერესებულვარ. ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი უდიდესი ჰუმანისტური გრძნობა, საამაყო მომენტთან ერთად, სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენივე დიდი სატკივარიც გამხდარა ხოლმე. გასული საუკუნის უდიდესი ქართველების, ცნობილი სამოციანელების სულისკვეთებას და ეროვნული პოლიტიკის წამყვან მოტივს სწორედ ჰუმანისტური მსოფლმხედველობა განსაზღვრავდა. ამ პრობლემის ანალიზი და გადაჭრის გზების ძიება იმდენად სადღეისო და აქტუალურია, ძნელია ყურად არ იღოს ნებისმიერმა თაობამ.

სამოციანელთა შემოქმედებამ, განსაკუთრებით ი. გოგებაშვილის ნააზრევმა, მისმა პუბლიცისტურმა მემკვიდრეობამ ნათლად დამანახა დღევანდელი საქართველოს სატკივარის ფესვები. განა შეიძლება გულგრილი დაგტოვოს მისმა შეხედულებებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ? დიდი განმანათლებელი, რომელიც დადებით მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ურთიერთობას, იმასაც კარგად ხედავდა, როგორ გათელა მეფის რუსეთმა საქართველოს ღირსება, როგორ წაართვა დამოუკიდებლობა და კოლონიად აქცია იგი. დაეუკვირდეთ გულისტკივილით სავსე სიტყვებს: „საუბედუროდ რაც ჩვენმა ერმა მეთერთმეტე საუკუნის დამლევს სასურველ ნავთსადგურად მიიჩნია, დახავსებული ჭაობი აღმოჩნდა, რომელშიც ლამის დაიხრჩოს..." ან, „თუ შეგნებული აფხაზები გაიცნობენ თავის სამშობლოს წარსულს, ცხადად დარწმუნდებიან, რომ მხოლოდ იმ საუკუნეებში ტკბებოდნენ კეთილდღეობით და კაი სახელით, როცა შეკავშირებულნი იყვნენ საქართველოსთან..." მართლაც მოურჩენელი, დღესაც პირმოუკრავი ჭრილობაა.

ასე სალად, გაბედულად აზროვნებდა და საქმიანობდა დიდი მამულიშვილი. დღესაც მისი გაწყობით, მისეული პირდაპირობითაა საჭირო მოქმედება, რადგან „დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოეღოს ამ სათაკილო და დამამხობელ ჩვენს მდგომარეობას, დროა მოვიშოროთ ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ, დროა ყველამ

იხ. მე - 9 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეცნიერები ოცდამეერთე საუკუნის საქართველოდან

## ირმა კარანაძე

(მერვე გვერდიდან)

უკანონოდ დაბრიყვება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება...“ ძნელია, გულგრილად მოისმინო ეს მოწოდება. ბრძენი იაკობის ნათელმა, პროგრესულმა ნააზრევმა, დიდი პატრიოტის ლოზუნგმა – „ძლიერი სიყვარული სამშობლოსი ჰბადებს ძლიერს სიყვარულს კაცობრიობისას“ – ამაღლებინა კალამი. დღეს უზომოდ ბედნიერი ვარ. მადლობას მოვახსენებ მშობლიურ ფაკულტეტს, უნივერსიტეტს, ჩემს ხელმძღვანელს, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატს ნინო ჩადუნელს, საქართველოს პრეზიდენტს დაფასებისა და აღიარებისათვის.

წინ დიდი აღმოჩენების, კვლევის, გამარჯვებების მოგჯერ დაძარცხებების გზაა. ეს გზა ჩემმა თაობამ ღირსეულად უნდა გაიაროს. ჩვენი დიდი წინაპრების ოცნებებს ფრთები უნდა შეასხას“.


ნათია კვაჭაძე


თამარ ტალიაშვილი


ელენე ცარციძე


დავით ხატიძე

## ნათია კვაჭაძე

ინგლისური ენით ბავშვობიდანვე ვიყავი დაინტერესებული და, ვფიქრობ, პროფესიის არჩევაში არ შევმცდარვარ, – აღნიშნა კორესპონდენტთან საუბარში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მესამეკურსელმა ნათია კვაჭაძემ.

ბორჯომის პირველი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მან თბილისის უნივერსიტეტს მიაშურა, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ინგლისური ენის სპეციალობაზე. პირველი დღიდანვე ინტენსიურად დაიწყო მუშაობა საზღვარგარეთის ლიტერატურაში. თავიდანვე მისი მეცნიერ-ხელმძღვანელი პროფესორი თეიმურაზ კობახიძეა.

წლევანდელ საფაკულტეტო, საუნივერსიტეტო, რესპუბლიკურ კონფერენციებში წარმატებით გამოვიდა და გაიმარჯვა.

რესპუბლიკურ კონფერენციაზე წარადგინა ნაშრომი – „ჯეიმს ჯოისის „დუბლინელების“ მხატვრული სამყარო“.

– ეს წარმატება ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი და გასახარელი იყო, მან მომცა საკუთარი თავის რწმენა და მომავალში უკვე დაბეჯითებით გავყვები სამეცნიერო გზას, – ასე გაღაწყვიტა ნათია კვაჭაძემ.

## თამარ ტალიაშვილი

„თამარ ტალიაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სემინარებში. ნაყოფიერად მუშაობდა წარმოდგენილ თემათა განხილვისას. გამოამჟღავნა პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხების კვლევისა და ანალიზის დიდი უნარი. აქვს ევროპული სწავლების კურსის ყველა საკითხის ბრწყინვალე ცოდნა“, – ასეთი დახასიათება მისცა ორჰუსის (დანიის) უნივერსიტეტის პროფესორმა იან ოფვერსენმა ერთი წლით დანიაში გაგზავნილ თბილისის უნივერსიტეტის მეორეკურსელს.

ეს იყო 1997 წელს. მარშანვე თამარს სტუდენტთა რესპუბლიკურ დარგობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე წარდგენილი ნაშრომისათვის პრეზიდენტის ჯილდო მიენიჭა.

მესამე კურსზე ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია დაუნიშნეს.

ნაყოფიერი იყო თამარისათვის 1998 წელი. დოცენტ მანანა მესხიას ინიციატივით და ხელმძღვანელობით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციის ინგლისური ენის სექციაში წარადგინა ნაშრომი – „ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.“

პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხელმძღვანელობით კი დაამუშავა თემა – „სამრეწველო ნიმუშის ადგილი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებს შორის“. ამ ნაშრომმა მეორე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუტანა მომავალ იურისტს სტუდენტთა დარგობრივ სამეცნიერო კონფერენციაზე. გამარჯვებულს კვლავ მიენიჭა პრეზიდენტის ჯილდო და პირველი ხარისხის დიპლომი.

თამარი ჟურნალ „სამართლის“ სასურველი ავტორია. მის სტატიებში – „სასაქონლო ნიშანი, განსაკუთრებული უფლება სასაქონლო ნიშანზე“, „საპატენტო სამართლის პრობლემები“ – ქართული სამართლებრივი აზროვნების თვისობრივად ახალი დარგის – ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კვლევის შედეგებია წარმოჩენილი.

## ელენე ცარციძე

ოთხი წლის წინათ აღსდგა მედიცინის ფაკულტეტი უნივერსიტეტში. მისი დამკვიდრება ახალი შინაარსით საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების პროგრამით ხდება და დიდ საერთაშორისო გამოცდილებას, უპირატესად ამერიკული სკოლის რეკომენდაციებს ეფუძნება.

ფაკულტეტი, რომელსაც საუკეთესო კლინიკური ბაზები აქვს, ამთავითვე ნაყოფიერ საქმიანობას შეუდგა. ამის ერთი ნიშანია თუნდაც ის, რომ უკვე სამი წელია სტუდენტთა საუნივერსიტეტო კონფერენციებზე მომავალ მედიკოსთა მოხსენებებმა სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო.

და აი, წელს რესპუბლიკურ კონფერენციაში გამარჯვებულთა შორის ერთი მათგანიც არის – მეხუთეკურსელი ელენე ცარციძე. მას ნაშრომისათვის – „სარკოიდოზის კლინიკური ფორმა“ პირველი პრიზი გადაეცა.

სარკოიდოზი სისტემური დაავადებაა, – აღნიშნა კორესპონდენტთან საუბარში ელენე ცარციძემ, – ყურადსაღები ისაა, რომ იგი ძალზე იშვიათად გვხვდება. ამიტომ ზოგად თერაპიულ კლინიკაში კონკრეტული შემთხვევის დიაგნოსტირება გარკვეულ სირთულესთანაა დაკავშირებული. ჩვენს შემთხვევაში დიფერენციალური დიაგნოზი კეთდებოდა სარკოიდოზს, ტუბერკულოზს და რევმატიზმს შორის. ეს იმის გამო მოხდა, რომ ამ ავადმყოფობას ტუბერკულოზისა და რევმატიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს და დიდი დაკვირვება და გამოკვლევაა საჭირო მის „აღმოსაჩენად“. კლინიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევების საფუძველზე დაისვა დიაგნოზი: სარკოიდოზი – პირველი სტადია, გვერდშიდა ლიმფური კვანძების ფორმა. მომავალი ექიმი კვლევას აწარმოებდა და თემაც მოამზადა ექიმ მანანა დალაქიშვილის ხელმძღვანელობით.

ის, რაც ელენე ცარციძემ შეძლო, მხოლოდ ერთი ნაბიჯია ექიმის პრაქტიკაში. რამდენი ასეთი ნაბიჯის გადადგმა მოუწევს მას არჩეული პროფესიის დასაუფლებლად. თვითონ ელენე ოცნებობს სრულყოფილი კარდიოლოგი ან თერაპევტი გახდეს. წარმატება ვუსურვოთ მას მკურნალის ძნელ გზაზე.

## დავით ხატიძე

ფიზიკით ბავშობიდანვე დაინტერესებული დავით ხატიძე მე-8 კლასში იყო, როცა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში პირველი ადგილი ხვდა წილად. იგი თბილისის უნივერსიტეტთან არსებულ თ. გელიას სახელობის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატში სწავლობდა და საბუნებისმეტყველო დარგების ღრმად შესწავლისაკენ მიუწევდა გული. დავითი პატივისცემით იგონებს სკოლის პედაგოგებს გრიგოლ წულაიას, გიული გელენიძეს, გელა კვირიკაშვილს, რომლებმაც ნიჭიერი ბავშვის მომავალი თავიდანვე განსაზღვრეს.

რესპუბლიკურ ოლიმპიადებს სოროსის ფონდის ოლიმპიადებში მონაწილეობა დაემატა, ხოლო შარშან სადბერში (კანადა) გამართულ მოსწავლე ფიზიკოსთა 28-ე საერთაშორისო ფორუმში მნიშვნელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა.

დავითი ამჟამად ფიზიკის ფაკულტეტის მე-2 კურსზეა. პირველკურსელმა კი მოამზადა ნაშრომი – „ელექტრონის მოძრაობა სხვადასხვა სახის სიმეტრიის ველში და შერჩევის წესები მათთვის“.

ხელმძღვანელებმა პროფესორმა თამაზ ბუთხუზმა და დოცენტმა თამარ ჭელიძემ ნაშრომს წარმატება უწინასწარმეტყველეს და არც შემცდარან. უნივერსიტეტის ახალბედა სტუდენტმა გაიმარჯვა ფიზიკოსთა შორის და პირველი ხარისხის დიპლომი მიენიჭა.

დავით ხატიძე სოროსის ფონდის სტიპენდიატია და ნახევარგამტართა ფიზიკაში აპირებს მუშაობას.

**რედაქტორის მინაწერი:** დღევანდელ ნომერში მკითხველებს გავაცანით თბილისის უნივერსიტეტის 13 წარჩინებული და გამორჩეული სტუდენტი.

საქართველოს განათლების უპირველეს კერას ყველა ფაკულტეტზე მრავლად ჰყავს სამაგალითო და ბეჯითი ახალგაზრდა. დიახ. ისინი მომავალ საუკუნეში ახლის დამამკვიდრებელი მეცნიერები და სწავლულები იქნებიან.

ნიშანდობლივია მათი ბიოგრაფიის ერთი მხარე — საუკეთესოდ ფლობენ უცხო ენებს, დედნებში ეცნობიან მსოფლიო მეცნიერული აზრის მიღწევებს, აქტიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთის დარგობრივ ჟურნალებსა და კრებულებში.

ასეთი ასპარეზი ახალი, თავისუფალი საქართველოს მონაპოვარია.

გზა დავულოცოთ ჩვენს ახალბედა მეცნიერებს მომავალ საუკუნეში.

თბილისის უნივერსიტეტი

№166. შაბათი, 4 ივლისი, 1998 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საზაფხულო პრაქტიკა

# მესამე ათასწლეულს — ეკოლოგიურად განსწავლული თაობა

## „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფონდის თანადგომით

(მე-5 გვერდიდან)

საზაფხულო პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებენ ისტორიის ფაკულტეტის ეთნოლოგიის სპეციალობის II და III კურსის სტუდენტები. საზაფხულო პრაქტიკა „ეთნოგრაფიული ველი“ მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ულამაზესი კუთხის, მთიულეთის ტერიტორიას, სადაც კონკრეტულ არეალში უშუალოდ ცოცხალ ყოფაზე დაკვირვების გზით, სტუდენტები შეისწავლიან ტრადიციულ სამეურნეო ფორმებს, სოციალური და სულიერი კულტურის საკითხებს. ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულებას ბუნებრივ რესურსებთან, უპირველესად, ტყის საფართან, მისი გამოყენებისა და მოხმარების ფორმებს (სამშენებლოდ, საწვავად, საკვებად სამკურნალოდ და ა.შ.), ზვავსაწინააღმდეგო, ნიაღვარსაწინააღმდეგო ღონისძიებებს, წყლის რესურსებს. ამავე დროს შეისწავლება ეკოლოგიური თანაფარდობის რღვევის პროცესები, მისი გავლენა საზოგადოების სამეურნეო, ეკონომიკურ პოტენციალზე და მისგან წარმოშობილ შედეგებზე. აღსანიშნავია, რომ გარემოსა და საზოგადოების ურთიერთობის რღვევის ძველი პროცესები თანადროულდება და უფრო მწვავედ იჩენს თავს, რაც საშუალებას გვაძლევს თვალნათლივ ავიქვათ ის საშიშროება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ბუნებისადმი გამომძალველობითი დამოკიდებულების გააქტიურებამ და ადგილობრივ მცხოვრებთა საუკუნეობრივ გამოცდილებას დაფუძნებული ჩვევების უგულებელყოფამ. დღევანდელი სურათი ასეთ შედეგს გვაძლევს: ტყის საფარის განადგურებას მოყვება ეროზია, მეწყერი, ზვავი, შედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსპობა და დინამიური პროცესები საზოგადოების სოციალურ სფეროში: ეკონომიკის გაუარესება, სარსებო არის შემცირება, მიგრაციული პროცესები მთიდან ბარში, რომელიც ნაკლებშესამჩნევია დღეს აფხაზეთ-ოსეთიდან ლტოლვილთა ფონზე. მთის დაცარიელება კი იწვევს დისბალანსს საქალაქო და სასოფლო ცენტრების განვითარებაში, რომლის შედეგ მთაში რჩება „ნასოფლარები“, ბარში კი მატულობს უფუნქციოდ დარჩენილი მშრომელი მოსახლეობისგან ბაზრის წვრილმოვაჭრე ფენა. ექსპედიციის მიზანია გამოავლინოს რეგიონში მიმდინარე ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის ბუნებრივი და ხელოვნური რღვევის სურათი და ფოტოხელოვნების გამოყენებით დევიზით „SOS – ადამიანებო შეჩერდით“, შექმნას საზოგადოებრივი აზრი თანამედროვეობაში მისი შედეგების გათვალისწინებითა და დაცვით, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისათვის.

საზაფხულო პრაქტიკაში მონაწილეობა სტუდენტ ახალგაზრდობას დააახლოვებს შესასწავლი რეგიონის მოსახლეობას, რომელმაც ბუნების ძალებთან ჭიდილსა და სიყვარულში ჩამოაყალიბა თავისი ეროვნული ხასიათი და ტრადიციათა უნიკალური სისტემა, დაეხმარება შეისწავლოს ბუნებისა და ადამიანის ჰარმონიული თანაარსებობის პრინციპები, გაეცნოს ბუნების დაცვის პრაქტიკულ ჩვევებს. მთიულეთ-ფშავ-ხევსურეთის ბუნებრივი პეიზაჟები, უნიკალური მატერიალური კულტურის ძეგლები განუვითარებს სილამაზეს და ადამიანის პატივისცემის გრძნობას და ჯანსაღ სურვილს, ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნას.

თანამედროვე საზოგადოების ოცნებას – XXI საუკუნეს მოემსახურონ ეკოლოგიურად განსწავლილი პიროვნებები, საფუძველს უყრის საუნივერსიტეტო სწავლების ახალი მიმართულება, რომლის განხორციელებაშიც გაწეული უანგარო თანადგომისათვის, ეთნოეკოლოგიური საზაფხულო პრაქტიკის მონაწილე სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებელთა მადლიერება უსაზღვროა ფონდ – „ღია საზოგადოება საქართველოსადმი“.

**თამილა ცაგარეიშვილი,**
**ექსპედიციის ხელმძღვანელი, დოცენტი.**

## წინაპრები

# „დროგასწრებული მოაზროვნე“

„ერთგული, ანგარიშიანი მწყემსი ქართველობის სიკეთისა“ – ასე აფასებს დიდი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე თავის მოღვაწეობას სტატიაში „ჩემ პოლიტიკაზე“, რომელიც გაზეთ „იმერეთის“ „ლეიბპუბლიცისტთან“ გამართულ პოლემიკას წარმოადგენს. მისი პოლიტიკა კი, სადაც არ უნდა ყოფილიყო და სადაც არ უნდა ელვაწა – საქართველოში, რუსეთსა თუ საზღვარგარეთ, იყო – „შეურიგებელი მტრობა ყოველი მიმართულებისა, რომელიც საქართველოს ქონებას სხვის, უცხოეთის მიზანს თუ საქმეს წირავს“ („ჩემ პოლიტიკაზე“, 1913 წ.).

ეს წერილი, რომელშიც სამოცდაათი წლის ნიკოლაძე თვალს ადევნებს თავის მოღვაწეობას, ფრიად გამორჩეულია, მრავალმხრივ საყურადღებო პუბლიცისტური აღიარებაა ავტორისა, რაც პოლემიკის შედეგად წარმოიშვა. გვასწავლის, თუ როგორ შეიძლება თავი იმართლო ისე, რომ არავინ შეურაცხყო, – აღნიშნა ჟურნალისტიკის ისტორიის კათედრის გამგემ დალი ჩიკვილაძემ, საღამოზე, რომელიც ორ უმნიშვნელოვანეს თარიღს მიეძღვნა – ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებიდან 70 და უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს.

ამ შეხვედრაზე მოეწყო ნიკო ნიკოლაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულის წარდგინება.

კრებული, – როგორც წინასიტყვაობაში მისი შემდგენელ-რედაქტორი დალი ჩიკვილაძე წერს, – „დიდი ფიქრისა და ძალისხმევის შედეგად შეიქმნა. მასში მეტნაკლები სისრულითაა შეტანილი იმ მეცნიერთა შრომები, ვინც ნიკო ნიკოლაძის შემოქმედებას სიყვარულითა და გულმოდგინეობით იკვლევდა. ამასთან მკითხველი დიდ ნიკოს ავტორთა შორის აღმოაჩენს“.

სწორედ ამ კრებულშია დაბეჭდილი ზემოაღნიშნული სტატია „ჩემ პოლიტიკაზე“.

წიგნი ფართო საზოგადოებისთვისაა განკუთვნილი, სადაც დაინტერესებული მკითხველი ბევრს შეიტყობს ევროპულად განათლებამიღებულ მოღვაწეზე, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქართული ცხოვრების გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის ბრძოლა წამოიწყო და მისი კალამი თანაბარი სიძლიერით შეეხო ყველა საკითხს – თეატრს, ბანკს, ერობას, ეკონომიკას, კრედიტს, ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებას...

წიგნში გამოქვეყნებული მასალები წარმოაჩენენ დიდი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივი და ხანგრძლივი მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტს: ნიკო ნიკოლაძე, როგორც ესთეტიკოსი, ფილოსოფოსი – „ნიკო ნიკოლაძე და „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპები“ – ვახტანგ ვახანია; „ნიკო ნიკოლაძის ფილოსოფიური და ესთეტიკური შეხედულებები“ – ლია წურწუმია, ნიკო ნიკოლაძე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ დაუცხრომელი ქომაგი“ – ლევან მენაბდე; ნიკო ნიკოლაძე, როგორც სამართალმცოდნე, „ნიკო ნიკოლაძე დანაშაულის მიზეზების შესახებ“ – ვალერიან მეტრეველი; ნიკო ნიკოლაძე, როგორც „ახალი ახალგაზრდობის ფალავანი“ – დავით გამეზარდაშვილი; „ნიკო ნიკოლაძე და ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხები“ – გრიგოლ თოდუა; „ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე“ – დალი ჩიკვილაძე; „ჩვენი მარადიული თანამედროვე“ – ზაზა აბზიანიძე; „ნიკო ნიკოლაძე და ქალაქი ფოთი“ – აკაკი ბაქრაძე; „ნიკო ნიკოლაძე აჭარისა და ბათუმის შესახებ“ – ვარლამ დონაძე.

ეს საიუბილეო კრებული ფოთის მერიის ხელშეწყობით გამოიცა. რაც შემთხვევითი არაა, ნ. ნიკოლაძე ხომ წლების განმავლობაში იყო დაკავშირებული ამ ქალაქთან, როგორც მერი და მისი ძალისხმევით იქცა მეთევზეთა ქალაქი ევროპული ტიპის ნავსადგურად. თუმცა, როგორც საღამოზე აღინიშნა, არა მხოლოდ ფოთს დასდო წვლილი, მის სახელსვე უკავშირდება ტყიბულის ქვანახშირისა და ჭიათურის მანგანუმის ათვისება; აქ საბადოებთან რკინიგზის ხაზის გაყვანა... მან შემოიტანა საქართველოში პირველად რკინა-ბეტონი. პირველი ველოსიპედი... მის სახელს უკავშირდება პირველი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, მან შეარჩია ის ადგილი, სადაც დღეს ენგურჰესია... იგი იყო 1918-21 წ.წ. დემოკრატიული საქართველოს I რესპუბლიკის პარლამენტის წევრი...

თუმცა, არამხოლოდ საქართველოს წინაშეა დიდი მისი დამსახურებანი. ნიკოლაძის სახელთანაა დაკავშირებული პარიზის ელექტრონიფიკაცია და ლამპიონებით გაჩაღება. 32 წლის ასაკში წერს იგი ფრანგული პრესისათვის წიგნს, რომელიც პარიზელთათვის, შეიძლება ითქვას, სახელმძღვანელოდ გადაიქცა ათწლეულების მანძილზე, – აღნიშნა ხსოვნის საღამოზე ჟურნალისტმა პაატა ნაცვლიშვილმა – ეს იმ დროს, როდესაც დღეს ქართველი ახალგაზრდობა ევროპულ-ამერიკული ჟურნალისტიკისაკენ არის მიბრუნებული და ნაკლებად იხედება იმ დიდ საგანძურში, ნიკოლაძის შემოქმედება რომ ჰქვია...

პროფესორ დ. გამეზარდაშვილის სიცოცხლეში, რომელმაც დიდი ძალისხმევა მოახმარა ნიკოლაძის სახელის სააშკარაოზე გამოტანას, ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა მხოლოდ 7 ტომის გამოცემა მოესწრო ნავარაუდევი 30 ტომიდან.

ამ საიუბილეო კრებულის შემდგენელ-რედაქტორს მიზნად ჰქონდა ნიკოლაძის მემკვიდრეობის გამოცემაზე ფიქრის გასაგრძელებლად, მისი დიდი ნააზრევის შესწავლის პროცესის უწყვეტობა. ნიკოლაძის მრავალწახნაგოვანი პუბლიცისტიკა კი მრავალმხრივ შესწავლას მოითხოვს, იმიტომ, რომ მის კალმით ნაღვაწში ვპოულობთ პასუხს არამხოლოდ თანამედროვეობის ან დღევანდელობის სასიცოცხლო კითხვებზე, მისი პუბლიცისტიკა მუდამ აქტუალური იქნება, რადგან, თუ წიგნის რედაქტორს, დალი ჩიკვილაძეს დაევესხებით, ნიკო ნიკოლაძე ხომ დროგასწრებული მოაზროვნე იყო და თვითონ ქმნიდა დროს...

**დალი ოსეფაშვილი.**

## წიგნის სამყაროში

# სახელმძღვანელო, რომელსაც დიდი ხანია ველოდით

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა პროფესორ რევაზ ჟორდანიას სახელმძღვანელო – „ხერხემლიანთა ზოოლოგია“.

როგორია მისი წინაისტორია?

ქართველმა სტუდენტობამ 30-იან წლებში მიიღო ღვაწლმოსილი ზოოლოგის ივანე ჩხიკვიშვილის მიერ კაშკაროვისა და სტანჩინსკის რუსული სახელმძღვანელოს თარგმანი. ორმოცდაათიან წლებში დაიბეჭდა პროფესორ არჩილ ჯანაშვილის ორიგინალური სახელმძღვანელო, რომელიც ოგნიოვის წიგნს ემყარებოდა, მას თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ სტუდენტები, ამდენად დიდია მისი წვლილი ქართველი ზოოლოგების დასპეციალებაში. ეს სახელმძღვანელო უკვე ბიბლიოგრაფიული იშვიათობა გახდა, დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობაც: საგნისადმი მიდგომა დღეს სხვაგვარია, მომაბეზრებელი და ჭარბი ანატომიურ-მორფოლოგიური აღწერილობა და შესაბამისად მისი ლათინური ტერმინოლოგია (რასაც სტუდენტობა ძნელად ითვისებდა და მალევე ივიწყებდა) იმდენად მნიშვნელოვნად აღარ არის მიჩნეული; სამაგიეროდ, გაახლდა ფილოგენეტიკური და სისტემატიკური ნაწილები. და, აი, ხელთა გვაქვს ახალი, თანამედროვე დონეზე შესრულებული სახელმძღვანელო, დაწერილი პროფესორ რევაზ ჟორდანიას მიერ, რომელიც ეყრდნობა მეცნიერების უახლეს მონაცემებს, მასში ყოველი თავი ბევრი ახლისა და საინტერესოს შემცველია. მასში ლაკონურად, მაგრამ ყოვლისმომცველადაა გადმოცემული (აქ ნათლად ჩანს ის დიდი გამოცდილება, რაც ავტორმა მიიღო ქართულ ენციკლოპედიაზე მუშაობისას, რომელშიც მისი 300-მდე სტატიაა დაბეჭდილი). დაზუსტებულია მრავალი ქართული ზოოლოგიური ტერმინი, ისტორიაში პირველად, ხერხემლიან ცხოველთა მთელ კლასს (ამფიბიები), დაერქვა ახალი ქართული კრებითი სახელი (მყვარები), მრავალ ცხოველს ახალი, მეტად მოხდენილი სახელი შეერქვა (პრინციპულად, რუსული ტერმინების კალკს ავტორი ლათინური ტერმინების ამოსავალს ამჯობინებს!). შეიძლება თამამად ითქვას, რომ წიგნში გათვალისწინებულია ყველა თეორია, ყველგვარი დასაბუთებული სიახლე. სისტემატიკურ ნაწილში, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოდ გვეჩვენება, აღნიშნულია მსოფლიო ფაუნის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენლები, ხაზი აქვს გასმული საერთაშორისო და საქართველოს „წითელ წიგნებში“ შეტანილ ფორმებს, საქართველოს ფაუნის წარმომადგენლებს. ცალკეულ თავებს შორის გადასვლები ლოგიკური და დასაბუთებულია. კარგია, რომ ნაშრომის ბოლოს გეოლოგიური ქრონოლოგიაა დასტამბული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ უკანასკნელ წლებში სპეციალური ლიტერატურის შოვნა მეტად გაძნელდა, მაგრამ ავტორის სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან მაინც მოახერხა 60-მდე ლიტერატურული წყაროს გამოყენება (10 ქართული, 25 რუსული და 24 – ინგლისური, ფრანგული და გერმანული), რაც არა მარტო საკმარისია, არამედ ჭარბიც კი...




შესრულებულია მეტად დიდი, შრომატევადი, მაგრამ უაღრესად საჭირო საქმე, მადლიანი სამუშაო, რომელიც ასე საჭირო იყო ქართველი სტუდენტობისათვის, ჩვენი ცხოველთა სამყაროთი დაინტერესებული ყველა პირისათვის.

სახელმძღვანელო კარგადაა გაფორმებული, ის იმ წიგნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ხელში დაჭერა სასიამოვნოა, და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობას (დირექტორი ნიკოლოზ ბერძენიშვილი), რომელმაც, სხვათა შორის, ამას წინათ ამავე ავტორის მოხდენილად გამოცემული და ფრიად საჭირო პირველი სახელმძღვანელო გამოსცა ორნითოლოგიაში („ზოგადი ორნითოლოგია“); ცხადია, რომ დიდი მადლობა უნდა შევწიროთ იუნესკოს, რომელიც ფინანსურად დაეხმარა წიგნის გამოცემას!

დიდ, სასარგებლო და საჭირო საქმეს, სათანადოდ შეფასებაც სჭირდება, რაც შრომისმოყვარე ავტორს ახალ ბიძგს მისცემს. ჩვენი აზრით, პროფესორ რევაზ ჟორდანიას შარშან გამოცემული ორი სახელმძღვანელო – „ხერხემლიანთა ზოოლოგია“ და „ზოგადი ორნითოლოგია“ ღირსია საქართველოს სახელმწიფო პრემიისა!

**ირაკლი ელიავა,**
**საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი;**

**იასონ ბადრიძე,**
**არასამთავრობო ორგანიზაცია „ნოეს კიდობანის“ პრეზიდენტი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.**

მინაწერი: ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა პროფესორ რევაზ ჟორდანიას სახელმძღვანელოს – „ხერხემლიანთა ზოოლოგია“ განხილვა. წიგნმა სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა, იგი მოწონებული და რეკომენდებულია საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ძირითად სახელმძღვანელოდ.

**სარედაქციო კოლეგია:**
ნანული ბარათაშვილი, რისმაგ გორდეზიანი, პარმენ მარგველაშვილი, გიორგი შარაშიძე, გივი შეყილაძე (რედაქტორი), თეიმურაზ ხუროძე, მანანა ჯურხაძე.

## დააკავეს თურქეთის მოქალაქე

დიდუბის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თურქეთის მოქალაქე, 1946 წელს დაბადებული მეჰმედ ნეჯდეთ თოფალოღლუ, რომელიც 1997 წლიდან ინტერპოლის თურქეთის ბიუროს მიერ იძებნებოდა. ვეა-ს კორესპონდენტს საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო სამართლებრივი განყოფილების უფროსმა ერიკ სვანიძემ უთხრა, რომ მეჰმედ თოფალოღლუ მუშაობდა თურქეთის სახელმწიფო ელექტროკომპანიაში, სადაც მიითვისა 13 მლრდ თურქული ლირა.

სვანიძის თქმით, მასალები დაკავებულის შესახებ პროკურატურას გადაეგზავნა და თურქეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე თოფალოღლუ გადაეცემა თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებს. მისივე ინფორმაციით, საქართველოს პროკურატურამ შეტყობინება გაუგზავნა საქართველოში თურქეთის საელჩოს და ანკარაში შესაბამის ორგანოებს. თუ თურქეთიდან 45 დღის განმავლობაში თოფალოღლუზე არ იქნება გამოგზავნილი მასალები, საქართველოს პროკურატურა იძულებული იქნება გაათავისუფლოს დაკავებული.

პროკურატურის მონაცემებით, შარშან საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა დააკავეს უცხოეთის 6 მოქალაქე.

## მკვლელობა გაუპატიურების შემდეგ

ბათუმში დააკავეს ტურგენევის ქუჩაზე მცხოვრები 18 წლის ირაკლი მახარაძე და მელიქიშვილის ქუჩაზე მცხოვრები 16 წლის გივი ძიმისტარაშვილი, რომლებმაც ჯერჯერობით დაუდგენელ ორ პიროვნებასთან ერთად 26 აპრილს გააუპატიურეს და ცემით მოკლეს სასტუმრო „მესხეთში" მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილი 38 წლის მ. ბ.

გამოძიებას აწარმოებს ბათუმის პროკურატურა.

## საიდან ამდენი „კაპარჭინაო"?

იმერეთის სამხარეო შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების და ქუთაისის სამმართველოს თანამშრომლებმა ამხილეს ბაღდათის რაიონის სოფელ ფერსათში მცხოვრები ომარ შახელაძე და სამტრედიელი რომან ორმოცაძე. მათ, ქალაქ ასტრახანიდან, საბაჟოს გვერდის ავლით, კონტრაბანდული გზით შემოიტანეს 12600 კილოგრამი თევზი „კაპარჭინა" და ჰყიდდნენ სამტრედიაში, აგრარული ბაზრის სასურსათო მაღაზიაში.

ორივე გამვებულია ხელწერილით, საქმეს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს იმერეთის რეგიონული სამმართველო იკვლევს.

## დაუკლია? გაუტყავებია?

კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის მცხეთა-მთიანეთის შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველოს განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს მცხეთის რაიონის მთავარი ვეტექიმი ვასილ ხიზანიშვილი. იგი 1998 წლის იანვრიდან მაისამდე, მოსახლეობისაგან ხორცის ვარგისიანობაზე ცნობების გაცემისათვის იღებდა ფულს.

## 38 გრამი ქორფა მარიხუანა

კახეთის შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების და დედოფლისწყაროს რაიონის პოლიციის შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა, განხორციელებული ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაციისათვის დაკავებულ მალხაზ ქორფაშვილს, სახლში ალმოუჩინეს 38 გრამი მარიხუანა.

## მძღოლი დაიღუპა

2 ივლისს, მცხეთა-ყაზბეგილარსის საავტომობილო გზაზე „გაზ-24", რომელსაც თბილისელი ვახტანგ ჭამელაშვილი მართავდა, ხევში გადავარდა. მძღოლი საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა. მძიმედ დაშავდა მგზავრი — ჯულიეტა დავითაშვილი.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და „ვეამ".

## ზაფხულია, ცხელა, ცხელა...





გიორგი კრავეიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

### კონტაქტები

# გამოფენები — ნიუ-იორკში, ჩიკაგოში, ბალტიმორში

როგორც ცნობილია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობის, თანამედროვე კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობის პროპაგანდის, მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში მისი როლისა და ადგილის წარმოჩენის მიზნით, მიღებულ იქნა აშშ-ს ხელოვნებისა და გამოფენების საერთაშორისო ფონდის წინადადება 1998-1999 წლებში აშშ-ში საქართველოსადმი მიძღვნილი გამოფენებისა და სამეცნიერო-კულტურულ ღონისძიებათა გამართვის შესახებ.

გამოფენები წარმოაჩენენ საქართველოს როგორც უძველეს, ასევე თანამედროვე ხელოვნებას. ამასთან ერთად, აშშ-ში გაიმართება სამეცნიერო კონფერენციები, ლექციები საქართველოს შესახებ, კონცერტები, ნაჩვენები იქნება ქართული ფილმები, რაც ხელს შეუწყობს კულტურულ-საგანმანათლებლო კონტაქტების დამყარებას, ქართული კულტურის პოპულარიზაციას, საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას, ბიზნესისა და ტურიზმის სფეროებში ახალი პროექტების განხორციელებას, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების შემდგომ განვითარებას.

გამოფენების მოწყობა ნავარაუდევია ნიუ-იორკის, ჩიკაგოს, ბალტიმორის ცნობილ მუზეუმებში.

აღნიშნული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად შეიქმნა და მუშაობს საორგანიზაციო კომისია და აღმასრულებელი კომიტეტი.

ამ დღეებში საქართველოს კულტურის სამინისტროში გაიმართა საორგანიზაციო კომისიის მორიგი სხდომა, რომელსაც უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საერთაშორისო ექსპერტები, ქართული კულტურის მოღვაწეები.

სხდომაზე განიხილეს დღეების მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები.

**კულტურის სამინისტროს პრესცენტრი.**

„ლითონის" აქციონერთა საყურადღებოდ

მიმდინარე წლის 21 ივლისს დღის 12 საათზე შედგება ს ს „ლითონის" აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

1. წლიური ანგარიში
2. საორგანიზაციო საკითხები

მისამართი: ქ. ქუთაისი, სულხან-საბას ქ. 9 ტელეფონი 5-48-55; 5-23-91; 6-20-92

ს ს დირექტორატი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელმა შპს „პრესამ" ცალკე წიგნად გამოსცა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული კანონები:

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი"

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ"

დაინტერესებულ გამსაღებელ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს წიგნის დიდი რაოდენობით ან უშუალოდ გამომცემლისგან შესყიდვის შემთხვევაში გაეწევათ შეღავათი.

მისამართი: მ. კოსტავას 14, მე-4 სართული, ტელ: 93-26-99.

### თაობა

# აქ გამარჯვებულს რეიკიავიკი ელოდება

ლალი ჭელიძე ჯერ კიდევ შარშან, მოსწავლეთა 51-ე სასწავლო-სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციის ფიზიკის სექციაზე საინჟინრო გრაფიკისა და არქიტექტურის კაბინეტში საინტერესო მოხსენებით წარსდგა და მაშინვე მიიპყრო ყურადღება. წლეულს, ამ კონფერენციის ფიზიკის სექციაზე მის მოხსენებაზე „რხევითი პროცესების შესწავლა კომპლექსური ცვლადების გამოყენებით" კვლავ შეჩერდა მეცნიერთა ყურადღება.

ლალი თენგიზ გეგელიას სახ. რესპუბლიკურ ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის XI კლასის მოსწავლეა. მან საფუძვლიანად შეისწავლა როგორც მექანიკური, ასევე ელექტრომაგნიტური რხევითი პროცესები კომპლექსური ცვლადების გამოყენებით: ნაშრომში თვალსაჩინოდ აღწერა რეზონანსის მოვლენა, გადმოსცა ელექტრონულ რადიოტექნიკურ მოწყობილობებში რეზონანსის პროცესები რხევით პროცესებზე და ამ პროცესების მართვაში მთვარის მიზიდულობის ძალის გავლენა. ნაშრომში განხილული მაგალითებით დადასტურდა რხევითი პროცესების შემსწავლელი განტოლებების ამოხსნის გამარტივების აუცილებლობა.

ყველა კონკურსში, ოლიმპიადაში, თუ სამეცნიერო კონფერენციაში ამ მოსწავლის სიბეჯითე, დასახული მიზნისაკენ სწრაფვა მუდამ ჯილდოთი აღინიშნება. ფიზიკის რესპუბლიკურ თუ საქალაქო კონფერენციებსა თუ კონკურსებში აქტიური მონაწილეობისა და მიღწეული წარმატებებისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს, სოროსის ფონდის, საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის არაერთი ჯილდო აქვს მიღებული.

არაერთხელ იყო მიწვეული „ფონდი ღია საზოგადოება — საქართველოს" მიერ სოროსის ოლიმპიადებში. ამიტომაც ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის კათედრის გამგემ თენგიზ ბიბილაშვილმა მას, როგორც პერსპექტიულ ნორჩ ფიზიკოსს, საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიის მისაღებად გაუწია რეკომენდაცია. მეცნიერი უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ადევნებს თვალყურს ლალი ჭელიძის წარმატებებს. ამ საგანში VIII-IX-X კლასებში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. აკვირდება იმ მეცადინეობებს, რომელიც საქართველოს ნორჩ ფიზიკოსთა ნაკრებ გუნდში სავარაუდო მონაწილეთა წარმოსაჩენად ტარდება ხოლმე. ჯერ კიდევ მერვეკლასელმა განათლების სამინისტროსა და სოროსის ფონდის მიერ ჩატარებულ ოლიმპიადაში გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში მისი პრეზიდენტის ალბერტ თავხელიძის თანდასწრებით განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ აღნიშნა კიდეც ლალი ჭელიძის წარმატება და დიპლომი გადასცა.

ფიზიკის სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში მონაწილეობა ბევრ სიკეთეს აზიარებს ახალგაზრდას. მსოფლიოში ბევრი საყურადღებო ღონისძიება ტარდება, რომელთა მიზანია ახალგაზრდას დაანახოს საკუთარი შესაძლებლობები, შექმნას შესაფერისი პირობები მათ გამოსავლენად. ერთ-ერთი ასეთი ასპარეზია მოსწავლეთა ოლიმპიადები მეცნიერების სხვადასხვა დარგში. ამ გოგონამ ფიზიკა-მათემატიკაში გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი უნარი. მის წარმატებაში უპირველესი როლი ოჯახმა ითამაშა. დედა — ზაირა ყოლბაია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია. მამა — ზაურ ჭელიძე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პედაგოგია. სკოლაში კი ფიზიკით მისი დაინტერესება ამ საგნის პედაგოგის გიული გულნიძის დამსახურებაა.

ჭელიძეებს სამი შვილი ჰყავთ — ორი გოგონა და ერთი ვაჟი. სამივენი ხუთებზე სწავლობენ. ეკონომიკურად ოჯახი არც ისე დალხინებულია. 5 წელიწადია, ქალაქიდან ბავშვები დასასვენებლად ვერ გაუყვანიათ. გალში ჰყავდათ ბებია და მახლობლები, ახლა ისინიც თბილისში მათ ჭერს არიან შეხიზნულები...

...ახლა, ივლისში, საქართველოდან 5 მოსწავლე (ლალი ჭელიძე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიდან, ალექსანდრე აშაძე, ანდრეი ბონდარენკო, გრიგოლ ოვანესიანი და ალექსანდრე ჯაოშვილი — ყველანი თბილისის 42-ე სკოლიდან) ისლანდიაში ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება. ხუთივენი გამუდმებით ემზადებიან. მათ ამზადებენ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი თენგიზ ბიბილაშვილი, ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი ნიკო ჩხაიძე და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან კუკური თურქაძე. დღეში 6-8 საათი ეთმობა მათთვის განკუთვნილ ლაბორატორიულ სამუშაოებს...

ფიზიკის ამოცანების ამოხსნა ლალისთვის სიამოვნებაა. მან კარგად იცის ფიზიკის საერთაშორისო მოსწავლეთა ოლიმპიადების ისტორია, რომელიც 1967 წლიდან ტარდება. თავიდან ასეთი სახის ოლიმპიადა პოლონეთის თაოსნობით დაიწყო. იმ დროიდან სამი ათეული წელიწადია, ყოველწლიურად ტარდება. ყოველი ქვეყნის გუნდი ეროვნულ ოლიმპიადებში გამარჯვებული 5 მოსწავლისაგან კომპლექტდება. საერთაშორისო ოლიმპიადებზე ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, გუნდის ხუთივე წევრი განათლების მინისტრის ბრძანებით უგამოცდოდ ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში (აბიტურიენტის სურვილის მიხედვით) ფიზიკა-მათემატიკის პროფილის ფაკულტეტზე. ამოცანები, რომელიც ამ საერთაშორისო ოლიმპიადის მონაწილეს ამოსახსნელად ეძლევა, მანამდე არსად გამოქვეყნებულა, არც სახელმძღვანელოში, არც ამოცანათა კრებულებსა თუ ჟურნალებში. ამოცანათა აპრობაცია ოლიმპიადაზე ხდება და მისი შერჩევა მასპინძელ ქვეყანას ევალება. რეიკიავიკის საერთაშორისო ოლიმპიადა ორ — თეორიულ და ექსპერიმენტულ ტურად ჩატარდება. პირველ ტურში ყველა მონაწილეს ამოსახსნელად 3 ან 4 თეორიული ამოცანა ეძლევა.

რეიკიავიკში 29-ე ჩატარდება საერთაშორისო ოლიმპიადა. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, მასში მესამედ მონაწილეობს (წინა ორ ოლიმპიადაში საქართველოდან მხოლოდ ერთმა მოიპოვა სიგელი). წლეულს, როგორც აღვნიშნეთ, 5 მონაწილიდან ერთი გოგონაა, ლალი ჭელიძე, იგი ჯერ მხოლოდ 14 წლისაა (სკოლის ორი წლის პროგრამა ერთ წელიწადში დაძლია). საერთაშორისო ოლიმპიადაში პირველად მონაწილეობს.



არ არსებობს ენობრივი ბარიერი, წინასწარ ცხადდება ოლიმპიადის ოფიციალური ენები, რომელზეც ამოცანათა ტექსტები იბეჭდება. საჭიროების შემთხვევაში ოლიმპიადის მონაწილე ამოცანათა ტექსტების თარგმანს მიიღებს... აუდიტორიაში თითოეული გუნდიდან თითო მოსწავლე წერს. ვინაიდან შეჯიბრი 5 ასტრონომიული საათის განმავლობაში მიმდინარეობს, ამოცანათა ამოხსნის პერიოდში მონაწილეებს მსუბუქი საუზმითა და წვენებით უმასპინძლდებიან. თეორიული და ექსპერიმენტული ტურის ნამუშევართა შემოწმების შედეგებს საბოლოოდ საერთაშორისო კომისია ამტკიცებს.

ოლიმპიადის მონაწილეთა შორის გოგონები ყოველთვის ცოტანი არიან ხოლმე. ნორჩ ფიზიკოსთა ერთ-ერთ საერთაშორისო ოლიმპიადაზე დაწესებულიც კი იყო გოგონებს შორის საუკეთესო შედეგისათვის სპეციალური პრიზი. პრიზის მფლობელი ოლიმპიადის დაწყებამდე გაირკვა. იგი წილად ხვდა ერთადერთ მონაწილეს — გერმანელ გოგონას.

— მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. კარგად ვიცნობ მის მონაცემებს, რადგან მე-7 კლასიდან ვასწავლი ფიზიკას. აქვს ანალიზის ღრმა უნარი. გამოირჩევა აზროვნების სისხარტით და პრობლემის კარგი ხედვით. მაღალ დონეზე ფლობს არა მარტო ფიზიკას, არამედ მათემატიკასაც. არის ძალზე თავაზიანი, მოკრძალებული...

...რეიკიავიკის ოლიმპიადაში დაახლოებით 60 ქვეყნის 300 მოსწავლე მიიღებს მონაწილეობას. საქართველოს მხრიდან გუნდს ისლანდიაში ორი პედაგოგი თენგიზ ბიბილაშვილი და ნიკო ჩხაიძე ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატიდან მიჰყვებიან.

გზა დავულოცოთ ხუთივეს, იქნებ ლალი მეორე იყოს იმ გერმანელი გოგონას შემდეგ, რომელიც შორეულ ისლანდიაში საქართველოს ახალგაზრდობას წარმოაჩენს.

**ნათელა ფაილოძე.**

*სურათზე: ლალი ჭელიძე განათლების მინისტრის მოადგილესთან თამაზ ტატიშვილთან ერთად.*

### უფლება

# მეკობრეები ხელოვნებას უტევენ

ამ დღეებში საქართველოს სახალხო მხატვარმა კოკა (ნიკოლოზ) იგნატოვმა საავტორო უფლებების დარღვევის გამო პრესკონფერენცია გამართა.

თბილისის ჟურნალისტთა სახლში გამართულ ამ პრესკონფერენციაზე განხილულმა ერთმა კონკრეტულმა ფაქტმა მასმედიის წარმომადგენლები იმაში დაგვარწმუნა, რომ საბაზრო ეკონომიკამ, ცხადია, როცა იგი სტიქიურად, ანუ თამაშის წესების დაუცველად მიმდინარეობს, შესაძლოა დააზარალოს ერიც, სახელმწიფოც და, ასე განსაჯეთ, — „ძლიერნი ამა ქვეყნისანიც" კი...

ყოველივე ამას კოკა იგნატოვზე მოგახსენებთ, ჩვენში და უცხოეთში აღიარებულ მხატვარზე, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატზე, ღირსების ორდენის კავალერზე, სამხატვრო აკადემიის პროფესორზე...

და თუ ზემოთ ნათქვამი ვინმეს მაინც გადაჭარბებულად მოეჩვენება, მათ გასაგონად დავძენთ, რომ ჩვენი წერილის გმირი საზოგადოების იმ ფენის წარმომადგენელია, ვისთვისაც „ძლიერების" საზომი ნიჭიერებაა და ცოტა იღბალიც — ცხადია, იმ ვაიბიზნესმენებისაგან განსხვავებით, რომელთათვის საზომი მხოლოდ ფულია და რომელნიც არანაირ ხერხებს არ თაკილობენ ბინძური ბიზნესისათვის.

პრესკონფერენციაზე ისაუბრეს საავტორო მეკობრეობის, საავტორო უფლებების, ღირსით, მშისით განუკითხავად შელახვის როგორც მორალურ, ისე მატერიალურ ზარალზე, მხატვარ კოკა იგნატოვს წელიწადზე მეტი უმუშავია პირველი ქართული მხატვრული რუკის შექმნაზე, რაც საფრანგეთში საქართველოს საელჩოს დაკვეთა გახლდათ. ამიტომაც, მისი დედანი პარიზში ჩვენს საელჩოში ინახება. ნამუშევარი მაღალმხატვრულია, ამასთანავე პოლიგრაფიულად ჩინებულადაა შესრულებული. ამიტომაც, მხატვარმა უამრავი შეკვეთები მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. მისი ტირაჟის ნაწილი უცხოეთში გაიყიდა, ნაწილი საქართველოში დღესაც იყიდება (ფასი 10 ლარია). მაგრამ მოხდა „კურიოზი". ოპერის პირდაპირ, წიგნების საფირმო მაღაზიაში ერთ-ერთმა გამსაღებელმა მიიტანა პირველი ქართული მხატვრული რუკის მომცრო ვარიანტის დიდი პარტია და 4 ლარი დააფასა. იგი ზემოთ აღნიშნული რუკის ქსეროასლია და მეცელილი აქვს საავტორო დამღა. უფრო სწორად, ხელს აწერს „საქართველოს ავია ხაზები" ან „ჯორჯიან ერლაინი" დაკვეთა ისრაელმა განახორციელა.

ცხადია, ამ ფაქტით აღშფოთებულმა ავტორმა, უპირველეს ყოვლისა, შესაბამის ოფიციალურ უწყებას მიმართა, ანუ „საავტორო უფლებების დაცვის კომიტეტს", სადაც ვერაფერი იღონეს და გზა სასამართლოსკენ დაულოცეს. ავტორმა სასამართლოში აღძრა საქმე, მაგრამ მოპასუხე ვერ მოჰყავთ (მოგეხსენებათ, სასამართლოებში ისრაელიდან კი არა, მეზობელი ქუჩიდან ვერ მოუყვანიათ მოწმეც კი), რადგან უმეტესად დამნაშავე დაუსჯელობის იმედითაა გალაღებული. დაუსჯელობის გარანტიას კი, არა იმდენად კანონმდებლობის ვაკუუმი იძლევა, რამდენადაც მისი არცოდნა.

ერთი სიტყვით, ერთ მხარესაა, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად დაზარალებული შემოქმედი, მეორე მხარეს კი ფირმა „საქართველოს ავიახაზები". კრიმინალის გაგრძელებაა ის, რომ მხატვარს, საქმის ჩასაფარცხად, თურმე სოლიდურ თანხას სთავაზობენ, მაგრამ, საბედნიეროდ ამ შემთხვევაში შემოქმედი ვერ მოისყიდეს.

პრესკონფერენციაზე გამოსულმა მწერლებმა, მხატვრებმა და კომპოზიტორებმა მსგავსი შემთხვევების არაერთ ფაქტზე გაამახვილეს ყურადღება, აქვე ითქვა ისიც, რომ მოპარული და მითვისებულია ეროვნული კოსტიუმები, ცეკვები, ხელოვნების ნიმუშები, საზღვარგარეთ გაედინება, არა მარტო ინტელექტი, არამედ თანამედროვე ხელოვნების ქმნილებებიც, რომელთა შეფასება დღეს შეუძლებელია.

პრესკონფერენციის მასპინძლები იმ იმედით დაგვემშვიდობნენ, რომ მასმედია ბოლოს და ბოლოს ხმას ამოიღებს და ამით იმ დიდ აქციას დაუდებს სათავეს სულიერი ნაძარცვის გაძარცვის წინააღმდეგ რომ იქნება მიმართული.

ხოლო მხატვარ კოკა იგნატოვის პროტესტი, საავტორო მეკობრეობის გამო, ერთი ადამიანის ინტერესების კონტექსტში არ უნდა მოიაზრებოდეს, რადგან მსგავსი რამ ნებისმიერ სფეროში ხშირია.

**დოდო იორდანიშვილი.**

### ხსოვნა



## გუგული (მარიამ) ავალიანი

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, პერსონალური პენსიონერი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, სხვადასხვა დროს მაღალი რანგის პასუხისმგებელი მუშაკი. მან თავისი სიცოცხლის მანძილზე ხალხში დაიმსახურა სიკეთე და პატივისცემა. მან აღზარდა მრავალი ახალგაზრდა, რომლებიც წლების მანძილზე იყვნენ და არიან პასუხისმგებელი მუშაკები.

მართლაც, რომ თბილისს დააკლდა ერთ-ერთი საუკეთესო კოლორიტული პიროვნება.

**სამკერვალო ფაბრიკა „ამირანის" კოლექტივი.**

საქართველოს ტექნიკური ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ გურამ ჩიჩუას მეუღლის

მაგული რუხაძის

გარდაცვალების გამო.

---

შვილები მერი, ნაზი, გურამ ჯურხაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ეთერ არკადის ასული ჯურხაძე

პანაშვიდი 4,5 ივლისს, 18 საათზე. დაკრძალვა 7 ივლისს ქ. ფოთში, 16 სთ. ვაჟა-ფშაველას 54.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი აბესალომ იმედაშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24. სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში" რკინიგზის ჩიხი 20.